140
1979/2

ISSN 0182 — 5973

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

7
1979



# ვაჩუქოთ წიგნს ახალი სიცოცხლე

## ცოტა რამ ისტორიიდან...

ეს მოხდა ასი წლის წინათ.

იქ, სადაც ოდესღაც უძველესი ქვეყანა — ასურეთი მდებარეობდა, არქეოლოგებმა აღმოაჩინეს მეფე აშურბანიპალის (ძვ. წ. VII ს.) კუთვნილი ბიბლიოთეკა — თიხის ფირფიტებზე ამოკაწრული ნიშნები.

ამგვარად იწერებოდა პირველი წიგნები ბაბილონში, ასურეთსა და სხვა უძველეს სახელმწიფოებში.

ჩინელები პირველ წიგნებს ბამბუკის თხელ ფირფიტებზე, მოგვიანებით კი აბრეშუმის ქსოვილებზე წერდნენ.

ეგვიპტურ პაპირუსებს წინ უსწრებდა ქვაზე ამოკვეთილი წიგნები, რომელიც მოგვიანებით შეიცვალა ლერწმის დაწნეხილი ფირფიტებით. ამგვარ ფირფიტებს ეგვიპტელები რამდენიმე ათეული მეტრის სიგრძის ლენტებად აწებებდნენ და გორგალივით ახვევდნენ.

ეს ლენტები — ეგვიპტური პაპირუსები საბერძნეთსა და რომში თითქმის 2 ათასი წლის მანძილზე გამოიყენებოდა, როგორც საუკეთესო საწერი საშუალება.

მეორე საუკუნეში (ჩვენს ერამდე) პერგამოსის სამეფოს ოსტატებმა ცხოველთა ტყავისაგან დაამზადეს ახალი ტიპის საწერი საშუალება — პერგამენტი.

შუა საუკუნეებიდან მოყოლებული წიგნებს წერდნენ პერგამენტის ფურცლებზე, უკვე დაიწყეს ამ ფურცლების აკინძვაც და ტყავ ან ქსოვილგადაკრულ ლამაზ ხის ყდებში ჩასმა.

ასე წარმოიშვა წიგნის, ჩვენთვის ჩვეული, დღევანდელი ფორმა.

მეცამეტე საუკუნიდან ევროპაში ძირითადი საწერი საშუალება ქაღალდია.

ნახატი-მინიატურებით დამშვენებული ხელნაწერი წიგნები ძალზე ძვირად ფასობდა, ვინაიდან ტიტანური შრომით, დიდი სიყვარულითა და რუდუნებით იყო შექმნილი.

და ბოლოს, XV საუკუნიდან დაიწყო წიგნის ბეჭდვა.

მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ბიბლიოთეკაში — სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში დაცულია მილიონობით წიგნი. იშვიათ წიგნთა განყოფილებაში ყველაზე ძვირფასი წიგნებია. აქ განსაკუთრებით უფრთხილდებიან პირველ ნაბეჭდ წიგნებს — ინკუნიბულებს, წიგნის ბეჭ-



წიგნის მოყვარულთა წრის წევრები ბიბლიოთეკის ხშირი სტუმრები არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დვის „აკვნის პერიოდის" (ლათინური სიტყვიდან — „კუნაბულუმი" — აკვანი) წიგნებს.

თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ჩვენთან, საქართველოში, წიგნის სიყვარულს ხმლისა და აბჯრის ხმარების უწინარეს ასწავლიდნენ, დიდსა თუ მცირეს კრძალვასა და თაყვანისცემას უნერგავდნენ „ბრძენთა ნააზრევის" მიმართ, რომ ქართველ დიდგვაროვან ქალთა უმდიდრეს მზითვის სიებში ლალისა და ფირუზ-იაგუნდების თვალთა ციალს ფერსა და ელვარებას უკარგავდა ბეჯითი ხელით გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი" თუ „დაბადება", ქალწულის ფაქიზი თითებით, მოწამებრივი სიყვარულით მოქარგულ-მოვარაყებული წიგნები, ადვილი წარმოსადგენია, რაოდენ ძვირფასი უნდა იყოს ყოველი ჩვენგანისათვის წიგნი — კაცობრიობის სულიერი საგანძურის ეს უმთავრესი და უდიდესი ნაწილი, ათას ქარცეცხლსა თუ წარღვნაში რომ გამოატარეს ჩვენმა წინაპრებმა და თავიანთი გონიერი არსებობის ხელთუქმნელ ძეგლებად დაგვიტოვეს.

## ტრადიცია გრძელდება

თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბიბლიოთეკა დედაქალაქის მოსწავლეთა თავშეყრის ერთ-ერთი უსაყვარლესი ადგილი იყო მუდამ.

მოსწავლეები, ტრადიციულად, აქ მხოლოდ წიგნების ამოსარჩევად და სანათხოვროდ კი არ მოდიან, არამედ ლიტერატურაზე, ისტორიაზე, ცხოვრებისეულ პრობლემებზე, მომავალზე სასაუბროდაც, წაკითხულის შესახებ აზრთა ურთიერთგაზიარების, საკუთარ შეხედულებათა ჩამოყალიბება-დაკონკრეტებისა და წიგნზე მუშაობის, კითხვის, აღქმის ჩვევების შესაძენ-განსამტკიცებლადაც.

ასე იყო ბიბლიოთეკის დაარსების დღიდან.

ასე გრძელდება დღესაც. მკითხველთა დღევანდელ თაობას—ია კევლიშვილს, ირინა მამუკაშვილს, ფატი გრიგორიანს, ხათუნა შეყილაძეს, ქეთინო მურვანიძეს, ნანა ორაგველიძეს, მარინა კერესელიძეს და სხვებს ხშირად შეხვდებით აქ მაკრატლით, წებოთი და ფუნჯით ხელში — „წიგნის სამკურნალო სამქრო" სისტემატურად აწესრიგებს ბიბლიოთეკის ფონდში შემავალ დაზიანებულ წიგნებს. ამიტომაც, პიონერთა რაზმების საკავშირო მარშის ახალი ეტაპი — „საბჭოთა ქვეყნის პიონერები ლენინის საქმის ვართ ერთგულები!", რომლის ერთ-ერთი აქციაა „იცოცხლე, წიგნო!"—მათთვის ჩვეული საქმის კიდევ უფრო მეტი ენთუზიაზმით, მონდომებით გაგრძელებას ნიშნავს. ვინაიდან ის, რასაც ეს აქცია გულისხმობს — „ყოველ პიონერს გამოუმუშავოს პატივისცემა და სიყვარული წიგნისადმი, ასწავლოს ფაქიზი მოპყრობა, განსაკუთრებით — სასკოლო სახელმძღვანელოებისადმი", ამ ბიბლიოთეკის მკითხველთათვის უკვე ჩვეულებრივი, ბუნებრივი თვისებაა.

ამ აქციამ უფრო გააფართოვა მათი საქმიანობის მასშტაბები.

პიონერთა და მოსწავლეთა სასახლემ, მისი ბიბლიოთეკის აქტიურმა მკითხველებმა მოწოდებით მიმართეს ყველა პიონერს, თითოეულ მოსწავლეს, გაუხანგრძლივონ სიცოცხლე სასკოლო სახელმძღვანელოებს, მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ჩინებულად ჰქონდეთ მოვლილი, რათა მომდევნო თაობებმაც შესძლონ ამ წიგნებით სარგებლობა;

ჩაატარონ რგოლში, რაზმში, რაზმეულში დათვალიერება-კონკურსები წიგნის შენახვისა და საუკეთესოდ მოვლისათვის;

მოაწყონ რაზმებში „წიგნის სამკურნალო საამქროები".

სასახლის ნორჩი აქტივისტები თვითვე არიან პირველი მაგალითის მიმცემნიც: აქ უკვე კარგა ხანია ჩამოყალიბდა ამგვარი საამქრო. მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეებმა შეაკეთეს და აღადგინეს ასობით წიგნი, რომლებიც, ვინ იცის, კიდევ რამდენ მოსწავლეს მოუტანენ სიხარულს.

მოსწავლეებმა კარგად იციან, რომ ძვირფასი ნედლეულის — ქაღალდის დაზოგვით ეხმარებიან სახელმწიფოს ათასობით ახალი, საინტერესო წიგნის გამოცემაში.

მათი მუშაობით კმაყოფილი არიან სასახლის ბიბლიოთეკის გამგე მარიამ ყარყარაშვილი და წიგნის მოყვარულთა წრის ხელმძღვანელი ნანული დარბაისელი. ეს მოსწავლეები რომ არა, სამუშაო ათჯერ მეტი გვექნებოდაო, — გვითხრეს მათ.



წიგნს სათუთი მოპყრობა უყვარს

წიგნების შეკეთების გარდა, მოსწავლეები სწავლობენ ბიბლიოთეკის მუშაობის სხვა მხარეებსაც — კარტოთეკის შედგენას, წიგნის ბარათების, ჩანთების გამოცვლას, საბიბლიოთეკო მეურნეობის მოწესრიგებას.

— ყოველივე ეს თითოეულ ჩვენგანს ეხმარება საკუთარი ბიბლიოთეკის მოწესრიგებაშიც და სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობაში მონაწილეობის სურვილსაც აღგვიძრავს, — ამბობს თბილისის მე-3 ექსპერიმენტული სკოლის მერვეკლასელი ნანა ორაგველიძე. იგი ყველაზე „გამოცდილია" — უკვე მეხუთე წელია წიგნის მოყვარულთა წრის აქტიური წევრი და მუდმივი მკითხველია.

— ყოველ ჩვენგანს საკუთარ მოვალეობად მიაჩნია არა მხოლოდ თვითონ გაუფრთხილდეს წიგნებს, არამედ არავის არ მისცეს უფლება უდიერად მოექცეს წიგნს, მიუთითოს გვერდით მჯდომ თანაკლასელს თუ სხვა თანატოლს, თუკი მას ჯერ კიდევ ვერ გაუგია წიგნის ფასი, ვერ უსწავლია, თუ როგორ უნდა მოექცეს მას, — გვითხრა ირინა მამუკაშვილმა.

ხათუნა შეყილაძემ ისიც გვითხრა,

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი
გამოდის 1926 წლიდან
პიონერი
7 ივლისი 1979
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა



...ის სახ. საქ. სსრ ...ლმწიფო ...სპუბლიკ. ბიბლიოთეკა

რომ, გარდა დაზიანებული წიგნების მკურნალობისა, არ ყოფილა ისეთი ღირსშესანიშნავი თარიღი, მოვლენა, წიგნის მოყვარულთა წრის წევრები რომ არ გამოხმაურებოდნენ: დიდი საზეიმო დილა ჩაატარეს მათ კომკავშირის 60 წლისთავთან დაკავშირებით, დაათვალიერეს ლ. გუდიაშვილის, რ. მაყაშვილის, რ. თაბუაშვილის ნამუშევართა გამოფენები; ყოველწლიურად ამაღლვებელ ზეიმად იქცევა ხოლმე ნორჩებისათვის საბავშვო წიგნის კვირეული და სხვ.

— ვინ აზიანებს წიგნს? — გულისტკივილით სვამს კითხვას ია კევლიშვილი. — აბა, წარმოიდგინეთ, რამდენი მოსწავლის ხელში უნდა გაიაროს ერთმა წიგნმა. თუ თითოეული მათგანი არ გაუფრთხილდება, ყველა თითო ფურცელს დაუზიანებს, რა დარჩება მისგან?

ხშირად ჩვენ, წიგნის მოყვარულთა წრის წევრები, წიგნის მკურნალებიც ვართ, კარგად შევისწავლეთ „ავადმყოფი" წიგნის შველა, მაგრამ, როგორ გვტკივა ხოლმე გული, როცა შინ წაღებული წიგნი დაზიანებული გვიბრუნდება...

ბიბლიოთეკაში გამეფებულ სიმშვიდეს დროდადრო ფურცლების შრიალი, მაკრატლის ფრთხილი წკრიალი თუ დაარღვევს. გაფაციცებით მუშაობენ თავდახრილი გოგონები, ესათუთებიან თითოეული წიგნის ყოველ ფურცელს...

## ასეც ხდება, ანუ ფაქტი უკომენტაროდ...

მაშინ თქვენსავით პიონერი ვიყავი. არქეოლოგიით, უძველესი კულტურის ძეგლებით, ზოგჯერ მართლაც ჯადოსნური თავგადასავლებით ვიყავი გატაცებული. თუკი სადმე წავაწყდებოდი ამგვარი ხასიათის წიგნს, სულმოუთქმელად ვკითხულობდი და მერე სულ ამ გასაოცარი სამყაროს შთაბეჭდილებების ქვეშ ვიყავი ხოლმე...

ერთხელ დედამ შესანიშნავი წიგნი მომიტანა, იგი XIX-XX საუკუნეების მთელი რიგი უდიდესი არქეოლოგიური აღმოჩენების მეტად საინტერესო ისტორიაზე მოგვითხრობდა. ერთი სული მქონდა, როდის ჩავუჯდებოდი.

სწორედ ამ დროს თანაკლასელი მესტუმრა. ჩემი სიხარული რომ გავუზიარე, თვითონაც ძალიან დაინტერესდა და მთხოვა, მხოლოდ სამი დღით მათხოვე, წავიკითხავ და მაშინვე დაგიბრუნებო. სწორედ სამი დღის შემდეგ გამოცდა მქონდა მუსიკაში. ვიფიქრე, ეს სამი დღე ჯობია არც მქონდეს სახლში ასეთი საინტერესო წიგნი, თორემ მუსიკაში ველარ ვიმეცადინებ, თან ამხანაგს ხათრს არ გავუტეხ; რაკი ასე დაინტერესდა, წაიკითხოს და მე მერე წავიკითხავ-მეთქი. მტკიცე პირობა ჩამოვართვი, რომ მალე დამიბრუნებდა და წიგნი გავატანე.

ისე მოხდა, რომ არც სამი დღის და არც სამი თვის შემდეგ წიგნი არ დამიბრუნა. იძულებული გავხდი შემეხსენებინა და დაჟინებითაც მეთხოვა, — მომიტანე და, რაკი ასე გაგიტაცა, რომ წავიკითხავ, მერე ისევ გათხოვებ-მეთქი.

როგორც იქნა, დამიბრუნა ჩემი ლამის საოცნებო წიგნი, მაგრამ... ველარც კი ვიცანი: ლამაზი, ღია ფერის ყდა აქა-იქ მელნისა თუ რაღაც სხვა ლაქებით იყო აჭრელებული, შიგადაშიგ ჩაკეცილ-ჩაჭმუჭნული ფურცლებიც მოჩანდა. გული ჩამწყდა, მაგრამ ამხანაგს ველარაფერი ვუთხარი, მომეხათრა.

თურმე ნუ იტყვით, წინ კიდევ უფრო დიდი „სიურპრიზი" მელოდა: შეძლებისდაგვარად შეკეთებული წიგნის კითხვა რომ დავიწყე, უკვე მე-15, მე-16 გვერდზე გაუჭრელი, ერთმანეთზე გადაბმული ფურცლები შემხვდა. როგორც ჩანდა, იმ გოგონას ის წიგნი ამ ხნის მანძილზე არც კი წაეკითხა!

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ბავშვობისდროინდელმა წყენამაც ჩაიარა. ის გოგონა ახლა თავისი დარგის შესანიშნავ სპეციალისტად ითვლება (და, ალბათ, დამსახურებულადაც). თქვენ წარმოიდგინეთ, სწორედ ისეთი სპეციალობა აქვს, წიგნისა და მეცნიერების თავგადაკლულ სიყვარულს რომ გულისხმობს, მაგრამ... რატომღაც ის ბავშვობის უსიამოვნო შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ველარც მისი მეცნიერული წარმატებები ვიწამე დიდად და, ის პატივისცემაც, მაშინ რომ დავკარგე მის მიმართ, ვერაფრით აღვადგინე...



## ჩემო პატარა მეგობარო!

ეს ყოველივე იმიტომ გიამბე, რომ შენ უეჭველად კარგად იცი: ახლა შენს სახლსა თუ სასკოლო ბიბლიოთეკაში, წიგნის მაღაზიისა თუ სამკითხველო დარბაზების თაროებზე კოხტად ჩამწკრივებული ლამაზყდიანი წიგნები მკითხველის — შენი და ათასობით შენნაირი წიგნის მოყვარულის მოლოდინით ცოცხლობენ, სულდგმულობენ, ხარობენ.

წიგნი — შენი ურთგულესი, ჭკვიანი, კეთილი მეგობარი — მოკრძალებით ელის თავის რიგს მოსაწყენ თაროებზე. თავდახრილი გიხმობს, გიზიდავს თავისკენ და თითქოს ფრთებივით შეარხევს ფურცლებს, როცა არჩევანს მასზე შეაჩერებ. მერე კი თავდავიწყებით გიყვება ამ მთისას, იმ მთისას...

შენ ალბათ ისიც იცი, რომ, რამდენ საწერ მაგიდასა თუ მუხლებზე დაივანებს ლამაზ ამბავთა თხრობად, რამდენ გულსა და გონებასაც აღელვებს საინტერესო თავგადასავლებით, ცხოვრებისეულ ჭეშმარიტებათა წვდომით თუ სიტყვის, აზრის სილამაზით, იმდენი ახალი სიცოცხლე, ახალი ბიოგრაფია აქვს თითოეულ წიგნს, მის ავტორს და მასთან ერთად — მის ყოველ მკითხველსაც.

ჩვენს ბავშვობას თუ ყრმობას ალამაზებენ წიგნები, რომელთა გარემოცვაშიც გვამახსოვრდება ესა თუ ის დღე, პერიოდი ჩვენი განვლილი წლებისა, იმდენად დიდია შთაბეჭდილება, ამ ნაწარმოებებმა რომ დაგვიტოვეს, იმდენად ძლიერია განცდა შემეცნებითი, შემოქმედებითი სიხარულისა, საყვარელი წიგნის გმირებთან, მათ საინტერესო, ჭკუისსასწავლ თავგადასავლებთან შეხვედრა, რომ გვანიჭებს და სამუდამოდ დააჩნდება ხოლმე ჩვენს გულსა და გონებას, ფიქრებს, გემოვნებას.

და რადგან ეს ყველაფერი იცი, შენთვის ყველაზე საინტერესო, მახლობელი და საშური უნდა გახდეს, გაუხანგრძლივო სიცოცხლისუნარიანობა ყოველ წიგნს, რომელიც შენს ხელში გაივლის, შენს თვალსაწიერზე მოხვდება, შენს ყურადღებას მიიპყრობს შესაბრალისად გაცრეცილი, მორყეული ყდითა თუ დაფურცლული გვერდებით.

თუ ეს ყოველივე იცი, მაშინ სრულიად ბუნებრივად მიიჩნევ, გიყვარდეს წიგნი, მ. გორკის თქმით — „ყველაზე დიდი საოცრება, კაცობრიობის მიერ შექმნილ საოცრებათა შორის"...

**დიანა ტყებუჩავა**

ფოტო ვ. გორისენკოსი

# მგზავრის გამოუგზავნელი ბარათები ანუ მუხლზე დაწერილი მოთხრობები



ოთია
იოსელიანი

მხატვარი
ზურაბ
ფორჩხიძე

## ყინულებისა და თეთრი დათვის სამეფოში

ნუღარ მკითხავთ, რა დღე დამადგა და რა წვალებითა და დავიდარაბით ჩამოვაღწიე ამ მარადიული ყინულების ქვეყანაში. სიმართლე თუ გინდათ, არც ვიცი, სად დამ-თავრდა ოკეანე და სად დაიწყო ხმელეთი. ყველაფერი ერთიან გაყინულია და თოვლით დაფარული, არც ხეა სადმე, არც ბალახი, არც მთა, არც ბარი. ეს უპატრონო ცაც გათოშილია, თუ მე გამომითეთრდა თვალები და ისიც გაქათქათებული მეჩვენება.

რა გინდა აქ რომ სვა და ჭამო, ან ღამისთევას სად აპირებ? ღამე სადაა, თორემ კაი შენ, მთელი ქვეყანა რძისფრად ციალებს.

ადრე სელაპებს ვხვდებოდი, მერე და მერე პინგვინებს თუ გადავეყრებოდი, შემომესეოდნენ ჯგროდ, მიყურებდნენ გაოცებულები, რავა ჩვენსავით ორ ფეხზე დადისო.

ოკეანეს რომ მოვცილდი და ყინულის გორაკებზე გამოვიარე, აღარც ეს შენი ცნობისმოყვარე პინგვინები ჩანს. სადმე დათვი თუ გაიძუნძულებს და ძალიან თუ არ დაუკვირდი, ვერც გაარჩევ, — მიწა თეთრი, ცა თეთრი, დათვი თეთრი...

აკი გითხარით, დალამებით არ ღამდება, მაგრამ ამიტომ დაპურება, ძილი და მოსვენება არ გინდა? რომ ჩავიმუხლო, ვიცი, ისე ჩამუხლული დავრჩები საუკუნოდ, მიდი მერე და იმოგზაურე!

გალიის თრევის თავი სადღა მაქვს, მტრედები უბეში ჩავისვი და რაც პინგვინებს გამოვცდი, ერთადერთი შავი მოძრავი წერტილი ამ უკიდეგანო ყინულების ქვეყანაში მე და ჩემი ნაბადი ვართ. ეს რკინის ქალამნები ხომ მთლად გაცივდა და გალიგვდა. რკინის ჯოხიც ნაბადს ქვევით შემოვიტანე, რომ ზედ თითები არ მიმეყინოს. გამითეთრდება ცხვირი და ყურები, ვისრისავ თოვლის გუნდით, მაგრამ სანამ მივდივარ, რა მიშავს, ვხურდები. ოხშივარი ამდის, შორიდან რუსული ზღაპრის გმირი გეგონებით, ღუმელზე რომ იჯდა და დატრიხინობდა.

ამდენ წანწალში, ეტყობა, ყველაფერს შევეჩვიე, თორემ ფეხს ამდენხანს გავფშეკდი. რა ხანია შიმშილსაც ვიტან, წყურვილსაც და უძილობა-უსახლკარობასაც. მაგრამ პატარა სითბო და ხმელი პურის ყუა მაინც მინდა. უკვე აღარ დავეძებ, სადმე მოფარებული რომ მაშოვნინა და სული მომათქმევინა...

თურმე აქამდე ბატონი ვყოფილვარ. ქარბუქი რომ ატყდა, თქვენ მაშინ უნდა გენახათ ჩემი ვაი-უშველებელი. ამ ჩემს ერთადერთ მფარველს, პატრონს და სულისჩამდგმელ შავ ნაბადს მგლეჯს და მის მაგივრად ბუქში მხვევს. იმისთანა წაწყმედილი ამინდია, თეთრი დათვი არ გაიგდება ბუნაგიდან. სწორედ რომ, ძაღლი ხსენებაზეო, აგერ ცხვირწინ არ ჩამიარა ვეება დათვმა! იცოცხლე, მომეცა შიშის ფეთება, მაგრამ რაღა თეთრ დათვს შევუჭამივარ და რაღა დათვისფერ თოვლსა და ყინვას გავუფიჩხინებივარ.

შეჩერდა ერთ ხანს, მიყურა, პინგვინის პირობაზე ერთობ მოზრდილად მიმიჩნია. მიყურა ისევ, მერე ალბათ იფიქრა, ვინაა ეს ჩემზე გაჭირვებულიო. დაღუნა თავი და წაძუნძულდა. კარგად მენიშნა: ეტყობა, ამას ადამიანი სანადიროდ და სანადიმოდ კი არა, ისე, თვალის შესავლებადაც არა ჰყავს ნანახი-მეთქი. მივაძახე კიდეც:

— მოიცა, შე კაცო, ამ დაქცევაში სად მიგეჩქარება? მე შენ გეტყვი, სადმე ჰყინტი სიმინდი და დაკროლილი წაბლი გეგულება!

ვერ ვიტყვი, რომ ჩემი ძახილი ერთი ყურიდან მეორეში გაუშვა. მოიხედა, მაგრამ ჰყინტი სიმინდისა და დაკროლილი წაბლისა ვერაფერი გაიგო თუ ამოდენა პინგვინთან საქმის დაჭერა არ ინდომა, დურთა თავი და მოცოცხა.

გადავწყვიტე: ჩემი საქმე ხომ მაინც წასულია და თუ ეს ჩემი ქუნქულა მასპინძელი ბუნაგიდან მობრძანდება, სახლ-კარი უპატრონოდ მიუტოვებია. გავყვები მაგის ნაკვალევს და ერთხანს მაგის სადგომს თავს შევაფარებ, მერე მოვა ის თეთრი დედ-მამის შვილი და, თუ კიდევ ერთხანს გამაჩერებს, ხომ კარგი, თუ არადა, რაცა მჭირს, ამაზე უარესს რაღას დამმართებს-მეთქი.

ვიბრუნე პირი და იმის შიშით, ნაკვალევს ქარბუქი მოშლის-მეთქი, მოვუსვი. ნაფეხურები რომ აქეთ მოდის, მე იქით გავრბივარ, ის აქეთ, მე იქით. შემიძლია, არ შემიძლია, უნდა ვიჩქარო, თორემ მაბღლვნის ნაბადს ტანზე ქარბუქი. არ ვიცი, რამდენი ვიძუნძულე და რამდენ ხანს, მე შენ გეტყვი, მზეზე მოინიშნავ დროს ან მანძილს ამ ხიდან იმ ხემდე თუ ამ მწვანე გორიდან იმ ლურჯ მთამდე. და როგორც მანამდე არაფერი დამინახავს, არც მაშინ, პირდაპირ რომ გადავეშვი ამ თოვლის მინდვრიდან თოვლისავე ვეება ორმოში.

არა უშავს, დაისვენა ყურებმა ყინვის და ქარის სისინისაგან. მოვითქვი სული. მართალია, ვერ იტყვი (ამისათვის მაინცა და მაინც ნაზი ყნოსვა არაა საჭირო), დათვს აქ არაფერი ესაქმებოდაო, მაგრამ ხისკენ პირი მიქნია, შე მამაძაღლო, სუნს დაეძებ? ეს თოვლის ბუნაგი სამოთხე მგონია. მართლაც ახალი ამდგარი ყოფილა. ამას გარდა, ეტყობა, თეთრი დათვები მხურვალე ცხოველები არიან — ღუმელივით გაღუღღუღებული დამხვდა იქაურობა.

რკინის ჯოხი თოვლის კედელში გავარჭე, ზედ მტრედები დავსვი და მუხლებში კი არ მომისავდა, მოვითიბე, კი არ ჩავიკეცე, დავშვავდი. მუჭისტოლა გავხდი, გავეხვიე ნაბადში და ამის გაფიქრება ძლივს მოვასწარი: ჩემს მასპინძელს ასეც უქნია, ხორცს რომ შემომაჭამს, ძვლებიც დაუხრავს, ოღონდ იმ ქარბუქში არ გადაყაროს-მეთქი, და მკვდარივით ჩამეძინა.

---

დასასრული. იხ. „პიონერი" № 2, 3, 4, 5, 6.

დღე-ღამეს ვერ გეტყვით, მაგრამ, ალბათ, ასე ერთი კვირის მუხლჩაუხრელი და უძილარი მაინც ვიყავი. თავგადადებულად მძინავს და მძინავს. არ ვიცი, თენდება, ღამდება, დარია, ავდარია, გავიყინე თუ გავფიჩხდი, დამღეჭა ვინმემ თუ ისე, დაუღეჭავად გადამყლაპა.

ბოლოს, როგორც იქნა, სიზმარმა გამაღვიძა. მეზმანა: უდაბნოში ვწევარ ცხელ ქვიშაზე. ამის დასიზმრება რად მინდოდა, ცხადშიც ბევრი მინახავს, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ ამ უდაბნოს თაკარა მზე მიწევს გვერდით და ბუხარივით მათბობს. მზე და მზეთუნახავი გვერდით არასოდეს მწოლია და ცოტა კი მეჩოთირა, მაგრამ მიწევს ეს ბრდღვიალა მზე და ვკრა ხელი? ეს კიდევ არაფერი (თუ მზის გვერდით წოლა არაფერია), მაგრამ საკვირველი ისაა, მივმხობილვარ ამ მზეს და დედის ძუძუსავით ვწოვ, მევსება მშიერ-მწყურვალი სტომაქი ჩიტის რძით, მზე იცინის, იცინის, კვდება სიცილით.

გამეღვიძა. შენს მტერს და ავის მსურველს, მე დასანახავი დავინახე: მიწევს გვერდით უზარმაზარი, ბუმბულა თეთრი დათვი (აბა რა ექნა იმ საცოდავს, ხუთი თვალი ბუნაგი კი არ ჰქონდა), ვნებივრობ ღინღლივით ბეწვში, მაგრამ ელდა იმაზე მეცა, რომ ჩამიბღუჯია ორივე ხელში დათვის ვეება თათი და ვლოკავ და ვწოვ, ვლოკავ და ვწოვ. არ იფიქროთ, ტალახიანი ან ჭუჭყიანი აქვს. ეტყობა, მე უკანა თათი მრგებია და, რომ ვუსვამ ამ ხაოიან ენას, პატრონს ეცინება, აბა, რა დაემართება. ფეხისგულებში რომ ვინმემ გიხიცინოს და გიღუტუნოს, არ გაგეცინება?

ალბათ გასაგებია, ვინ ვის შევჭამდით, ბუნაგის ყელიდან ძაღლების ყეფა და გნიასი რომ არ გაგვეგონა. რამდენად მე გამიხარდა ძაღლის ხმა და გამეცინა, იმდენად ოდაროდიანდა ჩემი გაცინებული მასპინძელი. წამოვარდა ჩამოვკიდე, ზედ ისევ მტრედები დავაბუდე (საწყლები ძვალი და ტყავი იყვნენ) და ვიყვირე:

— რასაა, ხალხო, რომ შვრებით. რა ზალპი და აურზაური ამიტეხეთ!

უთუოდ ბუნაგიდან კაცის ხმა არ გაეგონათ. მეც კაი შიშნაჭამი ვიყავი, ისედაც ვერაფერი შვილი ორატორი ვარ და ზევით დათვის ბურდღუნად გაიგეს. დამაცალეს და დამაცალეს თოფი.

— ხალ-ხო! ა-და-მია-ნებო! — დამარცვლით დავიწყე შეგონება, იქნებ გავაგებინო-მეთქი. არადა, ჩამოყოფილია თოფის ლულა ბუნაგის ყელში. — მკლავთ, თქვე ულ-მერ-თო-ებო!

მეტად აღარ უსვრიათ, მაგრამ, ეტყობა, მონადირემ ძაღლს რაღაც გადაულაპარაკა და ბუნაგში დათვისტოლა პირდაღებული ნაგაზი ჩამოეშვა. ძაღლს იქ არ ვეგულებოდი და მოღებული პირი მოულოდნელობისაგან ისევე ღიად დარჩა. ის კი არადა, ელდისაგან ყბა ამოუვარდა თუ რა სჭირდა, იმ დღეს ღრანჭი არ შეკვრია. იკივლა და გაბრუნდა უკან, მხარნაცვალი. ზევით პატრონი გადაირია, ეტყობოდა, იმ ნაგაზმა შიში რა იყო, არ იცოდა და პატრონს, ალბათ, ვერ გადაურჩებოდა, მე რომ მუჭზე არ წამომეცვა ქუდი და ხვრელიდან გარეთ არ გამეჩარა. ახლა პატრონმა იკივლა და დამფრთხალ ძაღლს გაასწრებდა, ისევ რომ არ მემარჯვა და, ბოლოს და ბოლოს, ბუნაგიდან თეთრ სამეფოს არ დავბრუნებოდი.

— მოიხედე, კაცო, უკან, სად გარბიხარ! — მივაძახე და, მართლაც, გაქცეულმა თავი რომ მოაბრუნა, მაშინვე ადგილზე დაერჭო. ახლა იმან იყვირა:

— კიკიმონო! რას ხედავს ამას ჩემი თვალები! კიკიმონო, არ გადამრიო! — გაშალა ხელები და გამოქანდა.

გადავეხვიეთ ერთმანეთს. უდაბნოს მზისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ცრიატი მზე კი გვადგა თავზე. ცივ სხივებს, გინდა თუ არა, არ იშურებდა და გვაყრიდა.



დაზაფრული და, რაც საკვირველია, გამომიგდო ლუკმა პირიდან. სანამ ძაღლები ჭაჭყანებდნენ, იდგა საწყალი გალურსული, მაგრამ კაცის ხმაც რომ მოისმა, ელდა ეცა და ეძგერა მტრედებიანი ქანდარის საპირისპირო კედელს, დაიწყო ბრჭყალით და კბილით გამოთხრა.

თოფმა რომ იგრიალა, ჩემ თეთრ მეგობარს ბუნაგში მოკლე კუდიღა ჰქონდა დარჩენილი. მეც ავიღე და რკინის ჯოხი მისი ახალი ხვრელის თავზე მივასვე. ნაბადი ერთმანეთის ხვევნა-კოცნით გული რომ ვიჯერეთ მე კიკიმონომ და იმ მონადირემ, როგორც იქნა, დავშოშმინდით და იქვე ძაღლის მარხილზე ჩამოვსხედით. მაგრამ, რა გინდა რა, თვალებს მერეც არ დაუჯერა, მომხვევს ხელს, ჩამჩერებია სახეში და იმეორებს:

— მომკალი თუ გინდა, ჩემო კიკიმონო, არ მჯერა, რომ ჩემთან, ჩემს ეზო-გარემოში ხარ.

— შენთან არა და, დათვთან კი ვიყავი. ამას გარდა, ნა-

მეტანი მიხარია შენი მასპინძლობა, მაგრამ, ეს ოხერი, კიკიმონო რომ არა ვარ?

— კიკიმონო ხარ, აბა ვინა ხარ! მე მაგი შემეშლება? — გიბადრა ისევ. — ასეთი ხუმრობა იცოდი შენ ყოველთვის! — კვლავ ისე მაგრად ჩამიკრა გულში, დათვმა რომ სული ჩამიბრუნა, კინაღამ ამომხადა.

— კი მაგრამ... კიკიმონო რომ მაინც არ ვარ-მეთქი? — მეც, რა იყო, რომ დავიჩემე. ის ოჯახაშენებული კიკიმონო მთელი სიცოცხლე კიკიმონო იყო და მე ერთი დღე რომ ვყოფილიყავი, მომწყდებოდა წელი?

— დიდუ! კიკიმონო, შენს ნახვას ველირსე და აქ ედგავართ? — ავარდა და დავარდა. ძაღლები თვალისდახამხამებაში მარხილში შეაბა, სხვათაშორის, ის, ყბანაღრძობი ნაგაზი თავში ჩაუბა. მტაცა ხელი და უნდა გამაქროლოს.

— მოიცა, ჩემო... ჩემო...

— დაგავიწყდა, კიკიმონო, შენი კაკაუტო?! — გაოცდა კაცი.

— არა, ჩემო კაკაუტო, შენს თავს რა დამავიწყებდა, — ბოლოს და ბოლოს გავტყდი მეც. — მაგრამ ბუნაგში რაღაცეები მაქვს და თან მასპინძელს უნდა დავემშვიდობო.

— წამოიღე მერე... ეს მასპინძელი რა მოიგონე, ასეთი ხუმრობა იცოდი შენ ყოველთვის.

— ვიცოდი და ვიცი. აბა, რაც შენ არ მინახიხარ, რა შემცვლიდა.

ასე რომ, ჩავბრუნდი უკან, მტრედები უბეში ჩავისვი, ნაბადი მოვისხი და ჯოხი დავიბიჯგე. დათვს მობრუნება მოეხერხებინა და ახალი ხვრელიდან ცალი თვალით იჭყიტებოდა.

— მშვიდობით, მასპინძელო. აგაშენა ღმერთმა-მეთქი. — რომ გამოვეთხოვე. კაკაუტომ ზევიდან ჩამომძახა.

— რა იცი ეს ამისთანა ხუმრობა. არაფრით რომ არ იშლი!

— კი იცი შენ, ასეთი გუნებისა ვარ!.. — ამოვძახე ქვევიდან და სასწრაფოდ ამოვძვერი შეშფოთებული. არ გაუწყრეს ღმერთი, არ ჩამოიხედოს და ამ ჩემს ძველ მასპინძელს ახალმა არაფერი ავნოს-მეთქი.

რა საკითხავია, მოვეწყვეთ მარხილზე. გავეხვიე ტყავებში, დაჰკივლა კაკაუტომ და გავფრინდით.

## მასპინძლობა ბროლის სახლში

არ ვიცი, მგონი ას კილომეტრზე მეტი მაინც გავირბინეთ. დაწყდნენ ძაღლები ოთხამოღებული ჭენებით. როგორც იქნა, ამ თვალუწვდენელ ქათქათა ველზე, ბინდბუნდად, გაცრეცილი კვამლის სვეტივით სახლი გამოჩნდა.

— არ იცი, არ იცი, ჩემო კიკიმონო! — ჩამძახა ყურში კაკაუტომ, — როგორ გავახარებ ჩემს ქალბატონ კაუტოს და შვილებს — აუტოსა და უტოს. მეზობლებსაც უნდა გადავძახო და ერთი რჯულზე მოვილხინოთ.

— ჩემო კაკაუტო, აქ მეზობლები რომ არ ჩანს? მთელი დღეა, კაცის ჭაჭანება არ შემინიშნავს.

— ასე ყოველდღე საყურებელი მეზობელი სადაა?! — გაუკვირდა მასპინძელს. — ან ჩემს ეზოში რატომ დასახლდება? ყველას თავისი კარ-მიდამო აქვს.

— შენი სახლი ჯერ ხეირიანად არც კი ჩანს და უკვე შენს ეზოში ვართ?!

— ამ დილითაც ჩემს ეზოში არ შევხვდით? აბა, მეზობლის სტუმართან მე რა ხელი მქონდა?

— ამოდენა ეზოები გაქვთ და ასე შორს ცხოვრობთ ერთმანეთთან? — ვერაფრით ვერ წარმოვიდგინე ასკილომეტრიანი ეზო.

— არა, რა შორსა ვართ, თუ მარჯვე ძაღლები გყავს, სამ დღეში გადაირბენ, სამ დღესაც — აქეთ... და ერთ კვირაში შინა ხარ. ამას წინათ, აუტო მარილზე გავგზავნეთ მეზობელთან. ძალიან მარჯვე ბიჭი გვყავს აუტო, მეხუთე დღეს შინ იყო. მე და კიკიკიტო მაინც მთლად კარის მეზობლები ვართ. არც კუკუკიტოს ეთქმის შორეული, ცხრა დღეში იქითაც მიხვალ და აქეთაც დაბრუნდები.

— აგაშენათ ღმერთმა, ძალიან მჭიდროდ დასახლებული სოფელი ყოფილა.

— მომრავლდა ხალხი, ჩემო კიკიმონო. საწყალი ბაბუაჩემი, დაადგა ნათელი, ერთი თვე უნდებოდა მეზობელთან გადასვლა-გადმოსვლას. ასე თუ წავიდა საქმე და დღენახევარში მეზობელთან გაჩნდი, ასეთ მეზობელს რა მოგანატრებს და მისი დანახვით რა გაგახარებს? კაპიკად არ ეღირება ჩვენი სიცოცხლე! ახლა, ორ-სამ თვეში მთელ სოფელს ეცოდინება შენი ჩამოსვლა. ამის წინ, შენ მამაჩემთან რომ იყავი სტუმრად, პატარა, ჩემი უმცროსი ბიჭისხელა ვიყავი, მაგრამ მახსოვს, ნახევარი წელიწადი მოვუნდით მეზობლების თავის შეყრას. სოფლის ბოლოს რომ კეკეკიტო ცხოვრობდა, არ გახსოვს? ოთხი დღე დააგვიანდა და ჯარიმად ორი თავის ქალა თევზის ქონი დაალევინა თამადამ. რა მსმელი იყო საწყალი კეკეკიტო, ფუთ თევზის ქონს დალევდა და ერთს არ შებანდალდებოდა. კი გემახსოვრება, ჩემო კიკიმონო, შინისკენ მარხილზე გაჯგიმული ერეკებოდა ძაღლებს.

— მახსოვს, ჩემო კაკაუტო, მაგისთანა განთქმულ თამადებს რა დამავიწყებს, მაგრამ ახლა აღარ არიან ასეთი მსმელები, ხომ?

— რავა გეკადრება, სადღაა! ახლა დალევენ სამ-ოთხ ბოთლ წყლიან თევზის ქონს და გულისრევა აუტყდებათ. შინ მარხილზე დაწოლილი მიჰყავთ.

ვხედავ, ტყავებში გახვეული დათვის ბელებივით ბავშვები გამორბიან, ხელებაწვდილნი და აღტაცებულნი. მოგვეგებნენ, შემოხტნენ მარხილზე, ჩამეხვივნენ: კიკიმონო ბიძია, როგორ გაგვახარე, ამას რას ხედავს ჩვენი თვალებიო. მართლაც, თვალის ვიწრო ჭრილები ისე გაუფართოვდათ, ვერაფრით ჩვენებურ თვალებბრიალა ბიჭებისაგან ვერ გაარჩევდით.

ჩემს მასპინძელს ყინულის აგურებისაგან სახლი აუგია, ცოტა გრილია, თორემ სხვა მხრივ ბროლის კოშკი გეგონება.

გამოგვეგება „დუბლიონკებში" ჩაფუთნული ქალბატონი კაუტო. სიხარულისაგან კინაღამ შემოიხია ტანზე ასე ძვირფასი სამოსი.

— სადა ხარ, სანატრელო კიკიმონო. ამდენი ხანია, მოგვექცა თვალები! (არ ვიცი, მართლა ჩემ ბარობაზე სჭირდა თუ არა, მაგრამ ქალბატონ კაუტოს ოდნავ ელამი თვალები კი ჰქონდა, რაც ძალიან უხდებოდა).

ასწიეს ბუმბულა ტყავის კარი. გიზგიზებს ცეცხლი. ბროლის... უკაცრავად, ყინულის აგურის კედლებიდან ჟონავს რძისფერი სინათლე. დამიდგეს თეთრი, ქუნქულა ტყავგადაფარებული ბროლის ყინულის სავარძელი. ცალ მუხლზე აუტო დავისვი, მეორეზე — უტო. ამოვსხი უბიდან მტრედები. კინაღამ შეიშალნენ ბავშვები სიხარულით...

შემოიტანა კაკაუტომ რცხილის ნაპობი შეშის ტოლა დაფიჩხინებული წყრთა-წყრთა თევზები და ცეცხლზე გარდიგარდმო დააწყო და დააწყო. ატკაცუნდა „შეშა". კვარივით მოედო ალი. ვეცი, ნაკვერჩხალი წავაშორე და ვიტაკე პირში. რა ჯობია შუაცეცხლში ღადარში შემწვარ ხმელ თევზს! გაუკვირდა დიდსა და პატარას, კაცი მუგუზლებს ჭამდეს, გაგონილაო?

— არიქა, კიკიმონოს შიებია! — დაფაცურდა კაკაუტო. — დატრიალდი, ჩემო კაუტო, მე ხუთწლიან თევზის ქონს მოვხდი და ახლავე აქ გავჩნდები, — წამოუსვა ბროლის... რა დავიჩემე ეს ბროლი, ყინულის დოქს ხელი, და გარეთ გავარდა.

— კი მარა, — მიაძახა ქალბატონმა კაუტომ, — სანატრელ კიკიმონოს რომელი თევზის ქონი ეამება, შენ რა იცი?

განძრევის თავი არ მქონდა, თევზის კი არა, ვეშაპის ქონიც რომ მოეტანათ, უსიტყვოდ დავლევდი, მაგრამ მასპინძელი კართან იდგა და მელოდა. ავითრიე წელი, აქეთ — აუტო ამომიდგა მხარში, იქით — უტო (მტრედები მაღლა — ოჯინჯალოზე დავაბუდრეთ) და სახლიდან მოშორებით, ყინულის ლოდებით ნაგებ მარნისტოლა ნაგებობაში შევედით. გაკრიალებულია იქაურობა ალაგ-ალაგ პატარა. ჭურისთავისტოლა ბორცვებია. ჩაიჩოქა კაკაუტომ, აქედან შემოჰკრა ჩაქუჩი, იქიდან და გობის სიფართე ყინულის სარქველი ააცალა. გალიცლიცებულია მრგვლად ამოჭრილი ღრმა ორმო თაფლისფერისა და სისქის ღვინით... უკაცრავად, თევზის ქონით.

მასპინძელმა გრძელბეწვიანი ტყავის სახელო გადაიკეცა-დაიმკლავა, ჭიქას ხელისგული დააფარა, ქარვისფერ სითხეში ღრმად ჩაჰყო და აავსო, თავზე მოყენებული თევზის ქერცლი და ძვალი ჭიქაში რომ არ ჩაჰყოლოდა.

— ერთი ეს გამისინჯე, — მომაწოდა გალიცლიცებული, ასე, ღვინის ჭიქისტოლა სასმისი.

გავხედე. კრიალა ცაცხვის თაფლის ფერისაა. დავყნოსე, ზუთხის საამო სუნი დაჰკრავს. მოვსვი, დავიგუბე პირში. ბავშვობაში რომ თევზის ქონი დამილევია, იმას ჩამოჰგავს, მაგრამ რა შედარებაა, პირიდან ვერ მოიშორებ. დავულოცე ჭურ-მარანი, გადავკარი და გამოვუტყდი: ამისთანა ჩემს სიცოცხლეში არაფერი დამილევია-მეთქი. ასეც იყო.

— იმ წელიწადს თევზის კარგი მოსავალი გვქონდა... — მიყვება ნასიამოვნები მასპინძელი. — მზიანი ამინდები დაიჭირა, სახლი კინაღამ დამიდნო. მოვიდა და მოვიდა თევზის ქარავნები. ყველა ჯიშის თევზი შეშადაც არ ვარგა — ჩალასავით იწვის, მისი ქონი ვის რად უნდა. ეს განთქმული „კაურის“ ჯიშია. ჰო, ზღვასავით მოაწყდა ჩემი ეზოს ნაპირებს. დღე და ღამე არ დამიძინია, ტონობით თევზი გავწურე. ახლაც მაქვს აგერ საპალნე და ცალი, ქე ხედავ, ქარვასავითაა. არა, ისე აგერ მომწვანოც მაქვს, „მენავის“ ჯიშისგან ვწურავთ. მაგ თევზს ნავით ვიჭერთ, ნაპირთან ახლოს არ მოდის. დიდებულია, მაგრამ წლევანდელია და ჯერ კარგად დამდგარი, დავაჟკაცებული არაა. მოგიხდი, თუ გასინჯავ.

— არა, ჩემო კაკაუტო, რომელიც მოხადე, თუ არ გენანება, ეს იყოს.

— მენანება?! — შეიშალა მასპინძელი. — შენთვის ვინახავდი, კიდევ ათი წელიწადი რომ დაგეგვიანებია, ხელს არ ვახლებდი.

ერთი სიტყვით, დიდებული დრო გავატარეთ. თევზი, შემწვარი და შებრაწული, შოთი პურებივით ეყარა სუფრაზე. ხიზილალა, წითელი, შავი, რუხი და ნაცრისფერი, ჯამებით ლობიოსავით იდგა. ახლა დათვის სუკების მწვადები და მრგვლად მოხარშული პინგვინი? ვსვით და ვსვით ქარვასავით თევზის ქონი (იქ, სხვათა შორის, ბავშვებიც სვამენ). პატარა უტომ, მთელი ღამე რომ მუხლზე მეჯდა, ლექსიც კი წაგვიკითხა!

ვერსად ნახავთ მსგავს მშვენებას
ზღვა და ხმელის მოვლით.
ციგაობა — როცა გნებავთ,
თოვლი, თოვლი, თოვლი...

აუტო სკამზე შედგა, თვალი ჭერს მიაპყრო და ერთიხნის დუმილის შემდეგ, ქალბატონმა კაუტომ როცა შეახსენა, დედა გენაცვალოს, გამოთქმით წაიკითხეო, დაიწყო:

თოვლს ჩვენებურს, ლამაზს, ულევს,
ენა ვერც კი გადმოსცემს,



თეთრი დათვი დაძუნძულებს
და პინგვინებს აოცებს.

— ახლა ისევ მე! — მაგიდაზე შეხტა უტო და ხელები გაშალა:

ჩვენ გრიპი რაა, არ ვიცით,
არც ქუნთრუშა და ყბაყურა,
დავდივართ თეთრი სინდისით
და თეთრი ქუდი გვახურავს.

ბოლოს ყველაფერი ისევ ჭერს მიშტერებულმა აუტომ დააგვირგვინა:

ჩამობრძანდით, ჩამობრძანდით,
ჩვენსას მხარე არა სჯობს,
აქ ბაბუა თეთრი ნაბდით
მთელ წელიწადს გვდარაჯობს.

აუტომ დააგვირგვინა გვეგონა, მაგრამ უტომ მაგიდაზე რომ ფეხი მიასო, სანამ საბოლოო სიტყვა არ თქვა, ვერავინ ვერაფერს გახდა:

არ ედება ჩვენს პურს ობი,
არ ვართ ფლიდი, მეტიჩარა,
მთელ წელიწადს შუბლზე კოპი —
კოტრიალა, კოტრიალა.

## მივემგზავრები საკუთარი თეთრი „ხომალდით"

ამ მარადიული ყინულების ქვეყანაში ჩემისთანა უგზო-უკვლო მოგზაური, ვინმე მხარნაცვალი მონადირე ან მკვლევარი, ოცი-ოცდაათი წლის მანძილზე თუ გამოჩნდება, ყველას ისეთი დიდი სიხარულით ხვდებიან, როგორც ექვსთვიანი ღამის შემდეგ მზის გამოჩენას. ძველი, ახალი და მომავალი სტუმარი მათთვის სულ ერთია. ყველა კიკიმონოა და დიდსაც და პატარასაც ჭკუის დასაკარგავად უყვარს. მგონი დროსაც სტუმრის წასვლიდან ჩამოსვლამდე ანგარიშობენ. თხზავენ კიკიმონოზე ლეგენდებს, ზღაპრებს, წერენ ლექსებს და ბავშვებს აზეპირებინებენ. ყველაფერს საუკეთესოს მისთვის ინახავენ. ბედნიერია ის თვალუწვდენელი სოფელი, სადაც კიკიმონო ფეხს დადგამს და ის ოჯახი უბედნიერესი, სადაც სტუმარი ღამეს გაათევს. ერთი სიტყვით, მიწაზე ღმერთის ჩამოსვლას ჰგავს მათთვის სტუმარი და იმდენად დიდია და გულწრფელი მათი სიყვარული და პატივისცემა სტუმრისადმი, რომ ამ ყინულის სახლებში ხომ თბილადა ხარ, არც მათ ველ-მინდვრებში გაზრობს ყინვა.

ხომ არ გგონიათ, ვინმე გკითხავს, როგორ მოგწონს ჩვენი ქვეყანაო, და უხერხულობაში ჩაგაგდებს, ტყუილს გათქმევინებს! ან ჩვენს სუფრაზე და მასპინძლობაზე რას იტყვიო? ან მისამართს მოგთხოვენ, მერმის შენთან ჩამოვალ და სამაგიერო პატივისცემა შენზეაო. როგორ გეკადრება! შენ ხარ მათთვის კიკიმონო, მთელი ცხოვრება გელიან, წამოხვალ და ისევ შენი გამოჩენის მოლოდინში იქნებიან.

რა ჯობია მათთან ყოფნას, რომ ერთ ღამეს ისევ სიზმარი არ მენახა. მგონი სიზმარიც არ იყო, რაკი ყველაფერს ცხადად ვხედავდი.

ერთი სიტყვით, ვწევარ ბუმბულა ტყავებში. ერთ მხარეს აუტო მიწევს, მეორე მხარეს — უტო. მძინავს? არა, მგონი არ მეძინა. ვხედავ, ჩემს სოფელში ვარ, უტოს თუ აუტოს ხნისა. ეზოს ბოლოში, ბროწეულის ღობესთან უნაბის და ალუჩა-ტყემლის ხეებთან კი არა, უფრო აქეთ, ნიგვზის გასწვრივ, ვეება ბებერი ფითრიანი მსხალი გვედგა. მის ძირში ორი-სამი ნაბდის გაშლა ჩაბლობი ადგილი იყო. გვალვებს თუ არ დაიჭერდა, ჰენჭყო იცოდა. სიბერემ, ფითრმა თუ ჰენჭყომ მსხალი გაახმო. ძლივს მახსოვს, ბიძაჩემმა საგანგებოდ აალესვინა მჭედელს ქართული ნაჯახი და ის მსხალი მოჭრა. ჩარჩა მიწაში ძირი და ფესვი, ჩალპა და, როცა წვიმები წადგებოდა და ნაავდრალზე ნოტიო ღამეებს დაიჭერდა, ჩამპალ ჯირკს სლიპინა მანჭკვალა სოკო მოედებოდა (ზოგჯერ იმდენი, ჯრაზეც კი გვყოფნიდა). აი, სწორედ იმ ჰენჭყოს, ნოყოს, ჩამპალი ჯირკის და სლიპინა მანჭკვალას სუნმა გამომაღვიძა ამ ყინულების და ქათქათა თოვლის ქვეყანაში, სადაც სოკოს სახელიც კი არ გაუგონიათ.

რავა მინდა გავამხილო, მაგრამ იმისთანა უჟმურ გუნებაზე ავდექი, მასპინძლები დიდიან-პატარიანად დავზაფრე. მგონია, გამივლის. აბა, რა ღმერთი გამიწყრება. ასე სულწასულად მანჭკვალა რა ჯანდაბამ მომანატრა. ან ახლა სადღაა იქ ჯირკი და სოკო. ეს მაშინ იყო, როცა მე უტოს და აუტოს ხნისა ვიყავი, განა არ ვიცი?

გამიგია, კაცისშვილს ქვეყანა მოენატროს, მთა, სახლკარი, დედ-მამა, ძმა და მეგობარი. ბებიას ფასი თუ რაიმე მყავდა, რავა შეგონა; და მაინცა და მაინც მიჭერს კისერში ხელს ჰენჭყოს, ჯირკის და მანჭკვალას სურვილი. მომცა სიცხე, გათარანებული ვარ.

აბა, რა გინდა, სულო და გულო, გადამყვნენ მასპინძლები. სუკის მწვადი და რა ფერის ხიზილალაც გაგეხარდება, პინგვინის კვერცხის ტაფამწვარი... დათვის რძეც კი გამიჩინეს. როგორ მოწველეს თეთრი დათვი, წარმოდგენა არა მაქვს (კაკაუტო დატორილი კი ჩანდა, მაგრამ არ იმჩნევდა). აბა, ეს, აბა, ის; აპა! რაც დრო გადის, უარ და უარ მივდივარ. ვატყობ, არაფერი მომარჩენს და მასპინძელს გამოვუტყდი, ასე და ასეა-მეთქი: ფეხშიშველა ჰენჭყოში თუ არ ჩავდექი, დამპალი მსხლის ჯირკის ნოყო, შმორის სუნი თუ არ ვისუნთქე და სლიპინა, ლორწოიანი (არადა მანჭკვალა არასდროს არ მიყვარდა) სოკო თუ არ ვიგემე — განწირული ვარ-მეთქი. საწყალმა კაკაუტომ ვერაფერი გაიგო. არც ჰენჭყო და ჭაობი იცოდა, არც მსხალი, უნაბი და სოკო გაეგონა. იფიქრა, სიცხიანს აბოდებსო და შუბლზე ყინულის აგური დამადო (მადლობა ღმერთს, საძებარი არ ჰქონდა).

აბა, ისევ თევზის ქონი, სუფრის კოვზით სამჯერ დღეში, დათვის რძე, ქონი და ნაღველი, პინგვინის კვერცხი და ტვინი... გაგიგონია! არ მშველის არაფერი, მივდივარ ხელიდან. მიშველა იმან, რომ ყინვა ულევად გვქონდა. გამუდმებულმა სიცხეებმაც ვერაფერი დამაკლო, მაგრამ სანამდე გაძლებ. ბოლოს, როცა კაკაუტო დავიმარტოხელე, საბოლოოდ გავუტყდი: რა ღვთის წყრომაა ჩემს თავს, არ ვიცი, მაგრამ, რაკი მაინცა და მაინც ჩემი ეზოს ჰენჭყო, ნოყო და სოკო ასე სანაწეროდ მენატრება და არა საერთოდ, ჭაობი, წუმპე და სოკოს შეჭამანდი. ეს სამშობლოს მონატრებას უნდა ნიშნავდეს-მეთქი, უნდა მიშველო და როგორმე აქედან უნდა გამამგზავრო.

— აჰ! — გადაირია მასპინძელი.— შენს ჩამოსვლას ველირსეთ და ასე დანახვის უმალ, როგორ შეგელიოთ!

— არ შემელევით და გავჭიმავ ფეხს.

— აჰ, არა, ჩემო კიკიმონო, შენ რომ რაიმე მოგეწიოს, თავი უნდა მოვიკლა! — წამოუსვა თოფს ხელი.

— თვითონ ხედავ, საშველი არაა, რაღაცა უნდა მიწამლო.

— რა გინდა, რას ინატრებ, მზად ვარ, ჩემო კიკიმონო!

— ხომ გითხარი, ჰენჭყოში უნდა ჩავდგე ფეხშიშველი კოჭებამდე მაინც.

— რა ჯანდაბაა ეს ჰენჭყო და წუმპე ამისთანა, რომ მომაკვდავს არჩენს?! — საწყალს, რაღაცა უკვდავების წყალი ეგონა. — თუ იღუპები, მაინც უშენოდ ვრჩები და ჯობია, ცოცხალი მეგულებოდე, რომ შენი დაბრუნების იმედი მქონდეს, მე არა, ჩემს შვილებს მაინც მოინახულებ.

— აუცილებლად, ერთ ოც-ოცდაათ წელიწადში ისევ გეწვევი, ოღონდ ახლა მანჭკვალა სოკოს ნდომით სულს ნუ ამომხდი!

— კი მაგრამ, აქედან გემი არ გადის და მატარებელი, რა გიყოთ? — დაიბნა კაკაუტო. — თან ზათხული მოდის, ნაპირი აქეთ მოიწევს და არა იქეთ — შენი ქვეყნისკენ. დაჯავრიანდა, მგონი მასაც სიცხე მისცა.

— კი მაგრამ, სადღაც, ათასში ერთხელ, რაღაცა რავა არ გამოივლის?! მთელი მსოფლიო მოგზაურობს, თევზაობს, ნადირობს, იკვლევს, მეკობრეობს, ყაჩაღობს...

სადაცა ათ წელიწადში ერთხელ, ნაპირთან თუ წყნარი ამინდია და თვალი გიჭრის, შორს, შორს, იქნებ ხომალდის კვამლი დალანდო, თვითონ გემი არა და არ ჩანს.



— მართალია, ჩემო კაკაუტო, დედამიწა მრგვალია და ამობურცული, ზღვა გემს ეფარება, მაგრამ თუ ჩემი გადარჩენა გინდა, ნაპირთან უნდა გადამიყვანო, რა იცი, იქნებ, სწორედ ახლა ჩაიაროს იმ ხომალდმა, რომელიც მიხსნის. ანგელოზი რომ დაინახო, ცაში უნდა იყურებოდე!

— მაშინ იქ რაღაც უნდა ავაშენოთ. ასე, მართლა, ყინულის მთაზე რომ დაჯდე ავადმყოფი კაცი, პირდაპირ ანგელოზებთან წახვალ.

— ვქნათ მერე, მე შენ გეტყვი, ფიცარი გვაქვს საძებარი, კირი, ცემენტი თუ ლურსმანი.

— კი, ალბათ, უსაშველო გაჩნდება...

— მადლობა ღმერთს, შეშა არ გიჭირს, დავანთებ კოცონს და დაველოდები, იქნება ვინმე მადლიანმა გამოიაროს და დამინახოს.

მანჭკვალას ხილვის იმედი რომ გამიჩნდა, მოვიკეთე, სიცხემ ორმოც გრადუსამდე დამიწია. ზაფხული მოდის, დათბა, ყინვა ორმოც გრადუსზე ზევით არ იწევს, ჩემი სიცხე და იქაური ყინვა ერთმანეთს აბათილებს და ისე ვარ, როგორც ჩვენთან აპრილში — არც მცივა, არც მცხელა.

დავტვირთეთ მარხილი სადურგლო იარაღებით, ტყავებით, „შუშით“, სანოვაგით, ხუთწლიანი თევზის ქონით და, იქაური გრძელი დღის ნახევარი რომ გავიდა, ოკეანეს მივადექით. ღმერთწინაშე, კაკაუტომ კი თქვა, მთლად წყლის ნაპირას არ გინდა, ყინულის მთები იძვრის, ირღვევა. არაფერი მოგეწიოსო, მაგრამ, რაც არ უნდა მოხდეს, მაინც წყალთან მიჯობს, ვინძლო, რაიმეს გადავეყარომეთქი. რა ჯანი ჰქონდა, დამიჯერა და ყინვის მთაზე, უშველებელი დაწახნაგებული ლოდების წვერზე, ქლდის მწვერვალებივით რომ იყვნენ აღმართული, დავიწყეთ ქოხის შენება.

ვხერხავთ, შენ ხარ ჩემი ბატონი, ბროლივით ლოდებს და ვაწყობთ ერთმანეთზე. ჩავუშვებთ ნაპრალში დათვის ტყავჩაბმულ ტყავისავე სათლს, ჩქარ-ჩქარა ვიღებთ, რომ წყალი შიგ არ ჩაგვეყინოს, წვრილად ვასხამთ აგურებს შორის და დუღაბივით აცემენტდება ერთმანეთზე.

ასე, კაცის სიმაღლეზე რომ ავიყვანეთ, ახლა მაღალჭერიანი ბინის თავი არა მაქვს-მეთქი და აგურის ნახევარი გუმბათის ტიპზე გადავკიდე კედლის შიგნით. საღამომდე გადახურვასაც მოვასწრებდით (სადღა იყო ღამე, ერთი საათით თუ მოეფარებოდა მზე თვალს), რომ მარხილიდან გამოშვებული ძაღლები აწრიალდნენ. მეხვეწა კაკაუტო, ხვალაც ამ წლისაა, ხვალ მოვათავოთო, მაგრამ არ ვქენი. სიცხე ისევ ორმოცდაორზე ამიწევს, თუ დღეს სახურავი არ შევკარით-მეთქი.

ასეც ვიზამდით, რომ ამ ძაღლის ჭირის გასაწყვეტ, დამშეულ ძაღლებს, სადღაც შორიდან დათვის სუნი იკრეს თუ რა, მხარი ეცვალათ. ატეხეს ყეფა და გნიასი, ჰკრეს ფეხი და ამ ჩვენი ბროლის მწვერვალიდან კისრისტეხით დაეშვნენ.

შემოიკრა თავში ხელი კაკაუტომ, — ახლა სანამ დათვის ხორცით არ გაძღებიან, არ დაბრუნდებიანო. დათვისაგან მე ისეთი პატივნაცემი ვიყავი, ძაღლების დასაგლეჯად რავა მემეტებოდა.

— თუ კაცი ხარ, უშველე! ამ ორ ცალ აგურს უშენოდაც დავადებ. არიქა, რაღაცა იღონე!

ატეხა სტვენა-ყვირილი კაკაუტომ, წამოუსვა თოფს ხელი და გამოენთო. მაგრამ არ ვიცი, ძაღლებმა წაქეზებად ჩათვალეს, დათვის სუნმა გაიტყუა თუ მშიერმა კუჭმა (კუჭი ძაღლს კი არა, ადამიანს არ ინდობს), თვალსაწიერიდან გაჰქრნენ. მე ის ორი აგური ქოხს ქუდად დავადე, ცეცხლს ცალი მკლავის გაშლა თევზები დავამატე, მაგრამ არც კაცის, არც ძაღლის ბაიბური არ ისმის. მტრედები ახალთახალ გუმბათიან ბროლის ქოხში რკინის ჯოხის ქანდარაზე დავაბუდრე, დავიგე ტყავები, გავეხვიე ნაბადში და ცეცხლის პირას დაველოდე. ვიცოდი, კაკაუტო მის სოფელ-ქვეყანაში არ დაიკარგებოდა და დღეს თუ არა, ხვალ გამოჩნდებოდა.

ნოსტალგიით სნეულს, სიცხიანს, მთელი დღის ნამუშევარს, მაშინვე ჩამეძინა. სიზმარში დავდივარ ფეხშიშველი ჭენჭყოში, ვჯდები დამპალ ჯირკზე და ვჭამ სლიპინა, აშმორებულ სოკოს, რომ იმისთანა გრგვინვა ატყდა, ჩვენთან გაზაფხულზე ელვა-ქუხილი რომ იცის, იმაზე უარესი. მეხი სადღაც იქვე, ჩვენი ეზოს ბოლოში დაეცა. მეგონა, უნაბის თუ ალუჩა-ტყემლის თავზე. (ნიგოზმა იცის მეხის დაკვრა, მაგრამ ნიგოზი უფრო აქეთ იყო, მსხლის



## ქუქური გოგიაშვილი



### თევზაობა მომენატრა

ნეტავ ჩქარა, ნეტავ ჩქარა,
ამისრულდეს მალე ნატვრა, —
ჩემს სოფელში, დიდ მორევში,
თევზაობა მომენატრა.
იქვე ცეცხლზე ქვაბი რომ დუღს,
ცხელი თევზის სუნი უდის,
ცუგრიკელა დასუნსულებს,
მასაც უყვარს თევზის კუდი.
თუნდაც ვიყო საღამომდე,
არც მწყურია, არცა მშია,
მიყვარს, როცა ოქროს მთვარე
იჭყიტება ცაცხვებშია.
ყმაწვილები კრიალა ხმით
დასძახებენ რაშოვ რერას,
რა სჯობია გრილ ღამეში
ბიჭუნების მხნე სიმღერას
და ბულბულიც ტკბილ ჰანგზე რომ
ამოიდგამს მგოსნის ენას.

### მალე ჩამოვალ, ბიჭებო...

ჩემი ლამაზი სოფელი
მაღლა, კორტოხზე მოჩანს,
იქ ცხოვრობს ჩემი ბებია,
ბაბუაჩემი გოჩა.
სულ ჩქარა წავალ სოფელში,
გარშემო სულ ტყე აკრავს;
რომ დამინახავს ბებია,
ვიცი, ყვინჩილას დაკლავს.
შემომახტება ცუგრია
კუდის ქიცინით, ყეფით,
ბაბუ წისქვილში წამიყვანს,
ხშირად ახსენებს ქებით.
ანკესით, ჭილის ქუდებით
შორს სათევზაოდ წავალთ,
მალე ჩამოვალ, ბიჭებო,
ეს კვირაც ჩქარა გავა.





### ჭანაობა

— წამო, ლახტი ვითამაშოთ,
ვითამაშოთ, ბიჭო, ლახტი,
,,მტერს მოსეულს" ასაკლებად
მოდი, ვაჟკაცურად დახვდი.
საღამო ხანს მდინარეში
მიყვარს ჩქერთან შეგებება,
და ვახშამიც გაგრილებულთ
უფრო კარგად შეგვერგება.

### წყარო

ჩვენი სოფლის ცივი წყარო
მიიმღერის ნაკადულად,
მიჟღურტულებს, მირაკრაკებს
ხალისით და გაბედულად.
ფესვებს ურწყავს ბაღჩა-ბაღებს,
გულს უხარებს ტყეს და მდელოს,
მიღიღინებს: — გაუმარჯოს
ჩვენს კოპწია საქართველოს!

ჯირკის გასწვრივ). დაეცა და დაეცა, მთლად დალეწა და დაფშვნა იქაურობა, შეზანზარდა ქვეყანა, იძრა მიწა, ტორტმანდა და დაიძრა ეზო, სახლი, კარი, ხე, ჯირკი, ჰენჭყო და სოკო, დაიძრა და მიდის. მიდის, მაგრამ სად მიდის. ეზო, თავის სახლ-კარიან, უძრავ-მოძრავიანად მიდიოდეს, გაგონილა? გავახილე თვალი. თქვენ მტერსა და ორგულს, მე დასანახავი დავინახე! ღამე მაინც ყოფილიყო, მეგონებოდა, მეჩვენება-მეთქი. ჩახჩახებს მზე, უბერავს მოთბო ნიავი, მორღვეულა მარტო ჩემი ბავშვობის დროინდელი ეზოსტოლა ყინულის მთა კი არა, ეზოს გადაღმა რომ ნავენახარი გვქონდა, ისიც რომ მიუმატო, იმოდენა, და მიცურავს ლურჯ ოკეანეში.

ნაღდად აისბერგზე გავრჩი. რაღას შვრები ახლა? გავხედე ნაპირს. გამორბის თავქუდმოგლეჯილი კაკაუტო, მოსდევენ ძაღლები. მესმის სტვენა, ყვირილი, ყეფა, გნიასი, მაგრამ მე რომ მესმის, აისბერგს რას გააგებინებ, ჩვენს შორის ზღვაა.

— მშვიდობით, ჩემო მასპინძელთა შორის უუმასპინძლესო მასპინძელო კაკაუტო! მშვიდობით, ჩემო საყვარელო მეგობრებო აუტო და უტო! მშვიდობით, ქალბატონო კაუტო, თვალები რომ დაგიელამდა ჩემს მოლოდინში. მშვიდობით, ათას კილომეტრზე გაჭიმულო სოფელო, კაკაუტოს კარის მეზობლებო და ყინულების და თეთრი დათვის სტუმართმოყვარე ქვეყანავ, ადამიანის დანახვა რომ გენატრებათ და აღმერთებთ!

მე კი მივდივარ და მივეშურები ისეთი ტრანსპორტით, მთელ ქვეყანაზე არც ერთ მოგზაურს მსგავსი რომ არა ჰქონია.

მართალია, არც პირველი მოგზაური ვარ და არც უკანასკნელი, მაგრამ ასეთი „ხომალდით" მგზავრობის პირველობა, რა ვქნა, ძალიან თავდაბალი კაცი ვარ, მაგრამ მე მეკუთვნის. ბოლოს და ბოლოს, ამდენი წვალებით და წოწიალით, რაღაცა მეც ხომ უნდა აღმოვაჩინო.

აღარაფერ ტრანსპორტზე არ ვიტყვი უარს, რაც თქვენამდე მომიყვანს.

თქვენც ხედავთ, რაც წავიღე, იმის ამარა ვბრუნდები. სხვანაირად არც მიფიქრია, მაგრამ ერთ რაიმეში საბოლოოდ დავრწმუნდი, — ჭეშმარიტების პოვნა მისი ძიებისათვის მოგზაურობაშია.

ამის ცოდნა კი ცოტა არაა.

1979 International Year of the Child

# კაპიტალიზმი-ბავშვების მტერი

**გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1979 წლის ბავშვთა საერთაშორისო წელიწადად გამოცხადებამ კვლავ მიაპყრო მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება კაპიტალისტურ სამყაროში ბავშვთა მძიმე, უსიხარულო მდგომარეობას. მიუხედავად იმისა, რომ ბურჟუაზიული საზოგადოება უსაზღვრო მატერიალურ სიმდიდრეს ფლობს, იგი არად აგდებს საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო ნორმებს, კერძოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა უფლებების დეკლარაციას, და ულმობელ ექსპლოატაციას უწევს მოზარდი თაობის მნიშვნელოვან ნაწილს, სწირავს მას მშიერი არსებობისათვის, სიღატაკისათვის, ხელმიუწვდომლად უხდის განათლებას, კულტურას. ასეთია იმ ბავშვების ბედი, რომელთა მშობლებიც მშრომელთა ფენას განეკუთვნებიან.**



## საფრანგეთი

**თორმეტი ათას მცირეწლოვან დემონსტრანტს არ უნდა „მამების ქარხნები დაამტვრიონ".**

თორმეტი ათასი ბავშვი გამოვიდა ერთდროულად ქალაქ ლონგვის ქუჩებში, თორმეტი ათასი ბავშვი — ოთხიდან თვრამეტი წლის ასაკამდე, რომელთაც არ სურთ, „მამის ქარხანა დაამტვრიონ" და ამით არსებობის საშუალება მოუსპონ მათ. ისინი ქუჩებში თავიანთ მშობლებთან და მასწავლებლებთან ერთად გამოვიდნენ და ხმამაღლა განაცხადეს: „გვინდა ვიცხოვროთ, ვისწავლოთ და ვიმუშაოთ ლოტარინგიაში". მათ შესანიშნავად ესმით, რატომაც არიან აქ. ხუთი წლის პატარა ამას ასე განმარტავს: „თუ ჩემს მამიკოს სამუშაო აღარ ექნება, აბა რითი უნდა გადაუხადოს ფული თოვლის ბაბუას!".. მუშის ჩვიდმეტი წლის შეგირდი კი საქმის ღრმა ცოდნით მსჯელობს: „უზინორის სკოლაში მე სპეციალობა მივიღე, მაგრამ სამუშაო რომ ვიშოვო, შავი მეტალურგიის საწარმოები უნდა ცოცხლობდნენ."

ეს დემონსტრაცია, რომელსაც ლოტარინგიაში „იმედის ალი" უწოდეს, მეტალურგიული ქარხნების დახურვისა და უმუშევრობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად მოაწყვეს მუშათა კომიტეტმა, მასწავლებელთა პროფკავშირმა, მშობელთა ფედერაციამ, რაიონის ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა.

უმუშევრობა ტრავმას აყენებს არა მარტო უშუალოდ მუშას, რომელსაც ხელფასს ართმევენ. „ერთი მუშაადგილის შემცირება ნიშნავს, რომელიღაც ოჯახის კალაპოტიდან ამოვარდნას, ბავშვების სატანჯველში ჩაგდებას..." — განმარტავს დემონსტრაციის ერთ-ერთი ორგანიზატორი.

## იტალია

**ბავშვების მკვლელი — სიღატაკეა**

იტალიაში ქ. ნეაპოლის სანტობონოს ბავშვთა კლინიკაში ბოლო თვეების მანძილზე 60 მცირეწლოვანი გარდაიცვალა, რაღაც იდუმალი სნეულებით, რომელიც ნეაპოლის ღარიბულ უბნებსა და მის შემოგარენში გავრცელდა.

ბავშვთა სიკვდილიანობის ამ უეცარმა ზრდამ დიდი სენსაცია გამოიწვია. დადგინდა, რომ ბავშვების მკვლელია სიღატაკე.

— ყველა ბავშვი ღატაკთა ოჯახებიდან მოიყვანეს. ისინი იმდენად გამხდრები და დასუსტებულები იყვნენ, რომ მათი გადარჩენის ყველა ცდა ამაო გამოდგა. — განაცხადა ამ კლინიკის ექიმმა ქალმა. პროფესორი მარიო ბერნიკანანი, სანტობონოს მთავარი ექიმი, ასეთ მაღალ სიკვდილიანობაში ბრალს სდებს ცხოვრების მეტისმეტად დაბალ დონეს, ელემენტარული ჰიგიენური წესების დაცვის შესაძლებლობის უქონლობას. ნეაპოლის 1,3 მილიონ მცხოვრებთაგან დაახლოებით 300 ათასი კაცი ცხოვრობს უსარკმლო, უჰაერო სარდაფებში. აქ სიბნელე და ნესტია, დგას ტუალეტისა და სამზარეულოს სუნი. სწორედ ეს არის ევროპაში ყველაზე მაღალი სიკვდილიანობის — ყოველი ათასი ახალშობილიდან 70-ის სიკვდილის მიზეზი.



## გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

დასავლეთ გერმანიაში მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილის ცხოვრებისა და სწავლის პირობები არადამაკმაყოფილებელია. ამას ადასტურებს ახალგაზრდობის, ოჯახისა და ჯანმრთელობის ფედერალური სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მონაცემები. განათლების საჭიროებისათვის გამოყოფილი თანხის სიმცირის გამო სამუშაოდან ითხოვენ მასწავლებლებს, 20-30 პროცენტით ამცირებენ სასწავლო პროგრამებს.

ქალაქებში მოზარდების ორი მესამედი თავისუფალ დროს ქუჩებში ატარებს, — იტყობინება ჟურნალი „შტერნი". ამის შედეგად, ყოველწლიურად დაახლოებით 70 ათასი ბავშვი უბედური შემთხვევის მსხვერპლი ხდება. იზრდება ბავშვთა დანაშაულობები: ბოლო ექვს წელიწადში იგი ერთიორად გაიზარდა.



## ბრაზილია

**ორმოცდახუთი სიკვდილი ერთ საათში**

თითქმის ორი ათეული მილიონი ბრაზილიელი ბავშვი იტანჯება შიმშილის და მძიმე საცხოვრებელი პირობების გამო, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სისტემის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის შედეგად.

ყოველ საათში აქ 45 ბავშვი კვდება. ეს ცნობები აღებულია ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მოხსენებიდან, რომელშიც ხაზგასმულია, რომ ქრონიკული შიმშილობისაგან ბრაზილიაში იტანჯება ბავშვების 83 პროცენტი.

1977 წ. ბრაზილიის ყველაზე მდიდარ შტატში, სან-პაულოში ბავშვების 70 პროცენტმა ვერ შესძლო პირველი კლასის დამთავრება ფიზიკური და ფსიქიკური ავადმყოფობის გამო. მთავარი მიზეზი იყო შიმშილი და სამედიცინო დახმარების უქონლობა. სამმილიონნახევარი ბრაზილიელი ბავშვი სკოლაში საერთოდ არ დადის. ბევრი უკვე 6 წლის ასაკიდან თვითონ შოულობს ლუკმაპურს და 10-12 საათს მუშაობს, ხშირად მათ აიძულებენ ღამის ცვლაში იმუშაონ, თუმცა ფორმალურად ეს კანონით იკრძალება.

ქვეყნის ბევრ სასოფლო-სამეურნეო რაიონში მიწათმფლობელები ამჯობინებენ სამუშაოდ მოზარდები აიყვანონ, ვინაიდან მათ გაცილებით დაბალ გასამრჯელოს უხდიან.

ბრაზილიის საპარლამენტო კომისიის ანგარიშში ნაჩვენებია, რომ ქვეყანაში ბავშვთა დანაშაულობები იზრდება და მარტო რიო-დე-ჟანეიროს ქუჩებში დაეხეტება 600 ათასი უზედამხედველო მოზარდი. საარსებო პირობების ძიებაში ბავშვები წვრილმან ვაჭრობას ეწევიან, ჯიბგირობენ, მათხოვრობენ; ღამით კი ღია ცის ქვეშ ძინავთ.

ბავშვთა უფლებების დაცვის დეკლარაციას არაფერი აქვს საერთო ბრაზილიის სინამდვილესთან, სადაც, როგორც დავინახეთ, მილიონობით ბავშვი უმძიმეს პირობებში ცხოვრობს.

ტრაგიკულია ამ სამხრეთაფრიკელი ბიჭუნას ბედი.

სამხრეთაფრიკელი ბავშვების თვალებში ბედნიერების ერთი სხივიც კი არ კიაფობს.

ინტერვენტებმა ბევრი კონგოელი აიძულეს, მიეტოვებინათ საკუთარი სახლ-კარი.



# ჭარია ძაჯლა ძწყერია ხესა

პიესა-იგავი ექვს სურათად

მოქმედი პირნი: თაფლო — დედა ზღარბი, ჯაგრო — მამა ზღარბი, ციბრო — მათი შვილი, ყვანჩო — ყვავი, ცქვიტა — ბაჭია, ბუცბა — პაწია ზღარბი, ვახახო და ვახ[illegible]ნა — მშენებელი თახვები, დანდალა და ბანდალა — მოკრივე ბელები, ტურიკო ტოროლაძე და მელია ბულბულაძე — ესტრადის მომღერლები, კრივისა და კონცერტის მაყურებელი გოჭი, ციყვი, მამალი, დედალი, მურია და სხვანი.

## პირველი სურათი

ზღარბების სამკერვალო. ერთ მხარეს ხარაზი ჯაგრო ზის და ჯღანებს აკერებს, მეორე მხარეს კი თერძი თაფლო კაბის თარგსა ჭრის. იქვე ციბროც სამფეხაზე წამოსკუპებულა. სამთავენი ტკბილად ღიღინებენ:

ზღარბები ვართ, ზღარბუნები—
ჯაგრო, თაფლო, ციბრუტელა.
მზეს სიმღერით ვეგებებით,
აბა, დელი-დელი-დელა!

ზარმაცები ძლიერ გვძულს და
შრომისათვის ვუხმობთ ყველას,
შრომითა ვჭამთ ლუკმა პურსა,
აბა, დელი-დელი-დელა!

სიმღერის დროს ციბრო ფრთხილად ჩამოცოცდა სკამიდან და გარეთ გაიპარა.

**თაფლო** — (**თარგის გამოჭრა დაამთავრა, ნემსი მოიმარჯვა და ციბროსკენ მოტრიალდა**)

აბა, შვილო ციბრუტელა,
ნემსში ძაფი გამიყარე...
ვიშ, ქა! ახლა აქ არ იჯდა?!
სად გაიქცა?

**ჯაგრო** — სად და, გარეთ!

**თაფლო** — (**მაშინვე ფანჯარას ეცა და ციბროს გასძახა**)

— ციბრო! ციბრო!
სად ხარ, ბიჭო?!
მოდი, დედა გენაცვალოს.
ნემსში ძაფი გამიყარე,
ჩემო ცელქო, ვერცხლისწყალო!

**ჯაგრო** — უალერსე, უალერსე,
ჰოდა, ნახავ, რაც მოგივა!
ჩემს შვილს შრომა არ უყვარდეს?!
დარდი მახრჩობს, გული მტკივა...

**თაფლო** — ჯერ ბალღია, გაიზრდება,
დრო აქვს კიდევ დაფიქრების.

**ჯაგრო** — ეხ, ეგ როცა დაფიქრდება,
ჩვენ ამ ქვეყნად არ ვიქნებით...

**თაფლო** — (**ახლა კარღიაში დგას და შვილს უხმობს**)

ციბრო! ციბრო! ქა, სად გაქრა?!
ჭალაში თუ გაჰყვა ბალღებს.
უდარდელი ყმაწვილია...

**ჯაგრო** — და მეც სწორედ ეგ მანაღვლებს.

**თაფლო** — (**ისევ თავის საქმეს მიუბრუნდება. ნემსს კარგა ხანს ამაოდ უკირკიტებს**)

საცა არის, ის ყვანჩალა
ყვავიც თავზე დაგვადგება...

**ჯაგრო** — დღესაც თუ არ გავისტუმრეთ,
გვაწყევლინებს დაბადებას.

**თაფლო** — (**წაუტირა**)

ვაი, ჩვენს უბედურ თავსა!
ვინ დაგვწყევლა, ვინ დაგვთარსა?!
კაბა თუ ვერ შევუკერე,
რა პასუხი გავცე ყვავსა!
ციბრო!

**ჯაგრო** — თავი დაანებე!

დრო ისედაც ბევრი ვკარგეთ...
მომე ნემსი, დედაკაცო,
მე ვეცდები, მე ავაგებ.

**თაფლო** — (**იცინის**) ჰი! ჰი! ჩემზე ბეცი შენ ხარ!

**ჯაგრო** — კარგი, ქალო, ნუ მაწვალებ!

**თაფლო** — მაშ, დავჯდე და შენ გიყურო?
**ჯაგრო** — სულ, სულ ცოტაც დამაცალე...
აჰა, მგონი გავუყარე.
უჰ, ნემსის ყუნწს ასცდა ისევ!
**თაფლო** — ეს საქმეა? დავბერდით და
ერთ სათვალეს ვერ ვეღირსეთ...
**ჯაგრო** — ოჰო, ყუნწში უკვე მოხვდა!
ძაფს მანდედან დახვდი შენა...
**თაფლო** — (ნემსს მეორე მხრიდან უთვალთვალებს).
მიდი, მიდი, ო, გამოძვრა!
ოი, ღმერთმა აგაშენა!

თაფლო ძაფის წვერს ხელს წაავლებს და განასკვავს. უეცრად შორიდან ყვანჩო-ყვანჩალას ყრანტალი მოისმა. შემკრთალი ჯაგრო და თაფლო ფანჯარას მიცვივდნენ.

**ჯაგრო** — აგერ ყვანჩოც მოფარფატებს.
**თაფლო** — მერე შენ რა, ბრალი ჩემი!
**ჯაგრო** — მაგის რისხვას, ჩემო კარგო,
ვერც ერთი ვერ გადავრჩებით!
**თაფლო** — თუმცა რაღას ვსაყვედურობ,
გასაკიცხი მართლა კი ვარ...
**ყვანჩო** — გამარჯობათ, მეზობლებო!
**ჯაგრო** — ნათლიდედას გაუმარჯოს!
**ყვანჩო** — (ოთახს შეათვალიერებს) როგორც ვატყობ, ჩემი კაბა ისევ შესაკერი დაგრჩათ?!
**ჯაგრო** — (თავს უქნევს)
ამის გამო, რახანია,
მომდურავი გვრჩება ყანჩაც.
**ყვანჩო** — მე არ ვიცი ყანჩა-მანჩა,
დამიბრუნეთ ჩემი ფარჩა!
**თაფლო** — ვაი, ვაი, მე უბედურს!
**ყვანჩო** — (აწყვეტინებს)
კარგი, კმარა!
ეშმაკობა დაგიწყიათ.
ხალხს ატყუებთ წარამარა.

**ჯაგრო** — გესმის, თაფლო, რა გვაკადრა?!
**თაფლო** — ვაი, ჩვენს უბედურ თავსა,
ეს რა დილა გაგვითენდა!
ვინ დაგვწყევლა, ვინ დაგვთარსა?!

ყვანჩო მათ ტირილს ყურსაც არ უგდებს, მაგიდას მივარდება, ყველაფერს აურ-დაურევს, თავის საკაბე ფარჩას ნისკარტს ჩაავლებს და კარისკენ წაფარფატდება.

**ყვანჩო** — თუ მოგვპარბდათ ფული ზლარბებს,
სხვას მივუტან ამ საკაბეს.
აგერ, კაჭკაჭ-კაჭკაჭელას,
თქვენზე ცუდად როდი კერავს...
**თაფლო** — (წინ გადაუდგება)
საით მიგაქვს ეგ ნაჭერი,
ძლივძლივობით გამოვჭერი.
დაგვაცალე ეს დღეც ბარემ,
საღამოსთვის დაგიმთავრებ.
**ჯაგრო** — (ისიც წინ გადაუდგება)
ნათლიდედა, გენაცვალე,
საღამომდე დაგვაცალე.
ნუ გაგვიტეხ სახელს ხალხში,
დღეს ვახშმადაც ჩვენთან დარჩი...

**ყვანჩო** — (გადიდგულდა)

რა ვახშამი, რის ვახშამი!
თქვენი თაფლი, ჩემთვის შხამი!
არაფერი არ მსურს თქვენი,
გზა მომეცით, დამეხსენით!

გაანჩხლებული ყვანჩო თაფლოსა და ჯაგროს გზიდან ჩამოიშორებს და გარეთ გავარდება, შეწუხებული ხელოსნები ძლივს მოვლენ გონს. თავთავიანთ სკამებზე ჩამოსხდებიან და გულამოსკვნილი მოთქვამენ.

**თაფლო და ჯაგრო** — ვაი, რა დღეს მოვესწარით,
რა ცოდვა გვაქვს ამისთანა!
ამ ჩვენს სამარცხვინო ამბავს
ყვანჩო მოსდებს მთელ ქვეყანას...

(შორიდან ციბროს ხმა მოისმის)

**თაფლო** — ციბროს ხმაა, რა აყვირებს?
**ჯაგრო** — წაეჩხუბა ალბათ ვინმეს...
**თაფლო** — (ფანჯარას მივარდა)
ციბრო! ციბრო, შინ შემოდი,
დარდით გულს ნუ დაგვიმძიმებ...
(შემოცვივდებიან ციბრო და ცქვიტა, თან პაწია ბუძგას მოიყვანენ)
**ციბრო** — ერთი შეხეთ, დედი, მამი,
რა ვიპოვეთ მე და ცქვიტამ.
გზაზე ეგდო ღელის პირას...
**ცქვიტა** — თათები სულ დამიჩხვლიტა...
**ციბრო** — (იცინის) ჩვენზე ადრე ეს ტანჩია
კიდაც ბიჭმა შეამჩნია...
**თაფლო** — სუ, ნუ ყვირით!
**ჯაგრო** — ძლივსღა სუნთქავს.
**თაფლო** — თითქოს აღარც უცემს გული.
**ციბრო** — ცხვირპირიდან სისხლი მოსდის...
**ჯაგრო** — (კარგად გასინჯვის შემდეგ დაასკვნა)
გონება აქვს დაკარგული!
**თაფლო** — ასე რატომ გააწვალეთ?
**ცქვიტა** — აკი გითხრათ, ვიღაც ბავშვმა
წელან ბუძგა ნახა გზაზე,
ფეხი ურტყა, ათამაშა... (იცინის)
ალბათ ბურთი თუ ეგონა.
ჰოდა, ხელიც რომ შეახო,
აყვირდა და ავიშვიშდა...

**ჯაგრო** — (ბუძგას მალამოიან საფენებს უმზადებს)

**თაფლო** — ეგ მალამო მოუხდება.
**ჯაგრო** — ნუ მოვაკლებთ პიტნის წვეთებს.
**ციბრო** — ამ ბალიშზე დავაწვინოთ...
**თაფლო** — სულ, სულ მალე მოიკეთებს.
**ციბრო** — (გაუხარდა) მართლა, დედი?
**თაფლო** — ჰო, ხომ ხედავ,
ცალი თვალიც გაახილა.
**ციბრო** — გამარჯობა, ბუძგუნიავ,
მე ციბრო ვარ!
**ცქვიტა** — მე კი ცქვიტა!
**ციბრო** — ასე ნუ კრთი, დამიჯერე,
ვერვინ გახლებს ხელს დღეიდან!
**ცქვიტა** — აქ შვილივით მოგივლიან
ეს ძია და ეს დეიდა!
**ჯაგრო** — კარგით, ახლა მოასვენეთ,
დაღლილია, ძილი ნებავს.
**თაფლო** — ჩვენ მოვუვლით, უთქვენოდაც
არ მოვაკლებთ ყურადღებას.
**ცქვიტა** — ციბრო, გარეთ არ გამოხვალ?
**ციბრო** — ერთი წუთით წავალ, დედა!
**ჯაგრო** — (თათს ჩაავლებს ციბროს და გვერდით მოისვამს)
გეყო უქმად ხეტიალი,
ჩამოჯექი აქ, ჩემს გვერდით!
(ეზოდან ცქვიტას დედის ხმა მოისმა)
— ცქვიტა! ცქვიტა! სად ხარ, შვილო?
ცქვიტა! თეთრა! ყურპანტურა!
**თაფლო** — შენც მიხედე, ბიჭო, საქმეს,
არ მოგწყინდა უქმად ხტუნვა?!
**ცქვიტა** — წავალ, თორემ დედაჩემი
მამას ამბავს დაახვედრებს.
ჰო, ჰო, ის კი ისეთია,
ამიჭრელებს წკნელით გვერდებს...
(გარბის)
**თაფლო** — მამის როგორ ეშინია...
**ჯაგრო** — ეს კი ჩირადაც არ მაგდებს.
**ციბრო** — მე არავის შიში არ მაქვს.
უკვე დიდი გავიზარდე!
**თაფლო** — ჰოდა, დროა დაგვეხმარო,
შენც მოჰკიდო საქმეს ხელი...
**ჯაგრო** — ხარაზობა შეისწავლო...
**თაფლო** — ან თერძობა...
**ციბრო** — დამეხსენით!
**ჯაგრო** — ჩვენ დავბერდით, დავუძლურდით,
აღარაფრის თავი არ გვაქვს.
**თაფლო** — საქმეს ვეღარ ავუდივართ
და დღითი დღე მუშტარს ვკარგავთ.
**ციბრო** — სხვის ჯღანებზე ოფლი ვღვარო?
ან ნემსს და ძაფს ვუკირკიტო,
თვალები ამოვიღამო
და თითები დავიჩხვლიტო?!
მე ხარაზი არ გამოვალ
და არც თერძი, ეს იცოდეთ!
**ჯაგრო** — უსაქმური გინდა დარჩე?
**თაფლო** — თავს ნუ მოგვჭრი, შეგვიცოდე!

**ციბრო** — არა, არა, უსაქმური
არ დავრჩები, ნუ გაქვთ ჯავრი.
დღესვე წავალ მელიასთან
და სიმღერას შევისწავლი.
**თაფლო** — ვისთან წახვალ?
**ციბრო** — მელიასთან
და ტურიკო-ტურიკოსთან.
ყველა იცნობს იუმორის
და სიმღერის ორ დიდ ოსტატს.
**ჯაგრო** — გასულელდი?!
**ციბრო** — ვითომ რატომ?
**თაფლო** — მსახიობი გინდა გახდე?!
**ჯაგრო** — ეგ ამბავი იგივეა,
კურდღელი რომ ხეზე ახტეს.
დღემდე რად არ გაგვიმჟღავნე
ეგ სურვილი უცნაური...
გაგონილა, ზღარბს სიმღერით
მოეპოვოს ლუკმა-პური!
მამაჩემი ხარაზობდა,
პაპაჩემიც,
პაპის პაპაც...
ჩვენ ეს საქმე თვითონ ღმერთმა
დაგვანათლა ზღარბებს ალბათ.

**ციბრო** — რაც ვისურვე, ის გავხდები.
დიდი ვარ და ვერ დამიშლით.
**თაფლო** — კარგი, შვილო, რას ჯიუტობ...
(წასასვლელად გამზადებულ ციბროს შეჩერებას უპირებს).
**ჯაგრო** — დაეხსენი, დე წავიდეს!
ნუ აჩერებ, გესმის, ქალო?!
მაგ სიჯიუტით რაც მოუვა,
საკუთარ თავს დააბრალოს.
(ციბრო კარს გამოაღებს და ეცებ გავარდება)
**თაფლო** — (თავში თათებს წაიშენს)
ვაი, ჩვენს უბედურ თავსა!
ვინ დაგვწყევლა, ვინ დაგვთარსა!
**ჯაგრო** — მალე ჯავრი სულ მოგვტეხავს.
ვინ გაგვიყრის ნემსში ძაფსა?!
**ბუძგა** — (ფუმფულა ბალიშზე წამოწოლილი თავს წამოჰყოფს)

თაფლო დეიდ,
ძია ჯაგრო,
მე აქ არ ვარ?
რისთვის ჯავრობთ?!
უკეთა ვგრძნობ უკვე თავსა,
მე გაგიყრით ნემსში ძაფსა!

ფ ა რ დ ა

## მეორე სურათი

ციბრო ზღარბი ღიღინით მოჰყვება ტყის პირს. უეცრად თვალი მოჰკრა ახლად წამოწყებული შენობის ხარაჩოებს. ხარაჩოებზე თახვები — ვახახო და ვახუნა საქმიანობენ.

**ვახახო და ვახუნა** — (მღერიან)

ყველა გვიცნობს ამ ტყეში
ვახახოს და ვახუნას.
პირზე გვშვენის ულვაში,
თავზე ქუდი გვახურავს.
ოდელია-დელია,
შრომა სასურველია.
სახლის აშენებაში
მეგობრებიც გვშველიან...

**ციბრო** — შრომის გმირებს გაუმარჯოს!
**ვახახო** — გაგიმარჯოს, მეგობარო!
**ციბრო** — რა იქნება, მშენებლებო,
შეგირდად რომ მოგებაროთ?
**ვახუნა** — რაო, ვახახ, რა მინდაო?
**ვახახო** — რა და, ვახუნ, ჩემო დაო,
მომწონს თქვენი შენობაო,
მეც მასწავლეთ ხელობაო!
**ვახუნა** — ერთი დახეთ, ამ ქაცვიას,
უსუსურს და ტანად ციდას.
ჩვენთან შრომას როგორ შეძლებს,
ერთ აგურსაც ვერ აზიდავს.
**ციბრო** — ჰი, ეს რა თქვა! ვაი, ბიჭო!
ეს მარჯვენა მომტყდეს მაშინ,
თუ ჩამოგრჩეთ ზღარბი ციბრო
გინდ ლხინში და გინდ შრომაში!
(აგურის გროვასთან მიირბენს და უნდა თახვებს დაუმტკიცოს, რომ მკლავში ძალა მასაც აქვს).

მაშ, მიცქირეთ! აი, ერთი!
ეს ორი და ესეც სამი!

(თათებში სამი აგური ჩაუბღუჯავს).
**ვახახო** — ყოჩაღ! თურმე აღარ ხუმრობს...
**ვახუნა** — (ხითხითებს) შეხე, სული გასძვრეს ლამის!
**ვახახო** — არა, მართლაც მარჯვე გახლავს...
მსგავსი ზღარბი არ მინახავს.
**ციბრო** — ჰოდა, რაკი მოგეწონეთ,
მაშ, შეგირდად დამიყენებთ?
მშენებელი რომ გამოვალ,
გავახარებ სახლში ჩვენებს.
**ვახუნა** — გვითხარ მაინც, რა გსურს გახდე,
დურგალი თუ კირითხურო.

**ციბრო** — ინჟინერი!
**ვახახო** — (სიცილი აუვარდა)
**ვახუნა** — მართალს ამბობ, არა ხუმრობ?
**ვახახო** — შენ ეგ სულელური აზრი
ამოიგდე მაგ თავიდან!
**ციბრო** — არა, ინჟინრობის გარდა,
არაფერი სხვა არ მინდა.
ხელოსნობა რომ მდომოდა,
შინ დედ-მამა მასწავლიდა.
რაღა ნემსთან კირკიტი და
რაღა ქვების ხელით ზიდვა.
თახვი თუა ინჟინერი,
მე იმაზე ცუდი რით ვარ?!
**ვახუნა** — არა შეჯდა მწყერი ხესა,
ძმაო, შენზე უთქვამთ მართლაც,
ჩვენ ეს ნიჭი და უნარი
თვით ბუნებამ დაგვანათლა.
**ციბრო** — ნიჭი მეც მაქვს: ვხატავ, ვცეკვავ
და სიმღერაც მეხერხება.
**ვახახო** — ეი, ზღარბო, ზღარბუნიავ,
კიტრად არ ღირს თავის ქება!

**ვახუნა** — წადი, შენს გზას დაადექი
და დედ-მამამ რაც გირჩია,
ის აკეთე...
**ციბრო** — ესე იგი
მათ გზას გავყვე?
**ვახახო და ვახუნა** — დიახ! დიახ!
**ციბრო** — გმადლობთ, მაგრამ ვფიცავ, მაინც
ავისრულებ, რასაც ვფიქრობ.
მალე სახელს მოვიპოვებ
და გახდება ზღარბი ციბრო
თქვენზე კარგი ინჟინერი,
დიახ, დიახ, ინჟინერი!
უფრო დიდ სახლს ავაშენებ!
**ვახუნა** — ეგ ტრაბახი არ შეგფერის.
**ვახახო** — კარგი, თავი დაგვანებე,
ლაპარაკით ნუ დაგვღალე.
უჭკუობით რაც მოგივა,
საკუთარ თავს დააბრალე.
**ვახუნა** — (ციბროს გასაგონად)
აგერ, მურა ძაღლიც მოდის!
**ვახახო** — (იცინის) ზღარბო, შენ რამ დაგაფეთა?!
**ციბრო** — ძაღლს ნეტავი აქ რა უნდა?!
**ვახუნა** — ცივი წყალი მოაქვს ჩვენთან...
**ციბრო** — მაშ წავედი! (შეშინებული გარბის)

ფ ა რ დ ა

## მესამე სურათი

შუაგულ ტყეში მწვანე ბორცვზე ცხოველთა შეჯიბრი მიმდინარეობს კრივში. ერთმანეთს ხვდებიან დათვის ბელები — დანდალა და ბანდალა. სირბილით დაქანცული ციბრო მაყურებელ გოჭს მოუჯდება გვერდით.

**ციბრო** — მითხარ, ძმაო, აქ რა ხდება,
რად ხმაურობს ხალხი ასე?
**გოჭი** — სულ არა ვარ ახლა შენთან
ლაპარაკის ხასიათზე...
**ციყვი** — თვალი გაქვს და დააკვირდი!
**გოჭი** — მიდი, ბანდალ! ბანდალ, მიდი!
კინკრიხოში მისცხე მაგრად!
**ციყვი** — მუშტი მაგას! მუშტი მაგას!
**გოჭი** — ვახ, რას შვრება, ერთი შეხეთ!
ძლივძლივობით ადგამს ფეხებს!
**ციყვი** — დანდალასთან რას გახდება,
ძნელი არის გამარჯვება.
**გოჭი** — აღარ გახსოვთ, ამას წინათ,
ერთი დარტყმით დააწვინა.



**ციყვი** — ეს კი, მაგრამ განა გუშინ
არ ჩააგდო ნოკაუტში?
**გოჭი** — ვინ, დანდალამ?
**ციყვი** — დიახ! დიახ!
**ციბრო** — ვაშა! დარტყმაც ამას ჰქვია!
**ციყვი** — ყოჩაღ, დანდალ!
**ციბრო** — დანდალ, ყოჩაღ!
**ციყვი** — გაიმარჯვა ნალდად, მორჩაა!
**მსაჯი მაჩვი** — ერთი! ორი! სამი!
ოთხი!
**გოჭი** — ადექ, ბანდალ!
**მსაჯი მაჩვი** — ხუთი! ექვსი, შვიდი!
რვა! ცხრა!
**ციყვი** — დაამარცხა!
**ციბრო** — დაამარცხა!

**ციყვი** — აბა, ტაში! ტაში დასცხეთ
და აქ დამსწრეთ
ყველას ამცნეთ,
რომ დანდალამ გაიმარჯვა...
**ერთხმად** — ვაშა! ვაშა,
ჩვენს დანდალას!
**ბანდალა** — **(ძლივს წამოდგა და გოჭის დახმარებით წინ წამოვიდა)**
კვლავ მოვიკრებ მკლავში ძალას,
მერე ვნახოთ, ვინ აჯობებს... **(ტირის)**
**გოჭი** — ნუ აჰყვები, ძმაო, გრძნობებს.
წამო ჩემთან, წაბლი ვჭამოთ...
ჰო, კინაღამ დამავიწყდა,
ქეიფი მაქვს ამ საღამოს
და თამადად მსურს შენ დაგსვა,
ბევრი ღვინო უნდა გვასვა...
თანახმა ხარ?

**ბანდალა** — რა თქმა უნდა...
**გოჭი** — **(ხითხითებს)** ჭამა-სმისთვის
მზად ვართ მუდამ! **(გადიან)**

**ციყვი** — სპორტულ რეჟიმს რომ არ
იცავს,
მიტომ მისდის საქმე ცუდად...
**ციბრო** — არც მე ვიცავ სპორტულ
რეჟიმს,
მკლავში ძალა მაინც მერჩის...
არ გეგონოთ ვინმეს მხდალი,
თუმცა არ მაქვს დიდი ჯანი,
ვისაც გნებავთ, შემეჯიბრეთ,
ჰა, ბურთი და მოედანი!

**ციყვი** — ძმაო, ძალა თუ გაქვს მკლა-
ვში,
სასწავლებლად ჩვენთან დარჩი.
კრივში ყოველდღიურ ვარჯიშს
შეგვასწავლის ძია მაჩვი.

**ციბრო** — რის ვარჯიში, რა ვარჯიში!
არ გვვარგათ ციყვებს ჯიში.
ბევრი სწავლა კრივს რად უნდა,
თუ გივარგა კუნთი კუნთად,
დასცხე მაგრად, ისე მაგრად,
მოეჩვენოს ერთი ხუთად...
**(თათებს დამუშტავს და ციყვს წინ დაუდგება)**
ჰა, გამოდი, რაღას უცდი,
თორემ ცხვირში დაგკარ მუშტი!
**ციყვი** — ვუი, როგორ შემაწუხე...
**ციბრო** — ჰა, თუ გინდა. მსაჯსაც უხმე...
**ციყვი** — დამანებე, ძმაო, თავი!
**ციბრო** — რას დაშინდა საცოდავი!
**ციყვი** — ვინ ყოფილა ეს ტრაბახა!
**ციბრო** — მოკრივესაც ახლა ვნახავთ!
**ციყვი** — კარგი, რადგან ძალიან გსურს,
ერთი დარტყმით გაგცემ პასუხს.
**(მოუქნევს ხელთათმნიან მუშტს და ციბრო მაშინვე ძირს დაეცემა).**
**ციყვი** — ერთი! ორი! სამი! ოთხი!
ეს გახსოვდეს, ძმაო, მუდამ,
ყოველ საოცნებო საქმეს
ვარჯიში და სწავლა უნდა!

ფ ა რ დ ა

## მეოთხე სურათი

**მელია ბულბულაძისა და ტურიკო ტოროლაძის ბინა. როიალთან ტურიკო ზის, მელია და ციბრო გვერდით დგანან.**

**მელია** — ციბრო, კარგად მომისმინე
და სიმღერით აჰყევ ბგერებს...
**ციბრო** — ავყვე! ჯერ თუ არ მასწავლეთ,
აბა, ისე რას ვიმღერებ?!
**ტურიკო** — ბგერებს აჰყევ, ბგერებს, გესმის?!
დოო! რეე! მიი! ფაა!
ფა! მი! რე! დო!
**ციბრო** — **(მღერის)** დო! რე! მი! ფა!
ფა! მი! რე! დო!
**ტურიკო** — **(მელიას)** ვერას ვიტყვი, საიმედოს...
სმენა კიდევ უფრო სუსტი.
გარეგნობაც უსიამო,
ტანი — ციცქნა, სახე — კუშტი.
**ციბრო** — **(მოიწყენა)** ესე იგი, როგორც ვატყობ,
მომღერლადაც არ ვივარგებ.
რაღა პირით დავენახო
დედას, მამას, ამხანაგებს.
ძალიან გთხოვთ, მოვინდომებ
და იქნება შევძლო რამე.
გეფიცებით, მომღერლობას
ვოცნებობდი დღე და ღამე...
**მელია** — იუმორი როგორი აქვს?
**ტურიკო** — თავად გახლავთ სასაცილო...
**მელია** — კარგი. რადგან გულითა გვთხოვს,
სჯობს დრო აღარ გავაცდინოთ,
ჯამბაზობა შევასწავლოთ;
ფოკუს-მოკუს, ჰოპლა, ჰერი!
ესტრადაზე გამოვიხმობთ
ცეკვით, ლექსით და სიმღერით...
აბა, ახლა საცეკვაო
დაუკარი, ჩემო ტური!
**ტურა** — მაინც... მაინც, რომელი გსურთ?
**მელია** — ქართული ან ბალდადური!
**(ტურიკო ჯერ ქართულს დაუკრავს, მერე ბალდადურს, მაგრამ ციბრო თავდახრილი დგას და ცეკვას ვერ ბედავს).**
**მელია** — რაო, ცეკვაც აღარ იცი?!
ჰა, გაუსვი ფეხი მარდად!
**ტურიკო** — მალე, მალე, გვეჩქარება,
დღეს ფერმაში კონცერტს ვმართავთ!
**მელია** — ტვისტი, ტვისტი დაუკარი!
**(ციბროს)**
შენ ჩასჭიდე ჩემს კუდს თათი,
უკან ცეკვით გამომყევი,
მოიშალე ხათრი-მათრი!
**ტურა** — ფეხი სწრაფად ამოძრავე.
მასე, მასე! უფრო მარდად!
**(ციბრო მელას უკან დასდევს და მის მიერ ნაჩვენებ ილეთებს იმეორებს).**
**მელია** — ყოჩაღ! ყოჩაღ! მომილოცავს!
**ტურა** — დახე, როგორ გათამამდა!
**მელია** — **(ხითხითებს)**
კარგი, გეყო, გეყო, ციბრო,
უჰ, სიცილით ნუ დაგვხოცე!
ახლა კარგად მოგვისმინე,
დღეს ფერმაში ვმართავთ კონცერტს.
**ტურა** — ნომრებს შენ გამოაცხადებ...
**მელია** — არ დაგეტყოს ბზარი ხმაში...
**ტურა** — და პირველად, ეს იცოდე,
შენვე უნდა დაჰკრა ტაშიც.
უკვე დროა. აბა, ახლა
საკონცერტოდ გავემზადოთ...
**ციბრო** — მაშ, სცენაზე გამოგყავართ?!
დიდად გმადლობთ! დიდად გმადლობთ!
**(ორივეს გადაეხვევა და კოცნის, თან მთელი ხმით გაჰყვირის: დოო! რეე! მიი! ფაა! სოოლ! ლაა! სიი! დოო!)**

ფ ა რ დ ა

## მეხუთე სურათი

**ქათმების ფერმა. შუა დარბაზში პატარა სცენაა მოწყობილი. მიკროფონთან ციბრო დგას და ტექსტს კითხულობს.**

**ციბრო** — მეგობრებო, პირველ ნომრად
თქვენ მოუსმენთ ორ მომღერალს:
ბულბულაძე მელიას და
ტოროლაძე ტურიკელას...
**მელია** — გაგიხარებთ ყველას გულებს...
**ტურიკო** — ავითრთოლებთ ყველას გულებს...
**მელია** — გიტარაზე თქვენს საყვარელ
„საახალწლოს" შევასრულებთ!
**ციბრო** — ტაში დასცხეთ, ტაში მაგრად!
რაღას დგახართ, აბა, რაღას!
ნუთუ არ გსურთ, მომღერლებმა
თავი იგრძნონ უფრო ლაღად!

**(მაყურებელთა ტაშის ხმა გაისმა. მელიამ და ტურამ გიტარებიააჟღერეს და მღერიან)**

დელა-დელია-დელია,
დღეს ხომ ახალი წელია!
სტუმრად გვწვევია, გვწვევია
ტურიკელა და მელია.
სუყველა ხარობს ფერმაში,
ვინც მათი მასპინძელია.
დელა-დელია-დელია,
სუფრა გაშალეს გრძელია.
აქეთ მოუსვეს ტურიკო,
იქეთ — ღუნღულა მელია.
ეს რომ მურიამ გაიგო,
ბრაზისგან გადაგვერია.
წამოხტა, ყეფა დაიწყო,
ჯავრი აწუხებს ძველია.
შეხედეთ, ხალხნო, მურიას,
რა ცუდი მასპინძელია...

**ციბრო** — აბა ტაში, ტაში სტუმრებს!
ჰოდა, ეყოთ, რაც იხუმრეს!
ახლა ვინ დგას თქვენს წინ, ხედავთ?
**(თავს უკრავს მაყურებელს)**

შემოქმედი ახალბედა!
დაუკარი, აბა, ტური,
საცეკვაო ახლებური!

**მელია** — შემოქმედი ახალბედა!
**ტურა** — დახე, როგორ გათავხედდა!

**(მელია და ტურიკო კულისებში გავიდნენ. ისმის მუსიკის ხმა. ციბრო ტვისტს ასრულებს, თან მთელი ხმით გაჰყვირის: მე ვარ ზღარბი ციბრუტელა! აბა, ტაში, ტაში ყველამ!)**

**ციბრო (ცეკვა შეწყვიტა და ისევ მიკროფონთან დადგა)**

მელია და ტურასავით,
მართალია, ვერ გაამებთ,
მაგრამ რა ვქნა, მოსწავლე ვარ
და გიმღერებთ ახლა გამებს.
დოო! რეე! მიი! ფაა! სოოლ!
ლაა! სიი! დოო!
ჯერჯერობით ეს ვისწავლე.

**ხმები** — კიდევ! კიდევ!
გაუმარჯოს ზღარბ ციბრუტას!

**მელია** — დახე, ეს რა ტაში დასცხეს!
**ტურა** — ჩვენ გვიკრავდნენ კანტი-
კუნტად...
**ციბრო** — ტაშს მიკრავენ! კვლავ მიხ-
მობენ!
**ტურა** — რაღას დგახარ, გადი მერე!
**ციბრო** — სირცხვილია, წარამარა
ამ გამებს ხომ არ ვიმღერებ!
**მელია** — შე სულელო, რა გადარ-
დებს!
**ტურა** — გადი, მიკროფონთან დადექ!
ჩვენ კი ცოტას მოვისვენებთ.

**(ციბროს მიკროფონისკენ მიატრიალებენ, მელია და ტურა იქვე ნერწყვმომდგარი ჩურჩულებენ)**

**მელია** — ვიდრე ართობს ციბრო
მსმენელს,
დავუაროთ იმ დიდ ყუთებს,
სავსე არის კვერცხით ყველა...
**ტურიკო** — ის დედალი მოვიტაცოთ,
კართან რომ ზის ყელტიტველა.
**მელია** — დრო დაგვიდგა სანატრელი!
**ტურიკო** — ჰოდა, წამო, რაღას ვე-
ლით! **(გადიან)**
**ციბრო** — **(მღერის)**
ზღარბები ვართ, ზღარბუნები —
ჯაგრო, თაფლო, ციბრუტელა.
მზეს სიმღერით ვეგებებით,
აბა, დელი-დელი-დელა!
ზარმაცები ძლიერ გვძულს და
შრომისათვის ვუხმობთ ყველას.
შრომითა ვჭამთ ლუკმა პურსა,
აბა, დელი-დელი-დელა!..
დედაჩემმა — თერძმა თაფლომ
შემასწავლა ეს სიმღერა...

**(შორიდან უეცრად ძაღლების ყეფა და კრუხ-წიწილის წივილი მოისმა. შემოვარდა მურია)**

**მამალი** — ყიყლიყოო! რაღას დგე-
ხართ,
მოგვეშველეთ, ხალხნო, ჩქარა!
**დედალი** — კაა! ჩაკეტეთ, კა! კა! კა!
კა!
ფერმის ყველა კარ-ფანჯარა!
**მამალი** — ტურიკოს და მელაკუდას
სურდათ ფერმა გაეძარცვათ,
მაგრამ მალე შეიპყრობენ
და თქვენს თვალწინ დავსჯით
მკაცრად!

**ფრინველთა ხმები:** — დაიჭირეს! და-
იჭირეს!
— გაკოჭილი მოჰყავთ აქეთ!
— კუდიანი თვალთმაქცები,
მოდით, ნახეთ! მოდით, ნახეთ!

**ციბრო** — **(გაკოჭილ ტურასა და მელას მივარდა)**
თქვე წუწკებო, ეს რა ჰქენით?!
**ტურიკო** — ერთხელ, ძმაო, ბრძენიც
შეცდა...
**მამალი** — **(ციბროს ყურში ჩააფრინდა ნისკარტით და წინ გაიგდო)**
შენც ამათი ძმაკაცი ხარ
და გაიყოფთ სასჯელს ერთად!
**ციბრო** — მე?! მე რატომ?!
**დედალი** — აბა, მითხარ,
რაღად უნდა ამას კითხვა!
ამხანაგი როგორიც გყავს,
შენც უთუოდ ისეთი ხარ...
**მამალი** — კარგად ვიცით, ვინც ბრძა-
ნდებით.
აქ ჩვენ შენი ჯამბაზობით
სიცილისგან გავიგუდეთ...
**დედალი** — ახლა მივხვდით, რომ
გვართობდი,
ხელს უწყობდი ამით ქურდებს.
**მურა** — მე სამთავეს, მეგობრებო,
მსურს სასჯელი დავდო მკაცრი.
**მელა** — შეგვიბრალეთ...
**ტურიკო** — ნუ გაგვწირავთ...
**მურა** — მელაკუდას კუდს წავაჭრით,
ტურას...
**ტურა** — ვაი, გული მიმდის...
**მურა** — ტურას წავჭრათ ცალი თათი!
**ციბრო** — ვაი, ჩემო დედა, მამა...
თუ გადავრჩი დღეს მე ამათ,
მომღერლობას არც ვიფიქრებ,
სასიმღერო აღარ მაქვს!
**მურა** — ზღარბი ციბროც დაისაჯოს,
სხვა ნაწყენი რომ არ დაგვრჩეს,
ბნელ ხაროში ჩააყუდეთ
და გაჯოხეთ დღეში ათჯერ!
**ციბრო** — დღეში ათჯერ? ბნელ ხა-
როში?!
ამისთანა გაგონილა!
თხუნელა ხომ არ გგონივართ?!
**მამალი** — მურას სიტყვა კანონია...
**მურა** — აბა, საქმეს შეუდექით,
მსჯავრი ითხოვს აღსრულებას!

ფ ა რ დ ა

## მეექვსე სურათი

**გზა ციბროს სახლის წინ. შემოდის ციბრო, დაღლილ-დაქანცული ძლივს მოლასლასებს.**

**ციბრო** — აგერ, ესეც ჩემი სახლი...
რაღა ვუთხრა ახლა მშობლებს!
გათოშილს და ნაგვემ-ნაცემს
რომ მნახავენ, ვერც მიცნობენ.
ვაი, როგორ გავიყინე!
**(კარზე მიაკაკუნებს)**
ჰა, გამიღეთ ჩქარა კარი!
**ბუძგა** — რომელი ხარ?
**ციბრო** — თქვენი ციბრო,
ჯიუტი და უმეცარი...

**ბუძგა** — რაო, რაო! უჭკუოო?!
იქნებ კარგად ვერ გავიგე.
ეს უთუოდ მელიაა
და ეშმაკურ მახეს მიგებს.
მერე ჩემთან რას მობრძანდი,
აქ ჭკუას კი არ ვარიგებ.
**ციბრო** — დედი, მამი, ვერ მიცანით?
მე ციბრო ვარ, თქვენი შვილი.
**ბუძგა** — ნუთუ მართლა?!
**ციბრო** — დიახ! დიახ!
კართან ვდგავარ გათოშილი.
**ბუძგა** — **(კარს აღებს)**
კი, ციბრო ხარ! ძლივს გიცანი,
აღარ ჩანდი სამი თვეა...
**ციბრო** — უხ, რა ვიცი...
**ბუძგა** — რასა გავხარ! ვუი, ეს რა
დაგმართია?!
ან აქამდე სად იყავი,
თავი როგორ მოგვანატრე.
რახანია მოგელოდით,
ვერ დაბრუნდი ცოტა ადრე?
დედაშენი...
**ციბრო** — შენ ვილა ხარ?!
**ბუძგა** — მე ბუძგა ვარ, პაწაწინა,
შენ და ცქვიტამ რომ მიპოვეთ
უღრან ტყეში ამას წინათ...
**ციბრო** — გაზრდილხარ და ვერ
გიცანი.
**ბუძგა** — ეხ, თქვენებმა მიპატრონეს,
მომარჩინეს და იხმარეს
ყოველგვარი ძალა, ღონე,
რომ ნასწავლი ვყოფილიყავ,
ჰოდა, კერვა უკვე ვიცი.
უჰ, იმდენი მუშტარი მყავს,
ჭამისთვისაც ველარ ვიცლი...

**(ციბრო ამასობაში თაფლოსა და ჯაგროს გადიდებულ სურათებს შესცქერის)**

ძია ჯაგრო შენზე ფიქრმა
ჩამოადნო ნელა-ნელა...
**ციბრო** — დედაჩემი?
**ბუძგა** — ისიც ქმრის და
შვილის დარდმა მოინელა...
**ციბრო** — **(ატირდა)** მაშ, დედ-მამა აღა-
რა მყავს?
ვაი, ბუძგავ, ეს რა მითხარ!
**ბუძგა** — კარგი, გეყო, ნუღარ სტირი,
ახლა უკვე ვაჟკაცი ხარ...
არასოდეს დაბრუნდება
ის დღეები უზრუნველი.
სჯობს მოეშვა დარდს და წუხილს
და მოჰკიდო საქმეს ხელი.
რაც დედ-მამას გულით, სულით,
ციბრო, შენთვის სურდათ ადრე,
ახლა მაინც მოინდომე,
ახლა მაინც გაუმართლე....

ფ ა რ დ ა



№181

ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზნეობის ანბანი




**შემწყნარებლობა —**

**უნარი მოთმინებით, შეწყნარებით მოეპყრა სხვის ჩვევებს, შეხედულებებს.**

მწერალ ვ. ტენდრიაკოვის მოთხრობაში „ღამე გამოსაშვები ზეიმის შემდეგ“ არის ასეთი სცენა — სწორედ გამოსაშვები საღამოს ზეიმის შემდეგ მეათეკლასელები გადაწყვეტენ მოაწყონ საშიში ექსპერიმენტი: თითოეულმა თქვას ამხანაგების შესახებ ყველაფერი, დაუფარავად. აქ ნურაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ამას ისინი აკეთებდნენ ყოვლად მიუღებელი სისასტიკით, ყოველგვარი „პედაგოგიური მიდგომის“ გარეშე, არ უფიქრდებოდნენ. რა შედეგი შეიძლებოდა ამას გამოეღო, რომ არ შეიძლებოდა ასეთ გაშიშვლებულ პირდაპირობას სიკეთე მოყოლოდა.

ალბერტ შვეიცერი, ექიმი და მუსიკოსი, ალტრუისტი[1], რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ამა ქვეყნის სუსტების სამსახურს შეალია, და რომელმაც შესანიშნავად იცოდა ადამიანის ფსიქოლოგია, თქვა: „ერთმანეთის შესახებ ყველაფრის ცოდნა არ ნიშნავს ერთმანეთის ცნობას“. მართლაც, ადამიანს აქვს თვისებები, რომელთაც იგი გულმოდგინედ მალავს, შესაძლოა ებრძვის კიდეც. და თუ ადამიანის, სწორედ იმ თვისებებზე მიაპყრობ ყურადღებას, ეტყვი ამის შესახებ უხეშად, ყოველგვარი ტაქტის გარეშე, ეს უთუოდ ცუდ შედეგს გამოიღებს.

ამან შეიძლება იგი გააბოროტოს. სწორედ ასე მოხდა ამ მოთხრობაში: გენკა (მოთხრობის ერთ-ერთი გმირია), თავკერძა იყო, ყველაფერში „საკუთარი სიკარგის“ ანარეკლს ხედავდა, მაგრამ შემოაძარცვეს რა მის სულს. სიჭაბუკის დამახასიათებელი მაქსიმალიზმით, ყველა სამოსი, ამით მისმა ამხანაგებმა უბედურება დაატრიალეს.

მაქსიმალიზმის საპირისპირო ცნება არის შემწყნარებლობა.

...დიდი ხანია აღიარებულია, რომ მშობლებსა და შვილებს შორის დამოკიდებულება ისევე რთულია და დრამატული, როგორც შეყვარებულებს შორის. ტყუილად როდია, რომ მსოფლიო ლიტერატურის შედევრების უმეტესობაში ძირითადი კონფლიქტი სწორედ ამ ურთიერთობებზეა აგებული — ურთიერთობებზე შეყვარებულებსა და ერთი ოჯახის სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა შორის.

მოდით, ჯერ ჩემი ჟურნალისტური პრაქტიკიდან გიამბობთ ერთ შემთხვევას: მეათეკლასელმა გოგონამ რედაქციაში წერილი გამოგზავნა. წერილიდან ირკვეოდა, რომ გოგონას ესირცხვილებოდა თავისი მშობლების: ისინი გაუნათლებლები, მოუხეშავები არიან, ხუმრობა არ ესმით, ძველმოდურად იცვამენ, ლაპარაკისას სიტყვებს არასწორად წარმოთქვამენ, — ჩიოდა წერილის ავტორი.

ამ ოჯახის გაცნობისას გაირკვა, რომ ბოლო ერთი წლის მანძილზე ქალიშვილი არც ერთხელ არ გამოსულა სახლიდან მშობლებთან ერთად. როდესაც სკოლაში მშობელთა კრებებს იწვევენ, გოგონა დედ-მამას ამას უმალავს, რომ ისინი კრებაზე არ წავიდნენ და მისმა თანაკლასელებმა არ გაიგონ, რომ მას ასეთი „ჩამორჩენილი“ მშობლები ჰყავს.

მოდით, ნუ ავჩქარდებით ამ გოგონას გაკიცხვაში, როგორც ეს ხდება ხოლმე ჩვეულებრივ. მოდით, ჩავუკვირდეთ რა უშლის ხელს მას, პატივი სცეს ადამიანებს, რომელთაც სიცოცხლე აჩუქეს. გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ მშობლების მოუხეშაობა და სიტყვების არასწორად გამოთქმა იყოს. აქ რაღაც სხვა უფრო ღრმა და მნიშვნელოვანია. მაინც რა?

სკოლის უფროს კლასებში ახალგაზრდა უფრო ღრმად უფიქრდება თავის დღევანდელ და ხვალინდელ მდგომარეობას საზოგადოებაში, იგებს ახალმოდურ სიტყვებს „პრესტიჟი“, „საპრესტიჟო სიტუაციები“. მისი საკუთარი „პრესტიჟი“ კი დიდად არის დამოკიდებული ოჯახის პრესტიჟზე.

რა არის პრესტიჟი? რაც უფრო განვითარებულია საზოგადოება, მით უფრო მეტად ფასობს განათლება. მშობლების ფართო განათლება, შესაბამისად მათი მდგომარეობა, თანამდებობა, კეთილდღეობა მათი შვილებისათვის სიამაყის წყაროა. და თუ მშობლების ცოდნამ, განათლებამ დიდი აღიარება და ადამიანთა ფართო წრის პატივისცემა დაიმსახურა — ეს შვილებში კიდევ უფრო მეტ სიამაყეს ბადებს. სამწუხაროდ, ცხოვრებაში ყოველთვის ასე როდი ხდება.

14-15 წლის მოზარდმა უკვე გადააბიჯა იმ ზღვარს, როცა უსიტყვოდ შეუძლია მიიღოს ყველაფერი, რაც მშობლიურ ოჯახში გარს არტყია, მაგრამ ჯერ კიდევ არ შესწევს უნარი შეაფასოს და ახსნას სულ ახლახან მის მიერ აღმოჩენილი „ნაკლი“ მშობლებისა.

რადგან დღეისათვის სწავლის შესაძლებლობა გაცილებით მეტია, ვიდრე ეს 20-30 წლის წინათ იყო, რადგან ჩვენი საზოგადოება პროგრესულად ვითარდება, ამდენად ძალზე ბევრია ოჯახები, სადაც ბავშვები მშობლებზე გაცილებით უფრო განათლებულები არიან, მაგრამ ამაში არც კონკრეტული ბავშვების დამსახურებაა და არც კონკრეტული მშობლების ბრალი. ეს გახლავთ საზოგადოების ნორმალური განვითარების მაჩვენებელი, ბუნებრივი დადებითი მოვლენა. დიახაც სასიხარულოა, რომ დღეს ჩვენი შვილები მშობლებზე უფრო განათლებულები არიან!

დიპლომი, თანამდებობა, ტანსაცმელი — ეს ყველაფერი — ადამიანის გარეგნული ნიშნები გახლავთ და ამაში როდია ოჯახის სიმდიდრე. სულიერი კავშირი, სულიერი ნათესაობა მშობლებსა და შვილებს შორის — ეს არის ოჯახის მთავარი სიმდიდრე, მთავარი პრესტიჟი. 15-16 წლის ადამიანს ძალუძს ისწავლოს ახლობელი ადამიანების დაფასება, უპირველეს ყოვლისა, მათი ზნეობრივი თვისებებისათვის, (სულიერი სიმდიდრე, პატიოსნება, შრომისმოყვარეობა, უანგარობა) — ერთი სიტყვით, ადამიანობისათვის. შემწყნარებლობა ადამიანებთან დამოკიდებულებაში — ეს მხოლოდ დამყოლი ხასიათი როდია, იგი ჭკუისა და ცხოვრებაში წვდომის უნარის ქონება გახლავთ.

---

[1] ალტრუისტი — უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისათვის.

ზოგიერთ ოჯახში ორი კი არა, ერთდროულად სამი თაობა ცხოვრობს. ბებიებთან და ბაბუებთან დამოკიდებულებაში ჩვენი პრობლემის რაობა უფრო იკვეთება, ვიდრე დედმამასთან ურთიერთობაში. ცხადია, უმეტეს შემთხვევაში თქვენ ბებიათქვენებს „ჩამორჩენილებად“ თვლით, მაგრამ იცით თუ არა, მთელი მათი სიკეთე თქვენთვის სწორედ მათ „ჩამორჩენილობაშია“? თქვენ ბევრი იცით დღევანდელზე, მათ კი ბევრი იციან გუშინდელზე, მათ შეუძლიათ ძალზე საინტერესოდ გიამბოთ იმაზე, თუ როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები გუშინ, ძველად. რას ფიქრობდნენ. თქვენ შეგიძლიათ ყველაფერი ეს გაიგოთ, თუ გაქვთ მოსმენის უნარი, თუ გაინტერესებთ ჩვენი საერთო ისტორია. ისტორია მხოლოდ სახელმძღვანელო წიგნი როდია, ისტორია — ეს ცოცხალი ადამიანებიცაა.

ცოცხალი ისტორია — არის ასეთი გამოთქმა.

აბა, სწრაფად, თქვით თქვენი ბებიის ქალიშვილობის გვარი... ბევრმა თქვენგანმა უთუოდ არც იცის...

თუ ჩაუკვირდებით, მაგალითად, ეგებ ბებიას „სიძუნწე“ შესაძლოა სულაც მომჭირნეობა იყოს, რაც მრავალწლიანი ხელმოკლეობის ჩვევაა, ხელმოკლეობისა, რომელსაც თქვენ არ მოსწრებიხართ. შესაძლოა ხანდაზმულებს უჭირდეთ ახალ ყაიდაზე გადასვლა: მრავალი წლის მანძილზე ისინი კაპიკს-კაპიკზე ადებდნენ, ახლა კი, როცა ცხოვრების დონე გაცილებით გაიზარდა, ახალმოდური ჩექმის საფასურად 75 მანეთის გადახდა მათ გამფლანგველობად მიაჩნიათ. ჩაუფიქრდით, ვიდრე გაბრაზდებოდეთ, განსაჯეთ.

ცნობილია: ბევრმა გამოჩენილმა ადამიანმა დაგვიტოვა მოგონებები მშობლიურ სახლზე, მშობლებზე, განსაკუთრებით დედაზე. და აი, რა არის გასაკვირველი: ისე გამოდის, რომ ყველა გამოჩენილ ადამიანს გასაოცარი დედა ჰყოლია! ჭკვიანი, კულტურული, ნაზი, მოსიყვარულე! რაშია საქმე? უთუოდ იმაში, რომ გამოჩენილი ადამიანები, კერძოდ, იმიტომაც იყვნენ გამოჩენილები, რომ შესწევდათ უნარი ნებისმიერ მოვლენაში გამოერჩიათ მთავარი. დედისაგან ისინი ელოდნენ დედობას, აფასებდნენ მის სიყვარულს, სურვილს — გაეგო შვილისთვის. თქვენ, ცხადია, იცნობთ ულიანოვების ოჯახის ისტორიას. თუ გიფიქრიათ იმაზე, რომ ილიჩის დედა თავის შვილებზე გაცილებით ნაკლებად განათლებული იყო? ყველა მოსწავლემ იცის ნეკრასოვის დედისადმი მიძღვნილი სტრიქონები. ესენინის ლექსები სოფელში დარჩენილ მოხუც დედაზე...

ყველა მომდევნო თაობა განსხვავდება წინა თაობისაგან, ამიტომაცაა ნათქვამი: „მოეპყარ შენს მშობლებს ისე, როგორადაც შენ გინდა მოგეპყრან შენი საკუთარი შვილები“.

**ე. ლოსოტო**

## თენგიზ მორჩიაული

### საგურამოდან მოდის ილია

თეთრი ცხენებით გამოჩნდა ეტლი
და გამოუყვა ქუჩას ჩრდილიანს...
ჭადარი ჭადარს, ვერხვი ვერხვს ეტყვის:
— საგურამოდან მოდის ილია.
სახეს უკოცნის ნიავი დილის
და შუბლს უდაფნავს ცისფერი სივრცე,
მოდის და ფანტავს გულუხვად ღიმილს,
მოდის და ფიქრობს ჩატეხილ ხიდზე.
მოდის და ისმენს ჩიტების ჭიკჭიკს,
მამულზე მრავალ ღამის გამთევი,
აუწონავი ბაჯაღლო ნიჭი,
მთებისოდენა ფიქრის დამტევი.
შვენის თოვლივით თეთრი თმა-წვერი,
ამ ცის და მიწის იცის და ესმის,
მოდის უბადლო ულლის გამწევი
და გუთნისდედა ქართული ლექსის.
თეთრი ცხენებით გამორბის ეტლი
და მოუყვება შარას ჩრდილიანს,
ჭადარი ჭადარს შრიალით ეტყვის:
— საგურამოდან მოდის ილია!

### ზედაზენი

ზედაზენი, ზედაზენი
და გუმბათი ჯვარის...
თითქოს ცხენსა ზედა ვზივარ,
ტყუა ჩემი ჯარი.

ისე მაღლა ვდგავარ ახლა,
ზეცას მივწვდე ლამის,
ჩემი სულის აფრებს არხევს
მყუდროება ღამის.

მთვარე ბრწყინავს ხარისთვალა
და ხეივანს ქარგავს...
გულო, მხარეს ამისთანას
სად იპოვი სხვაგან.

ოკრო-ბოკრო ბილიკები,
მუქჩამდგარი მზვარე...
ისევ დინჯად ირეკება
ეკლესიის ზარი.

ცათა კიდეს გადასული
მთებს სილურჯე ადგას,
ნეტავ რაღა დაასრულებს
აქ სიმღერას ნათქვამს.

ზედაზენი, ზედაზენი
და გუმბათი ჯვარის...
თითქოს ცხენსა ზედა ვზივარ,
ტყუა ჩემი ჯარი!

### დილა წვიმაში

თითქოს სამოთხის კარებს აღებენ,
სამყაროს სახე ისე ეცვლება...
იმსხვრევა ზეცის ლურჯი თაღები
და ძირს იბნევა მზის ნაპერწკლებად.

სადღაც გამქრალა ქროლა ხმლებისა,
მოქუხს არაგვის ორი ნაპირი...
შორს ნისლი მთების ცისფერ ლეიბზე
წევს ცხრათავიან გველეშაპივით.

და ხავსიანი, მწვანე ლოდები
ჰგვანან ვეება დევის ქალამნებს,
და მზეს ქედები ოქროს თოკებით
უჭირავს ხელში და აქანავებს.

მთა თეთრი მხრებით ზეცისკენ ილტვის,
თვალშეუვალი და ქინიანი...
ჰაერით ივსებს ჯანმაგარ ფილტვებს
და ცხელი სუნთქვით ტყეს აშრიალებს.

კლდეები ცვრიან თვალებს ახელენ,
ნაპრალებს სხივი სულში ეწვნება...
იმსხვრევა ზეცის ლურჯი თაღები
და ძირს მოცვივა მზის ნაპერწკლებად.

### მთვარე

მთის ასწვრივ, ზემოთ,
მეტყევის ქოხთან
ღრუბელი თრთოდა, როგორც ბარათი...
მუხლებდამეხილ მუხების ოხვრას
იმეორებდა ფშავის არაგვი.
თუთუნისფერი ფოთლების წყება
მოეხვეტა და მიჰქონდა ქარებს...
როგორც მეგობრის პატარა წყენა,
ცის კაბადონზე ბჟუტავდა მთვარე.




## ფორმალიზმი — აღზრდის უკიდურესი მტერი

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 7

## ისევ თვალთახედვის არეში

ბოლო წლებში ჩვენი პრესა, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა დიდ ყურადღებას უთმობს თანამედროვეობის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას — მოზარდის აღზრდას, კერძოდ, — ოჯახისა და სკოლის როლს მომავალი მოქალაქის სულიერი და გონებრივი ჩამოყალიბების საქმეში.

მე 1934 წლის 1 სექტემბრიდან ვმასწავლებლობ, მაშასადამე, უკვე 45 წელია ახლოს ვარ ამ პრობლემასთან. ამ ხნის მანძილზე კარგი მოსწავლეც ბევრი შემხვედრია და ცუდიც, ბავშვის აღზრდაზე თავგადადებულ ოჯახსაც შევხვედრივარ და შვილზე ხელჩაქნეულ დედ-მამასაც, თვითდინებას მიყოლილ სკოლაშიც მიმუშავია და ენთუზიაზმით სავსე პედაგოგიურ კოლექტივშიც. გულახდილად უნდა ვთქვა: ბავშვის სიკეთის თუ სიავის ძირი და ფესვი ოჯახში უნდა ვეძიოთ. მაგრამ, ამავე დროს, ნამდვილად ცდება ის, ვისაც ჰგონია, რომ ყველა ეგრეთწოდებული ძნელადაღსაზრდელი მოზარდი ერთ ტაფაში უნდა მოვაქციოთ, მოუწესრიგებელი ოჯახიდან გამოსულ ბავშვზე უიმედოდ ხელი უნდა ჩავიქნიოთ, ვუწეროთ დამადლებული სამიანები, გადავიყვანოთ კლასიდან კლასში და ბოლოს, მხოლოდ იმისთვის ჩავუდოთ ხელში წყალწყალა ატესტატი, რომ არავინ გვიკიჟინოს საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლების კანონის დარღვევა... და ეს, დამეთანხმებით, იქნება წმინდა წყლის ფორმალიზმის აშკარა გამოვლინება, რადგან რა ფასი აქვს ასეთ ატესტატს...

ყოველ მოზრდილ სკოლაში არის ოთხი-ხუთი ძნელად აღსაზრდელი ბავშვი. კლასის ხელმძღვანელი, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები, რაგინდ კარგადაც უნდა მუშაობდნენ ისინი, ზოგადი, ყველა ბავშვისათვის საერთო კოლექტიური ღონისძიებებით ვერაფერს გახდებიან. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია კერძო, განსაკუთრებული, ინდივიდუალური მიდგომა. თითოეულ ბავშვს უნდა მივამაგროთ შეფი, და ეს უნდა იყოს გამოცდილი, საქმის მცოდნე პედაგოგი, რომელსაც, გარდა იმისა, რომ კარგად იცის მოზარდის ფსიქოლოგია, უყვარს თავისი პროფესია და უყვარს ბავშვები. ასეთი პედაგოგი არასოდეს არ მიუდგება საქმეს მოვალეობის მოხდის მიზნით, ფორმალურად, სხვის დასანახავად, არამედ თავისი სულის სიკეთეს და გულის სითბოს დაუნანებლად და უხვად გაუნაწილებს მოზარდს.

ამას, რა თქმა უნდა, ისევ საკუთარი გამოცდილება მალაპარაკებს.

სკოლაში, სადაც ამჟამად ვმუშაობ, უკვე რამდენიმე წელია ყოველწლიურად სწავლობს ავდოევების ოჯახის ოთხი-ხუთი ბავშვი. თვით ოჯახი პატიოსანია, მაგრამ შვილების სწავლაზე, მართალი გითხრათ, თავგადაკლული არ არის. ამ ოთხიოდე წლის წინათ ერთ-ერთმა ავდოევთაგანმა, რომელიც მასწავლებელთა ინდივიდუალური მუშაობის წყალობით, როგორღაც კლასიდან კლასში გადადიოდა, ერთ დღეს საერთოდ მიატოვა სწავლა. ეს რომ შევიტყვეთ, მე, პიონერული რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ მზიამ და მზიას დედამ მაშინვე ავდოევების ოჯახს მივაშურეთ. ვალოდია შინ არ დაგვიხვდა და დიდი ძებნის შემდეგ სარდაფში ვიპოვნეთ. ერთი კი წამოვიყვანეთ და მერე

## უცხოური იუმორი

### სადგურზე

საღამოს 9 საათზე, ინგლისის ერთ-ერთი პატარა ქალაქის სადგურზე, სამი მამაკაცი მოვარდა.

— შეგიძლიათ გვითხრათ, როდის გადის ლონდონის მატარებელი? — ჰკითხეს მათ პირველსავე შემხვედრ მტვირთავს.

— ლონდონის მატარებელი ერთი წუთის წინ გავიდა. მეორე 10 საათზე გადის, — მოახსენა მათ მტვირთავმა.

— გმადლობთ. კიდევ გვაქვს დრო, მოსაცდელ დარბაზში შევიდეთ და ცოტა დავლიოთ, — თქვეს მგზავრებმა. ის იყო თერთმეტი საათი დაიწყო, რომ ისინი ბაქანზე გავიდნენ და მტვირთავს ჰკითხეს:

— მატარებელმა ხომ არ გაგვასწროო?

— დიახ, — მიუგო მტვირთავმა,— როგორც გითხარით, 10 საათზე გავიდა. შემდეგი მატარებელი კი 11 საათზე გადის.

— კეთილი და პატიოსანი,—თქვეს მგზავრებმა, — ჩვენ ისევ შეგვიძლია შევიდეთ დარბაზში და ცოტა დავლიოთ.

ასე 11 საათიან მატარებელზეც დააგვიანეს მათ. მტვირთავმა გააფრთხილა მგზავრები, ბოლო მატარებელი 12 საათზე გადის და თუ იმაზეც დააგვიანებთ, დღეს მატარებლით ლონდონში ვეღარ ჩახვალთო.

გახდა 12 საათი და უკანასკნელი მატარებელიც ზუსტად დაიძრა. და აი, მოსაცდელი დარბაზიდან კისრისტეხით გამოვარდა სამი კაცი. ისინი ისე თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ, რომ ორმა მათგანმა მოასწრო კიდეც მატარებელზე შეხტომა. მესამე კი, რომელიც ამხანაგებს ჩამორჩა, მატარებელს ვერ დაეწია. ჩამორჩენილმა ხმამაღლა სიცილი დაიწყო. მტვირთავი მასთან მივიდა.

—ხომ გაგაფრთხილეთ, ეს უკანასკნელი მატარებელია-მეთქი, რატომ დროზე არ მოხვედით?

კაცი სიცილისაგან ისე ჩაბჟირებულიყო, პასუხის გაცემას ვერ ახერ-

ალარ მოგვიშორებია — მე და მზია მუდამდღე ვისხედით ხოლმე მასთან და ყველა გაკვეთილს ერთად ვამზადებდით, ერთად დავდიოდით თეატრში, კინოში, მუზეუმებში, გამოფენებზე, ვესაუბრებოდით ახალგაზრდულ პრობლემებზე, სწავლის სიკეთეზე, მეგობრობაზე, ქცევის ნორმებზე, ვასწავლიდით საზოგადოებაში თავის დაჭერას...

ჩვენმა დაჟინებამ და სიმტკიცემ ნაყოფი გამოიღო: ვალოდიამ დაამთავრა რვა კლასი, მერე — პროფტექნიკური სასწავლებელიც, ახლა კი საბჭოთა არმიის რიგებში მსახურობს და კარგ, დისციპლინიან ჯარისკაცად ითვლება. არც ჩვენ გვივიწყებს და ხშირად გვწერს ხოლმე წერილებს.

ამით ჩვენ თითქოს მოვიხადეთ მოვალეობა, გავაკეთეთ ჩვენი საქმე... მაგრამ არა: გადაწყვეტილი მაქვს, ვალოდია არმიიდან რომ დაბრუნდება, ისევ ჩემი თვალთახედვის არეში ვიყოლიო, უნდა ვიცოდე მისი ყოველი ნაბიჯი და თუ პირველ ხანებში, ვიდრე ფეხზე მყარად დადგება, რაიმე შეეშალა, უთუოდ გავუწვდი ხელს და აუცილებლად შევაწევ დედაშვილურ სიტყვას.

ამას თვით ცხოვრება გვავალებს. დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანო და თუ მართლა პედაგოგი ხარ, თუ ჭეშმარიტი აღმზრდელი გქვია, ამ მაღალ წოდებას ფორმალურად არ უნდა ატარებდე.

ვალენტინა იმნაძე,

თბილისის 114-ე საშუალო სკოლის პედაგოგი, საქ. სსრ დამსახურებული მასწავლებელი.

## ამიერიდან სხვანაირად

გამონაკლისი არც ჩვენა ვართ.

რა დასამალია, ფორმალიზმის ავი ლაქა ჩვენს მუშაობასაც ედო. რამდენჯერ ყოფილა, რომ კლასის მამასახლისის სამუშაო გეგმა ლამაზად შეგვიდგენია და გაგვიფორმებია, მისი შესრულებისათვის კი თავი არ აგვიტკივებია, ან რომელიმე თარიღისადმი მიძღვნილი გაზეთის გამოშვება გადაგვიწყვეტია და საქმე ადგილიდან ვერ დაგვიძრავს... დიახ, სამწუხაროდ, ხდებოდა ხოლმე ასე. ჩვენი პიონერული და კომკავშირული მუშაობის სტილი და შინაარსი ყოველთვის როდი შეესაბამებოდა დღევანდელ მოთხოვნებს...

მაგრამ ამიერიდან სულ სხვაგვარად წარვმართავთ ჩვენს საქმიანობას. დასახულს შევასრულებთ, სიტყვას საქმედ ვაქცევთ ხოლმე და ახლოსაც არ გავიკარებთ ფორმალიზმს — ამ საშინელ სენს.

მარინე ნაჭყებია,

გეგეჭკორის რაიონის კურზუს საშუალო სკოლა, VIII კლასი.

## დასამახსოვრებელი შეხვედრა

ჩვენს სკოლაში, ამას წინათ, გაიმართა დიდი ხელოვანის, უშანგი ჩხეიძის დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავი საღამო. მოწვეული გვყავდა სცენისა და ეკრანის ცნობილი ოსტატები: კ. მახარაძე, ბ. ზაქარიაძე, ე. მაღალაშვილი, ზ. ლაფერაძე, ტ. საყვარელიძე და სხვები.

...დარბაზში სინათლე ჩაქრა და ეკრანზე გამოჩნდა დიდი მსახიობის სახე, მისი ანთებული თვალები. გაისმა უშანგი ჩხეიძის ჰამლეტის სულისა და გონების ამაფორიაქებელი ხმა: „ყოფნა, არყოფნა — საკითხავი აი, ეს არის!..“

პიონერებმა ისაუბრეს უ. ჩხეიძის ცხოვრებაზე, მის დაუვიწყარ, განუმეორებელ ჰამლეტზე, ფრანჩესკო ჩენჩიზე, გულბაათზე, ყვარყვარეზე... სტუმართა სახელით გამოვიდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი გიორგი ტატიშვილი, რომელმაც გვიამბო რამდენიმე საინტერესო ეპიზოდი დიდი ხელოვანის ცხოვრებიდან. რესპუბლიკის სახალხო არტისტმა კ. მახარაძემ და ზ. ლაფერაძემ წარმოადგინეს სცენა პიესიდან „ურიელ აკოსტა“. რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ტ. საყვარელიძემ წაიკითხა უ. ჩხეიძის ლექსი „დურუჯს“, ხოლო რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ბ. ზაქარიაძემ — ვაჟას ლექსი „ბაკური“.

რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, უშანგი ჩხეიძის დამ ნინო ჩხეიძემ გვიამბო საინტერესო ეპიზოდები თავისი ძმის ცხოვრებიდან...

ეს იყო ძალზე საინტერესო და სასარგებლო შეხვედრა, რომელიც არასოდეს დაგვავიწყდება.

მარინე ქავთარაძე,

ზესტაფონის მე-2 საშუალო სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე.

---

ხებდა. ბოლოს, როგორც იქნა, ამოთქვა:

— დაინახეთ ორი მამაკაცი, მატარებელს რომ აახტნენ?

— დავინახე...

— ჰოდა, ლონდონში მე უნდა წავსულიყავი, ისინი მხოლოდ გამცილებლები იყვნენ.

გერმანულიდან თარგმნა
ლევან ურუშაძემ,

თბილისის მე-18 საშ. სკოლა, VIII კლასი.

## ცუდი მეხსიერება

ერთი ცნობილი ინგლისელი მწერალი ფიქრობდა, რომ მას შეუძლია ადამიანის ხასიათის გამოცნობა მათი ხელნაწერის მიხედვით და ხშირად ამბობდა ამას.

ერთხელ, მოხუცი ქალი მივიდა მასთან, მისცა მოსწავლის რვეული და სთხოვა გამოეცნო მისი პატრონის ხასიათი.

მწერალმა აიღო რვეული და მერე ქალს შეეკითხა:

„ამ ბიჭის დედა ბრძანდებით?“

„არა“, — უპასუხა ქალმა.

„მაშინ მე შემიძლია გითხრათ ამ ბიჭის ხასიათი. ის არის ზარმაცი და უქნარა, თანაც უვიცი...“

ქალს სიცილი აუტყდა:

„ცუდი მეხსიერება გქონიათ! ვერ ხედავთ, რომ ეს თქვენი ხელნაწერია!?“

„ჩემი ხელნაწერი?!“

## უცხოური იუმორი

„დიახ, თქვენი ბავშვობისდროინდელი ხელნაწერი“.

„და ეს არის ჩემი რვეული?!“

„დიახ“.

„ვინ მოგცათ თქვენ ის?“

„არავის არ მოუცია ჩემთვის. მე ვიყავი თქვენი მასწავლებელი დიდი ხნის წინათ“.

მწერალმა დიდხანს იცინა ამაზე...

ინგლისურიდან თარგმნა
ლია სეფისკვერიძემ,

თბილისის 106-ე საშ. სკოლა, VII კლასი.



# ატლანტიკისკენ მიმავალ გზაზე

ჰიუ
პენტკოუსტი

მხატვარი
ჯემალ ლოლუა

მოთხრობა

მძლავრი „იმპერიალის" ქარსაცავ მინას ისე ღონივრად უტლაშუნებდა წვიმა, გეგონებოდათ, მანქანას ბრანდსპოიტით* რეცხავენო. ვიწრო გზაზე ნიაღვარივით მომდინარე წყალი ხმაურით ეხეთქებოდა მანქანის ძარას. საჭეს მიკრული, გაფითრებული და ლოყებჩაცვენილი კაცი წინ წახრილიყო და დაძაბული გასცქეროდა ღამეს.

— არაფერი არა ჩანს, — ჩაიბუზღუნა მან. — ათ ნაბიჯზე ვერაფერს გაარჩევს კაცი!.. მომაწევინე ერთი...

თანამგზავრმა, სოლიდური გარეგნობის ჩასუქებულმა კაცმა, სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა და მიაწოდა. მძღოლმა ხარბად მოქაჩა.

პოლიცია კარგად იცნობდა მათ. საჭესთან მძარცველი და ქურდი-რეციდივისტი რეი სტეკი იჯდა. ჩასუქებული კაცი, ჩვილივით მიამიტი სახე რომ ჰქონდა, პერი მეკვეი გახლდათ. მას დიდი ხანია დაეძებდნენ მკვლელობისა და ბანკის გაძარცვის გამო.

— ქანცი გამიწყდა, პერი, — თქვა რეი სტეკმა. — იქნებ მოგვეცადა გამოდარებამდე. სულ ასე გადაუღებელი თავსხმა ხომ არ იქნება?!

— აბა რა გითხრა. ორი დღე და ღამეა ასეა. საცაა ნიაღვარი ხიდებს წალეკავს. ჩვენ ახლა ზუსტად წყალდიდობის ცენტრში ვართ. წყეულიმც იყოს აქაურობა! თუ ჩავრჩით, დავიღუპეთ და ისაა. შენ კი შევჩერდეთო, ამბობ. ათი-თხუთმეტი მილის შემდეგ, თუ რუკას დავუჯერებთ, აქაურობას გავცდებით და მასაჩუსეტსის მთავარ ავტოსტრადაზე გავალთ. იქ გადავწყვიტოთ, როგორ მოვიქცეთ.

უცებ მეკვეი მკვეთრად გადაიხარა წინ და ფარდასავით ჩამოფარებული ხშირი წვიმის მიღმა, რაღაცას ყურადღებით დააკვირდა.

— შუქი! — თქვა მან. — სინათლის პატარა მოძრავ ლაქას ვხედავ.

— ვიღაცა ფარანს იქნევს! — სწრაფად გამოეხმაურა სტეკი.

მეკვეიმ ტუჩები მოკუმა და პორტფელიდან ავტომატური პისტოლეტი ამოიღო.

— გზა ჩაკეტილია! — თქვა მოღუშულმა; — პოლიციელები იქნებიან.

სტეკი უფრო მაგრად ჩაეჭიდა საჭეს.

— ჰო, მაგრამ შეიძლება ჯერ არაფერი იციან. ვუთხრათ, რომ...

— ნუ წუწუნებ! — უხეშად შეაწყვეტინა მეკვეიმ. — ვუთხრათ, ვუთხრათ... არაფერსაც არ ვეტყვით და წამითაც არ იფიქრო მანქანის გაჩერება — უკვე ყველაფერი იციან.

— ყური მიგდე, პერი...

— ხმა ჩაიწყვიტე! — იყვირა მეკვეიმ. — გინდა ჩავვარდეთ?.. მიდი, გარეკე!

სტეკმა გაზს უმატა და მანქანამ თითქოს ისკუპა სიბნელეში, იქით, სადაც ფარანი კიაფობდა. ფარების შუქზე წამით გაიელვა ჭაბუკის ფიგურამ. მას პირი დაეღო და თავგანწირული ყვიროდა... კიდევ წამი და, მანქანამ ღმუილით გადათელა იგი...

— წინ იყურე! — დაიხრიალა მეკვეიმ. — ხიდია, ხიდი! მარცხნივ აიღე! მარცხნივ, შე წყეულო!

სტეკმა მკვეთრად მიუხვია მარცხნივ და მანქანა საბურავების გამაყრუებელი ღრჭიალით შევარდა გადახურული ხიდის ბნელ გვირაბში.

— ის კაცი მანქანის ძარას გამოედო, — ხმის კანკალით სთქვა სტეკმა. — გამოედო და თან მივათრევთ.

— არ გააჩერო! — ბრძანა მეკვეიმ. სავარძელზე შებრუნდა და უკან, ფანჯარაში გაიხედა. — მგონი მარტო იყო.

სტეკმა შუბლი მოიწმინდა. მანქანამ გვირაბი გალია და ისევ კოკისპირულ წვიმაში გავარდა.

— გააჩერე! — იყვირა მეკვეიმ.

— გაგიჟდი?! — გაოცდა სტეკი, მაგრამ მანქანა მაინც გააჩერა და ღონემიხდილი თავით საჭეს დაემხო.

მეკვეიმ ცალ ხელში პისტოლეტი დაიჭირა, მეორეში — ფარანი და მანქანიდან გამოვიდა. ქარიშხალმა კინაღამ წააქცია. მთვრალივით, ბარბაცით წავიდა ხიდისაკენ. ოციოდე ნაბიჯის გავლაც ვერ მოასწრო, რომ უცებ გამაყრუებელი გრგვინვა გაისმა — ვეებერთელა ტალღა ხიდს ეძგერა, მიანგრ-მოანგრია და თან წაიღო. მეკვეიმ უკან გამოქცევა დააპირა, მაგრამ მომცრო ტალღა წამოეწია, წააქცია და თხრილში ჩააგდო. რის ვაივაგლახით, ლანძღვაგინებით ამოფოფხდა იქიდან და ილაჯგაწყვეტილი მანქანასთან მიბობღდა.

— წავიდეთ! — ამოიხრიალა მან.

მანქანა ადგილს მოსწყდა.

— იპოვე? — ჰკითხა სტეკმა.

— ვერა! — ძლივს ამოითქვა სული მეკვეიმ. — ხიდიც და გვამიც წყალმა წაიღო. ახლა ყველაფერი დაფარულია.

— როგორ ფიქრობ, ფარაონი* იყო?

— იყო თუ არა, რაღა მნიშვნელობა

---

* ბრანდსპოიტი — ბრეზენტის სახანძრო მილზე დამაგრებული ლითონის წამახვილებული მილი წყლის მძლავრი ჭავლის მისაღებად.

* ფარაონი — პოლიციელის დამამცირებელი მეტსახელი აშშ-ში.

აქვს? — ჩაიბურდღუნა მეკვეიმ და ცხვირსახოცით სახე მოიწმინდა. — ჩვენ სხვა გზა არა გვქონდა...

●

1955 წლის წყალდიდობამ კონექტიკუტის შტატი გაანადგურა, ხოლო ლეიკვიუ შეიბრალა. 1959 წლის გაზაფხულის წყალდიდობის დროს კი, ამ ღამეს, როცა წყალმა კიდევ უფრო მოიმატა, პატარა ქალაქის მოსახლეობა უარესის მოლოდინში გაინაბა, მაგრამ გაცოფებულმა სტიქიამ კვლავ ლმობიერება გამოიჩინა მის მიმართ. მართალია, მოიშალა ელექტროსადგური და სატელეფონო ქსელი, ზოგიერთ სარდაფში კი წყალიც შევარდა, მაგრამ სერიოზული და საგანგაშო არაფერი მომხდარა. არც ადამიანთა მსხვერპლი ყოფილა. იმის შესახებ, იმ ღამეს ლეიკვიუს ჩრდილო გარეუბნის ახლოს გადახურული ხიდის არსებობა რომ შეწყდა, ჯერ არავინ არაფერი იცოდა. გარესამყაროს მოწყვეტილი და წყვდიადით მოცული პატარა ქალაქი გაქვავებულივით იდგა გაუთავებელ კოკისპირულ წვიმაში. ქალაქელთა ერთადერთი სასაუბრო თემა წყალდიდობა იყო...

შუაღამე მოახლოებული იყო, როცა ლეიკვიუს საქმიან კვარტალში, მეინსტრიტზე, შერიფმა* რედ იგენმა გზა გადაღობა. ექვსი მანქანა ერთმანეთთან ზურგშექცევით დააყენა, სამი მათგანი რადიატორით სამხრეთისაკენ და სამიც— ჩრდილოეთისაკენ. ყოველ მანქანაში, რომელთაც მცირე შუქფარები ჩართული ჰქონდათ, შერიფის თითო თანაშემწე იჯდა.

ეს საგუშაგო ზუსტად ჰექტორ ტრიმბლის აფთიაქის წინ მოეწყო. ტრიმბლის აფთიაქი ერთდროულად საბაყლო დუქანიც იყო, წიგნის მაღაზიაც და კაფეც. ტრიმბლი საუკეთესო ფარმაცევტად ითვლებოდა. ვიღაცამ იხუმრა, ტრიმბლი პესიმისტია და „ყოველი შემთხვევისათვის“ ერთდროულად ქამარსაც ხმარობს და აჭიმებსაცო. მაგრამ ახლა, როცა ქალაქი ასეთ გაჭირვებაში აღმოჩნდა, მისი ხასიათის ეს მხარე ზუსტად მოერგო მდგომარეობას. მას აღმოაჩნდა სტერილიზატორიც და ქურაც, რომლებიც თხევადი გაზით მუშაობდნენ. ასე რომ, როცა ქალაქში ელექტროსადგური მწყობრიდან გამოვიდა, ტრიმბლის წინანდებურად შეეძლო გამოეხარშა სინჯარები და რეტორტები, მოეხარშა ყავა და აფთიაქიც კი გაეშუქებინა გაზით.

მთელი იმ დღის განმავლობაში ტრიმბლის თორმეტი წლის ვაჟი ჯო ქალაქში დარბოდა და მამის დავალებებს ასრულებდა. ესთერი, ჰექტორის მეუღლე (ქალიშვილობაში — კროუდერი), რომელმაც „ყოველი შემთხვევისათვის“ დაამთავრა სამედიცინო დის კურსები, ამ გაჭირვების ჟამს ექიმებს ამოუდგა მხარში.

ტრიმბლის ოჯახზე ლაპარაკისას არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ლეიკვიუს უხუცესი მცხოვრები, ძია ჯორჯ კროუდერი. მან წარმატებით დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი და მალე რაიონის პროკურორიც გახდა. კროუდერს შტატის გუბერნატორობასაც კი უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ბედმა სხვაგვარად წარმართა მისი ცხოვრება. ერთ სასამართლო პროცესზე კროუდერმა ბრალდებულს სიკვდილი მიუსაჯა. ზუსტად ერთი წლის თავზე აღმოჩნდა, რომ ის კაცი თურმე უდანაშაულო იყო. შეძრწუნებული კროუდერი მეორე დღესვე გადადგა სამსახურიდან და ოცი წლით სადღაც გადაიკარგა. ბოლოს ისევ დაუბრუნდა მშობლიურ მხარეს და ქალაქიდან რამდენიმე მილის დაშორებით დასახლდა პატარა ქოხში, რომელიც თვითონ ააშენა... ნებაყოფლობით განდევნილი კროუდერის ხვედრს მხოლოდ მისი სეტერი ტიმი იზიარებდა.

დღენიადაგ ჰაერზე ყოფნით გაკაჟებული, ხმელ-ხმელი, გონებამახვილი მოსაუბრე კროუდერი თავის წლოვანებასთან შედარებით ბევრად უფრო ახალგაზრდა ჩანდა. ლეიკვიუში კარგ მონადირედ და საუკეთესო მსროლელად ითვლებოდა. მაგრამ ჰექტორ ტრიმბლი თავის ცოლისძმაზე სულ სხვა აზრისა გახლდათ. მისი რწმენით, ძია კროუდერი „ოჯახის სასჯელი“ იყო და ცუდ გავლენას ახდენდა პატარა ჯოზე. ჯოს კი ძალიან უყვარდა ბიძა და მთელ თავისუფალ დროს მასთან და მის ძაღლთან ერთად ატარებდა.

იმ გვიან საღამოს ჯო, ჰექტორ ტრიმბლი და ჯონ კროუდერი აფთიაქში ისხდნენ და ყავას შეექცეოდნენ. მათთან ერთად ჰკლავდა დროს ახალგაზრდა მასწავლებელი ქალი ჯენეტ გრეივსი. არდადეგების დღეებში იგი ხშირად ეხმარებოდა ხოლმე ჰექტორს საადთიაქო საქმეებში.

შუაღამე გადასული იყო, როცა მეინსტრიტის ჩრდილო ბოლოში ხშირი წვიმის ფარდის მიღმა მანქანის ფარების შუქი აკიაფდა. მხოლოდ რაღაც გაჭირვებას თუ შეეძლო აეძულებინა ადამიანი, ასეთ ამინდში გარეთ გამოსულიყო.

ძია ჯორჯი სწრაფად ჩამოხტა დახლის წინ მდგარი მაღალი სკამიდან. ჯო ჩვეულებისამებრ აედევნა ბიძას, მაგრამ ჯენეტ გრეივსმა თვალით ანიშნა, გაჩერდიო.

ის იყო, მანქანა მოახლოვდა, რომ აფთიაქის წინ მდგომი მანქანების ფარებიც აინთო და დაუპატიჟებელი სტუმრები იძულებული გახდნენ შეჩერებულიყვნენ. შერიფმა მანქანაში შეიხედა, მზერა გაფითრებულ რეი სტეკს მიაპყრო, მერე ლოყებღაჟღაჟა, მომღიმარე პერი მეკვეის გადახედა.

— ბიჭოს! — გაიოცა იგენმა. — თქვენ ხომ აქაურები არა ხართ!

— მართალია, — გამოეხმაურა რეი სტეკი, — ჩვენ ნიუ-იორკში გვინდა მოვხვდეთ და თან რაც შეიძლება ჩქარა.

— თქვენი ნებაა, მაგრამ არაფერი გამოგივათ! — გაიღიმა იგენმა. — ვერც დღეს, ვერც ხვალ და ვერც ზეგ იქით ვერ გაემგზავრებით... მე სხვა მაინტერესებს: როგორ მოაღწიეთ აქამდე?

— № 21 გზით. — უპასუხა მეკვეიმ.

— გადახურული ხიდით? ბიჭოს! მე კი ნიძლავს დავდებდი, ხიდი კარგა ხანია წყალმა წალეკა-მეთქი. საოცარია, როგორ გაუძლო ასეთ მძიმე მანქანას? ჩვენს კაცს არ შეუჩერებიხართ?

— ფარნიან ჭაბუკს? — ჰკითხა სტეკმა.

სიბნელეში იგენმა ვერ შეამჩნია, რა მრისხანებით აენთო თვალები მეკვეის სტეკის ამ სიტყვების გაგონებისას.

— როგორ არა, გვანიშნა გავჩერებულიყავით, მაგრამ ჩვენ რისკზე წავედით. — სწრაფად ალაპარაკდა მეკვეი. — სამწუხაროდ... სამწუხაროდ, დიდი უბედურება მოხდა... ის იყო ხიდს გამოვცდით, რომ წყლის უზარმაზარმა ტალღამ ხიდიცა და თქვენი კაციც ერთად შთანთქა. ჩვენ ძლივს გადავრჩით...

იგენი შეკრთა.

— თქვენმა მანქანამ რომ ეს ხიდი გადმოიარა, მართლაც სასწაულია, მაგრამ თქვენ მაინც მოგიწევთ ჩვენთან სტუმრად დარჩენა — გზები დატბორილია. ვერც გაივლი და ვერც გასცურავ... ჯორჯ, გაიგონე? რას ტუუმი დაღუპულა.

— გავიგონე. — ყრუდ უპასუხა კროუდერმა. მერე სტეკსა და მეკვეის მიუბრუნდა — თქვენ ამაში დარწმუნებული ხართ?

— რა თქმა უნდა! — გაიოცა მეკვეიმ. — მე თვითონ დავინახე! ტალღამ ჯერ ჰაერში შეაგდო, მერე ძირს დასცა, შემდეგ... არა, არა, მისი საქმე წასულია...

— ვინმემ დედამისს უნდა შეატყობინოს! — თქვა კროუდერმა. — შემობრძანდით აფთიაქში, — მიიპატიჟა მგზავრები იგენმა. — ასეთ ამინდში ცხელი ყავა მისწრებაა.

— ძალიან გვეჩქარება. — შორს დაიჭირა მეკვეიმ.

— ყური დამიგდეთ! მე სულაც არ ვაპირებ თქვენს მოტყუებას. ახლა აქედან თავს ვერ დააღწევთ. უმჯობესია გად-

* შერიფი — თანამდებობის პირი ინგლისისა და აშშ-ის ზოგიერთ საგრაფოში; ასრულებს ადმინისტრაციულ და სასამართლო ფუნქციებს.

მოხვიდეთ მანქანიდან და ცხელი ყავა მიირთვათ. ტრიმბლს რადიომიმღები აქვს. მოუსმინეთ და თვითონ დარწმუნდებით.

— ყავა თუა, ყავა იყოს! — ჩაიდუდუნა მეკვეიმ.

სტეკმა მანქანა გვერდზე მიაყენა და პორტფელით ხელში მეკვეის აფთიაქში შეჰყვა. იგენი გარეთ დარჩა.

ჯენეტ გრეივსი და ტრიმბლი დახლში იდგნენ. ჯენეტი ფინჯანს ამშრალებდა. ჯო ცნობისმოყვარეობით დააცქერდა შემოსულებს.

— ესენი უკანასკნელები არიან. — თქვა კროუდერმა. — ახლა ვერც ჩვენთან მოვა ვინმე და ვერც ჩვენგან წავა. ხიდი ამათ თვალწინ წაულეკავს მდინარეს. — მერე სიყვარულით დაადო მხარზე ხელი ჯოს და სინანულით უთხრა: — ცუდი ამბებია, მეგობარო!

— ყავას ინებებთ? — იკითხა ტრიმბლიმ.

— თუ არ შეწუხდებით. — მიუგო სტეკმა და თან მშვენიერ ჯენეტს გადახედა.

— მისტერ კროუდერ! თქვენ თქვით, ცუდი ამბავიაო! — შეშფოთებით იკითხა ჯენეტმა.

— რას ტუუმმა მოასწრო შეტყობინება, რომ გზა წალეკილია. მაგრამ ესენი რისკზე წამოსულან. შემდეგ კი... შემდეგ ტუუმიცა და ხიდიც ერთად შთაუნთქავს აბობოქრებულ მდინარეს.

ჯოს თვალები ცრემლებით აევსო.

— საბრალო! — ჩუმად თქვა მან.

— ტუუმი და ჯო განუყრელი მეგობრები იყვნენ. — ხმადაბლა აუხსნა ჯენეტმა მეკვეის. — მართალია, რასი ოცი წლისა იყო, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მათს მეგობრობას.

— შენ შეგიძლია იამაყო შენი მეგობრით! — საზეიმო ხმით თქვა მეკვეიმ.— იგი დაიღუპა, როგორც ჯარისკაცი საგუშაგოზე. ნეტა გენახა, როგორ გვიმტკიცებდა და გვირჩევდა უკან დაბრუნებას...

— გიმტკიცებდათ, გირჩევდათ?! — გახარებულმა ჯომ თვალები შეანათა მეკვეის. — თუ ასეა, გამოდის, რომ რასი არ ყოფილა!

— სწორედ ის იყო და არა სხვა ვინმე. — დაბეჯითებით თქვა ტრიმბლიმ. — იგენმა სწორედ ის გაგზავნა ხიდთან.

— მე კი ვამბობ, რომ არა! შენ ხომ არ დაგავიწყდა, რომ...

— ჯო! — წინდახედულად აუმაღლა ხმას ჯორჯ კროუდერმა.

— არა, ეს რასი არ იქნებოდა! — ისევ იყვირა ჯომ და მეკვეის შეუძახა:—რასს არ შეეძლო არც მტკიცება და არც რაიმეს რჩევა! ის ხომ ყრუ-მუნჯი იყო!..

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მეკვეი პორტფელს წაეტანა. ჯორჯ კროუდერმა კარებისკენ მიიწია.

— სდექ, არ გაინძრეთ! — მჭახედ იყვირა მეკვეიმ, პორტფელიდან პისტოლეტი ამოიღო და ჯოს დაუმიზნა.

დაბნეული ჰექტორ ტრიმბლი ხან თავის ბიჭუნას გადახედავდა, ხან მეკვეის და ხან რეი სტეკს, რომლის ხელშიც თვალის დახამხამებაში გაჩნდა პისტოლეტი.

— ეს რა ხუმრობაა? — თანდათან გონს მოეგო ჰექტორ ტრიმბლი. — გასწით იქით ეგ თქვენი სათამაშო. ჩვენ დღეს უმაგისოდაც საკმაოდ...



— არ გაინძრეთ! — იყვირა მეკვეიმ. — თორემ თქვენს ცინგლიანს გავაგორებ... მუშაობს? — ახლა რადიომიმღებზე მიუთითა.

— დიახ. — უპასუხა ტრიმბლიმ და გამშრალი ტუჩები ენის წვერით მოილოკა. — ახლა მხოლოდ ერთი სადგური მუშაობს — კონელრედში.

— რეი, ჩართე და თან დახლიც მოჩხრიკე! ასეთ დუქნებში ,,ყოველი შემთხვევისათვის“ იარაღი აქვთ ხოლმე. შენ კი, მეაფთიაქევ, კარები ჩაკეტე! სტუმრები არაფრად გვეპიტნავება.

— ჰო, მაგრამ მე შერიფს შევპირდი, რომ...

— ის გააკეთე, რასაც მე გეუბნები!

ტრიმბლიმ სწრაფად შეასრულა მეკვეის ბრძანება. რადიომიმღებში დიქტორის ხმა გაისმა. შტატის ხელისუფლება მოსახლეობას აფრთხილებდა, რომ წყლის დონემ იმატა. მეკვეიმ მოისმინა გადაცემა და მიმღები გამორთო.

— სხვა? ახალი არაფერი გადმოუცია? — იკითხა მეკვეიმ.

— თქვენ უთუოდ გაინტერესებთ, რას ამბობენ იმ დანაშაულის შესახებ, თქვენ რომ ჩაიდინეთ! — მშრალად იკითხა ჯორჯ კროუდერმა.

— ოჰო, ეს ბებრუხანა საზრიანი ყოფილა! — ჩაიქირქილა მეკვეიმ.

— არ გაბედოთ ძია ჯორჯზე ასეთი ლაპარაკი! — აღშფოთდა ჯო. — ბებრუხანა კი არა, შტატის საუკეთესო იურისტია!

— იურისტი?! მაშინ აგიხსნას, რომ ელექტრონის სკამზე მხოლოდ ერთხელ სვამენ კაცს, მიუხედავად იმისა, რამდენს მოჰკლავს — ერთს, ორს თუ ხუთს...

— მაშასადამე, რას ტუუმი თქვენ მოჰკალით, რადგან პოლიციელი გეგონათ.

— ბიჭოს, ბებრუხანამ ისევ გამოიცნო! — გამოსცრა მეკვეიმ. — აბა, ახლა საქმეს მივხედოთ. ყოვლად შეუძლებელია, რომ თქვენი დაწყევლილი ქალაქიდან გასვლა არ შეიძლებოდეს, მანქანით თუ არა, ფეხით მაინც. ასე რომ, თქვენ უნდა გვითხრათ, როგორ გავაღწიოთ აქედან. არა და... ბიჭუნას თან წავიყვანთ. თუ ენას კბილებს დააჭერთ, თქვენი ბიჭი უვნებელი დაგიბრუნდებათ...

— არა! თქვენ არ წაიყვანთ ჯოს! — შეჰყვირა ტრიმბლიმ. — თქვენ არ ჩაიდენთ ახალ დანაშაულს!

— ნუ გვაცინებ. — ავად გაიღიმა მეკვეიმ. — რა ჰქენი, რეი?

— ვერაფერი ვიპოვე. — გამოეხმაურა რეი სტეკი და დახლიდან გამოვიდა.

— კეთილი. მაშ როგორ დავაღწიოთ თავი აქაურობას, ბატონებო და ქალბატონებო?

— ლეიკვიუ მთებს შორის მოქცეულ ველზეა გაშენებული. — დაიწყო კროუდერმა. — თქვენ ჩრდილოეთის მხრიდან შემოხვედით და იცით, რომ ამ გზით უკან გაბრუნება აღარ შეიძლება, მაგრამ ვერც სამხრეთიდან გააღწევთ, ვინაიდან მთელი ველი უკიდეგანო ტბად არის ქცეული. ასე რომ, თუ უმაღლესი კლასის მოცურავეები ხართ...

— სისულელეს ნუ როშავ, — შეაწყვეტინა მეკვეიმ. — ჩრდილოეთით არ შეიძლება! სამხრეთით არ შეიძლება!.. რა გაეწყობა, მთებზე გადავალთ.

— ამ წყვდიადსა და კოკისპირულ წვიმაში! — გაიოცა კროუდერმა.

— დიახ! თუ კარგი გამცილებელი გვეყოლება...

— მთელ ქალაქში არავინ იცნობს ისე კარგად ამ ტყეებსა და მთებს, როგორც ძია ჯორჯი, — თავი ვერ შეიკავა ჯომ. — მაგრამ ამ ბნელ ღამეში

და ასეთ ამინდში ისიც კი ვერ შეძლებს თქვენს გადაყვანას.

— ოი, რა უსუსურია თქვენი ძია! — ჩაიცინა მეკვეიმ. — თუ ჯორჯზე უკეთ არავინ იცნობს ამ მიდამოებს, სწორედ ის გაგვიძღვება წინ ბიჭუნასთან ერთად... აბა, ცოცხლად, მოემზადეთ!

— მისტერ კროუდერ! არ დათანხმდეთ! — აღელვებით თქვა ჯენეტმა. — ნუთუ თქვენ დაეხმარებით ასეთ ადამიანებს?!

კროუდერმა მშვიდად გადახედა ქალიშვილს.

— ჩემო გოგონა, დამერწმუნე, ეს ადამიანი ყველაფერს იკისრებს... მას ჯოს მოკვლა არაფრად მიაჩნია. მე შემიძლია საფრთხეში ჩავიგდო თავი, მაგრამ გავწირო იმისი, შენი ან ჰექტორის სიცოცხლე? არა! ეს ჩემს ძალღონეს აღემატება. — თქვა კროუდერმა და მერე მეკვეის მიუბრუნდა. — ყური დამიგდეთ, მე დარწმუნებული არა ვარ, რომ შევძლებ თქვენს გაყვანას. ყველა ბილიკი დატბორილია. თანაც, ამ სიბნელეში ხშირად მოგვიხდება ფანრის ანთება: ვიღაც აუცილებლად შენიშნავს და შერიფს აცნობებს.

— შენც ისე ჰქენი, არავინ შეგვნიშნოს!

— ჰო, მაგრამ რისი გაკეთება შემიძლია?

— შერიფს უთხარი, რომ ჩვენ დიდ საფასურს შეგპირდით ქალაქიდან გაყვანისათვის.

— ჯო? როგორ ავხსნა, თუ რატომ მახლავს ჯო?

— როგორ და სულ უბრალოდ. ცნობილია, რომ ბიჭები თავგადასავლებს ეძებენ, და ეგეც ამიტომ აგეკიდა. ხომ მართალია, ჯო? აბა, კმარა ენის ტარტარი! რეი, შენ გაჰყვები დ მოუსმენ, რას ეტყვის შერიფს. მოხუცო, ხუთი წუთის ვადა მომიცია. თუ ამ ხანში არ დაამთავრებ საუბარს, ბიჭუნას აქვე მივასიკვდილებ! გასაგებია?

— გასაგებია. — კროუდერს გარეგნულად მშვიდად ეჭირა თავი, მღელვარებას მხოლოდ თითებზე თუ შეატყობდით, რომლებსაც მოხუცი ხან კეცავდა, ხან შლიდა. — შენ კი, ჯო, ჩუმად იყავი, ძალიან გთხოვ, გესმის? არც ერთი სიტყვა! მე მალე მოვალ.

კროუდერი სტეკის თანხლებით ქუჩაში გავიდა. სიბნელეში სუსტად ანათებდნენ მანქანების მცირე ფარები. კროუდერი ერთ-ერთ მათგანთან მივიდა და მინაზე დააკაკუნა. ფანჯარაში იგენის თავი გამოჩნდა.

— ამ ხალხს სურს, რადაც უნდა დაუჯდეთ, გზა განაგრძონ. — აგდებულად თქვა კროუდერმა. — ნიუ-იორკში რაღაც სარფიანი საქმე ჰქონიათ და იმის ხელიდან გაშვება არ უნდათ. კარგ გასამრჯელოს შემპირდნენ, თუ ჩრდილოეთით, ამ მთების გავლით, ნიუ-იორკის შტატში გადავიყვან.

იგენმა ისე შეხედა კროუდერს, თითქოს მის წინ ჭკუაზე შემცდარი კაცი მდგარიყოს.

— ჩრდილოეთით?...

— ჰო, ჩრდილოეთით. — სწრაფად განაგრძო კროუდერმა. მის ხმაში სიმტკიცე და დამაჯერებლობა იგრძნობოდა. ოღონდ ეს იყო, რომ მისი თითები რაღაც საოცარი სისწრაფით მოძრაობდნენ და კროუდერი ვერაფერს უხერხებდა მათ. — გამორიცხული არ არის, რომ უღელტეხილის მეორე მხარეს უკეთესი ამინდი იყოს. მაშინ ისინი თვითონ მიაღწევენ რკინიგზას... შესაძლებელია, სიბნელეში ოდნავ ავცდე გზას, მაგრამ ეს საშიში არ არის. გადავწყვიტე სამხრეთისაკენ ავიღო გეზი, მდინარე ხაილენდთან გავიდე და იქ ავყვე მთას ემმაკის წყალვარდნილამდე. ამ დროისათვის ალბათ საკმაოდ ინათებს და ჩვენც იოლად დავეშვებით ნიუ-იორკის შტატში.

— ეს ხომ სისულელეა, უგუნურებაა...

— ყოველ შემთხვევაში, მე და ჯო მაინც შევეცდებით...

— მოიცა, რას ამბობ, ბიჭუნაც თან მიგყავს?!

— რატომაც არა! რაც უნდა იყოს, სათავგადასავლო ამბავია. შენს ნაჩუქარ ზურგჩანთასაც მოსინჯავს.

იგენი ჭოჭმანობდა, მაგრამ თავი შეიკავა, მცირე ხანს ჩუმად იყო და ბოლოს მაინც თქვა:

— ორივენი გაგიჟებულხართ. ეჭვი არაა, რომ ხვალ მშივრები და გათოშილები დაბრუნდებით შუა გზიდან.

— ვნახოთ! ახლა კი გახსენი გზა.

ჯორჯ კროუდერი და სტეკი აფთიაქში შებრუნდნენ.

— როგორ არის საქმე? — ჰკითხა მეკვეიმ მეგობარს.

— ყველაფერი რიგზეა.

— თოკი მომიძებნეთ! — გასცა განკარგულება მეკვეიმ. — როცა აღმართს შევუდგებით, ბიჭუნას ამ თოკით გამოვიბამ, ისე, ალპინისტებმა რომ იციან. ჰოდა, თუ რამე გაბედე... იქვე გათავდები! გასაგებია?

— გემუდარებით, ბიჭუნას ხელს ნუ ახლებთ! — შეევედრა ტრიმბლი.

— ეს ძია ჯორჯზეა დამოკიდებული. — უცოდველი ღიმილით თქვა მეკვეიმ და ჯენეტს თოკი გამოართვა. — გახსოვდეთ, ენას კბილი დააჭირეთ! თუ მდევარს შევნიშნავთ ან ხაფანგში ამოვყოფთ თავს, ბიჭის საქმე გათავებულია... გასაგებია?

— გასაგებია. — თქვა კარებთან მდგომმა ჯორჯ კროუდერმა, რომლის გარეგნული სიმშვიდის მამხილებელი მხოლოდ მისი თითების სწრაფი მოძრაობა იყო. ჯენეტი ფართოდ გახელილი თვალებით შესცქეროდა მას.

მეკვეი მხარში სწვდა ჯოს და კარისკენ უბიძგა.

— შენ და ბიძაშენი რეის გვერდით დასხდებით მანქანაში. მე კი უკან და პისტოლეტი შენს კეფასთან მექნება. აბა, დაიძარით.

იგენი მანქანასთან იდგა.

— ესე იგი, შენ მაინც ხაილენდს გინდა მიაღწიო და უღელტეხილის გავლით ჩახვიდე ნიუ-იორკის შტატში? — ჰკითხა კროუდერს.

— რაო, უკეთესს მირჩევ რამეს?

— არა, მაგრამ თვითონ განსაჯე: ბილიკები წაქცეული ხეებით არის ჩახერგილი, მდინარეები და წყლები ადიდებულია, ისე ბნელა, თვალთან თითს ვერ მიიტან... ტყუილად დაკარგავთ დროს.

— ჩვენთვის ყოველი საათი ძვირფასია, — თავაზიანად აუხსნა მეკვეიმ. — ჰოდა, დროს ნულარ ვკარგავთ.



რეი სტეკმა ისევ დაიჭირა მძღოლის ადგილი. ჯო და კროუდერი გვერდით მიუსხდნენ, მეკვეი უკან მოთავსდა.

— გზა მშვიდობისა! — მიაძახა იგენმა დაძრულ მანქანას.



კროუდერი სკამის საზურგეს მიაწვა და ხელები მუხლებზე დაიწყო. ჯო ყურადღებით აკვირდებოდა კროუდერის მოუსვენრად მთრთოლვარე თითებს.

განვლო დრომ და მანქანამ თანდათან უკლო სიჩქარეს.

— ტბაა, თუ?.. — ჩაიბურტყუნა სტეკმა და სიბნელეს დაძაბულად გახედა.

— ეს მოსალოდნელიც იყო, — თქვა კროუდერმა. — ხაილენდი ნაპირებიდან გადმოვიდა. წინ გზა აღარ არის. ფეხით წასვლა მოგვიხდება.

მანქანა გაჩერდა. ყველანი გადმოვიდნენ და წყლით დატბორილ მინდორს გაჰყვნენ. კროუდერი წინ მიდიოდა, მას კვალში მიჰყვებოდა ჯო, რომლის წელზე გამობმული თოკი მეკვეის ეჭირა ხელში. სულ ბოლოს სტეკი მიაბიჯებდა. მგზავრები ხშირად კარგავდნენ მიმართულებას. წელში მოხრილი ჯორჯ კროუდერი სულ წინ მიიწევდა. დროდადრო შეჩერდებოდა და ჯოს ამხნევებდა.

რაც უფრო წინ მიიწევდა ჯგუფი, მით უფრო ძლიერად ისმოდა გუგუნი. მეკვეიმ ჯო და კროუდერი შეაჩერა:

— ეს ის წყალვარდნილი ხომ არ არის, შენ რომ ამბობდი?

— ნამდვილად. — მიუგო მოხუცმა. — მას ეშმაკეულს ეძახიან. რაც შეიძლება ახლოს უნდა ვიაროთ ნაკრძალთან, თორემ შორიდან შემოვლა მოგვიხდება, დროს დავკარგავთ. ახლოს მომყევით, გზას არ ასცდეთ. — მერე ჯოს მიუბრუნდა: — რაო, დაიღალე, ძველო?

— სულაც არა. — ძლივს ამოითქვა სული ბიჭუნამ.

ცოტაც და პირდაპირ წყალვარდნილს მიადგნენ. აღმართი უფრო ციცაბო გახდა. მეკვეი ხან კროუდერს მიანათებდა ფარანს, ხან ჯოს. უცებ კროუდერმა წაიბორძიკა, შექანდა, ხელები აიქნია და განწირული ყვირილით ძირს — აბობოქრებულ წყალში გადავარდა.

აქოშინებული მეკვეი ძლივს მიბობღდა ჯოსთან, რომელიც ნაპრალის პირზე გაწოლილიყო და ფარნის შუქით ჩხრეკდა ზათქითა და ხმაურით მოცულ უფსკრულს.

— ბიძია ჯორჯ! ბიძია ჯორჯ! — სასოწარკვეთით ყვიროდა იგი. მომხდარი ამბით გაოგნებული მეკვეი და სტეკი დიდხანს დუმდნენ.

— კმარა! — თქვა ბოლოს სტეკმა. — წავიდეთ.

მეკვეიმ თოკი მოქაჩა და ჯო მიიზიდა.

— ჰო, მაგრამ, ბიძია ხომ უნდა მოვძებნოთ! — ყელში მოებჯინა ცრემლი ბიჭუნას.

— გაგიჟდი? — გაბრაზდა სტეკი. — აქ კაცი გადავარდეს და გადარჩეს?! ალბათ უკვე წყალმა წაიღო. — მერე მეკვეის მიუბრუნდა. — როგორღა გავაგრძელებთ გზას?

მეკვეიმ ჯოს გაფითრებულ სახეს მიანათა ფარანი.

— ახლა ყველაფერი შენზეა დამოკიდებული, ყმაწვილო. შენ ხომ ნამყოფი ხარ აქ ბიძაშენთან ერთად? კარგად იცნობ აქაურობას, ასე არ არის?

ბიჭუნამ თავი დაუქნია.

— შენი მოხუცი ამბობდა, რომ არსებობს კიდევ რაღაც შემოვლითი გზა. შენ იცი, რომელია?

— ვიცი, მიტოვებული, ბალახით დაფარული გზაა, ადრე იმ გზით ხე-ტყეს ეზიდებოდნენ. შემიძლია ვიპოვო.

— ძალიან კარგი! მაგრამ იცოდე: გაქცევას თუ დააპირებ, შენს მშობლებს და იმ მშვენიერ ქალსაც კარგი დღე არ დაადგებათ. გაიგე?

— არა, არა! უსათუოდ ვიპოვი გზას.

— მაშ, გაგვიძეხი!

თითქმის ნახევარ საათს დაბორიალებდნენ ისინი ბუჩქნარსა და ქარიშხლით წაქცეულ ხეებს შორის, ვიდრე ჯომ ფარნით არ უჩვენა მიტოვებული ტყის გზა.

— აი ისიც! — თქვა გახარებულმა.

სიარული გაადვილდა.

— შესაძლოა, ეს გზა უფრო გრძელი იყოს, მაგრამ ჩვენ მაინც მოვიგებთ დროს. — უთხრა მეკვეიმ სტეკს და თოკის მოქაჩვით ააჩქარა ჯო.

შემდეგ ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ მეკვეიმ განძრევაც ვერ მოასწრო...

მანქანის მკვეთრი შუქი პირდაპირ სახეში შეეფეთა ბანდიტებს. ჯო სწრაფად გაწვა მიწაზე. მეკვეის წინ ჯორჯ კროუდერის ფიგურა აღიმართა, იჭექა მისმა თოფმა და მეკვეის უსულო გვამი მიწას დაენარცხა. მერე კროუდერმა თოფი სტეკს დაუმიზნა.

— ნუ მომკლავთ! — შეჰყვირა მან. პისტოლეტი განზე ისროლა და ხელები ასწია.

— მოიცა, ჯორჯ, — გაისმა ვილაცის ხმა. — ეგ კიდევ გვიამბობს რამეს. — სინათლის ჩქერში, მონადირის თოფით ხელში, იგენი გამოჩნდა. — შენ კი, ძაღლიშვილო, არ გაბედო გაქცევა, თორემ მგლის საფანტი ზედა გაქვს...

ჯორჯ კროუდერი ბიჭუნას დასწვდა, ზე აიტაცა და მკერდში ჩაიკრა.

— ყოჩაღ, ჩემო ბიჭუნა! ყოჩაღ, ჩემო ჭკვიანო ბიჭო! — აღელვებული ბუტბუტებდა ჯორჯ კროუდერი.

●

თავგამოდებით ებრძოდა ძილს ჯო, არ უნდოდა, თუნდაც ერთი სიტყვა გამოჰპარვოდა უფროსების საუბრიდან. დედამ თბილ საბანში გაახვია, ასპირინი ჩააყლაპა და ცხელი ჩაიც დაალევინა. არც მამა, არც დედა, არც ბიძია ჯორჯი, არც შერიფი იგენი და არც მის გრეივსი არ შორდებოდნენ მის საწოლს. ასე განსაჯეთ, ახალგაზრდა მასწავლებელმა ქალმა აკოცა კიდეც ჯოს.

— ბანდიტებმა დიდი საიუველირო მაღაზია გაძარცვეს მონრედში, — თქვა იგენმა. — იცით, რა ჰქონდათ ჩანთაში? ხუთი ათასი დოლარის ძვირფასი ქვები! მიმალვას აპირებდნენ, მაგრამ წყალდიდობამ გეგმები ჩაუშალათ. როცა გზაზე რას ტუუმი შეხვდათ, გარეწრებს პოლიციელი ეგონათ და მანქანით გადათელეს.

— მაგრამ მე ერთი რამ ვერ გამიგია, — შეაწყვეტინა ესთერ ტრიმბლიმ. — როგორ აღმოჩნდით ბიძია ჯორჯის ქოხთან ტყეში და როგორ მიხვდა ჯო, თუ რა უნდა გაეკეთებინა შეხვედრისას?

— ეს თვითონ ჯორჯმა გიამბოთ.

ჯორჯ კროუდერს გაეღიმა და სიყვარულით გადახედა ბიჭუნას.

— მეკვეი შეცდა. რაკი ჩვენ უიარაღო ვიყავით, მან თავისი თავი მდგომარეობის ბატონ-პატრონად წარმოიდგინა. ბანდიტი დარწმუნებული იყო, რომ რასაც მოისურვებდა, იმას გაგვაკეთებინებდა... მე შევძელი მეცნობებინა რედ იგენისათვის, რომ რაღაც ცუდის მოლოდინში ვიყავით. როგორ? აი, როგორ: მე მას ვუთხარი, რომ გადავწყვიტე წავიდე სამხრეთით მდინარე ხაილენდამდე. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მდინარე ჩვენგან ჩრდილოეთით არის და ისიც მეზობელ საგრაფოში. შემდეგ რედს ვუთხარი, რომ მინდა ეს ხალხი ჩრდილოეთით მთების გადავლით მივიყვანო ნიუ-იორკის შტატში. და ეს მაშინ, როცა ჩვენთან ბავშვმაც კი იცის, რომ ჩვენგან ჩრდილოეთით მასაჩუსეტსის შტატი მდებარეობს. მერე ისიც ვუთხარი, რომ თან მიგვაქვს ზურგჩანთა, მან რომ აჩუქა ჯოს. სინამდვილეში კი მას არასოდეს უჩუქებია ჯოსთვის ზურგჩანთა. და აი, ასე შეგნებულად, შეცდომას შეცდომაზე ვუშვებდი; განგსტერები ვერაფერს ხვდებოდნენ. რედი კი ყველაფერს მიხვდა და ხელს აღარ მიშლიდა. შემდეგ მის გრეივსს ვთხოვე ეთქვა რედისათვის, ჩემს ქოხში წასულიყო და იქ დამალულიყო ჩემს მისვლამდე.

— ჰო მაგრამ, როგორ მოახერხეთ ამის თქმა?! — გაოცდა ჰექტორ ტრიმბლი. — თქვენ ხომ კვალდაკვალ დაგდევდათ ხან მეკვეი და ხან მისი თანამზრახველი.

— ჯო, მისს გრეივსი და მე ყრუმუნჯ რას ტუუმთან ვმეგობრობდით და ხელებით ლაპარაკი შევისწავლეთ. როცა მე და მეკვეი კარებთან ვიდექით, სწორედ მაშინ ვუთხარი მისს გრეივსს, რაც უნდა გადაეცა შერიფისთვის. ხოლო, როცა მანქანაში ვისხედით, იმავე წესით შევატყობინე ჯოს, როგორ უნდა მოქცეულიყო ტყეში და ჩემს ქოხთან. ესთერ, შენ ხომ გახსოვს ეშმაკის წყალვარდნილი? ბავშვობაში ჩვენ იქ ხშირად მივსულვართ. წყალვარდნილის ძირას არის ქვაბული, რომელსაც გადმოვარდნილი წყლის ნაკადი ფარდასავით ფარავს. ჯო გავაფრთხილე, რომ სწორედ იქ ჩავხტები ისე, ვითომ ფეხი დამიცურდა და ჩავვარდი. ხოლო შემდეგ მას ბანდიტები ბილიკით ჩემს ქოხთან უნდა მიეყვანა.

— ამით ხომ საფრთხეში აგდებდი ბიჭის სიცოცხლეს! — ვეღარ მოითმინა ტრიმბლმა.

— მართალია, — დაეთანხმა ჯორჯი. — მაგრამ მეკვეი მაინც დაგვხოცავდა იმის შემდეგ, რაც უღელტეხილზე გადავიყვანდით. სწორედ ამიტომ გავბედე. ვიდრე ჯო ბანდიტებს მიიყვანდა ბილიკით, მე ტყეს მივეცი თავი და გზა მოვჭერი. ქოხში რედი დამხვდა. ჩვენი „ჯიპი" გზაზე დავაყენეთ. ჯო უკვე გაფრთხილებული მყავდა, რომ ჩავრთავდით თუ არა მანქანის ფარებს, მაშინვე მიწაზე გართხმულიყო.

— და ეს ყველაფერი ხელებით უთხარით?! — გაოცდა ესთერ ტრიმბლი.

— დიახ. მანქანაში, სტეკის თვალწინ.

— ჯო, არ გეშინოდა, ჯორჯს რომ დაგვიანებოდა ქოხში მისვლა? — ჰკითხა ესთერმა.

ჯოს პასუხი არ გაუცია. მას ღრმად ეძინა.

თარგმნა
თ. ცაგარელმა



# პატარა პიონერის ენციკლოპედია

ეროვნული ბიბლიოთეკა

### შენ და შენი რაზმი

ჭეშმარიტი პიონერი ინიციატივიანია, არ ელოდება მითითებას, თხოვნას — თვითონ ჰკიდებს საქმეს ხელს და მეგობრებსაც აბამს საქმიანობაში. პიონერის საქმე კი მისი საკუთარი ე. წ. „მოქმედების არეა". იგი უნდა ეხმარებოდეს მეგობრებს, საერთოდ, ადამიანს, სიკეთე მოჰქონდეს მათთვის. პიონერმა უნდა იზრუნოს სკოლაზე, წესრიგზე, სისუფთავეზე, ერთი სიტყვით, მისი თვალი ყველაფერს უნდა სწვდებოდეს.

### შენ პიონერული კოლექტივის წევრი ხარ

პიონერთა რიგებში როცა შეხვალ, შენ პიონერული კოლექტივის, რაზმის წევრი ხდები და იმთავითვე მრავალი მოვალეობა გიჩნდება. ერთი მხრივ, შენ ეხმარები კოლექტივს, მეორე მხრივ — კოლექტივი გეხმარება შენ. რაზმში მეგობრებთან ერთად მონაწილეობ მრავალფეროვან პიონერულ საქმიანობაში; თუ მხარდაჭერა გჭირდება, რაზმი გიცავს, გეხმარება, რაზმი მუდამ შენს გვერდით არის.

რადგან კოლექტივის წევრი ხარ, რაზმელებს უნდა გაუწიო ანგარიში, მთელი რიგი საკითხები მათთან ერთად გადაწყვიტო; გახსოვდეს, გადაწყვეტილების სისწორეზე ბევრად არის დამოკიდებული რაზმისა და რაზმეულის მუშაობა. ამ შენი პატარა კოლექტივისაგან შედგება პიონერული რაზმეული, რომელიც გაერთიანებულია რაიონულ, საქალაქო, რესპუბლიკურ ორგანიზაციებში. ეს კი საბოლოოდ ქმნის საკავშირო პიონერულ ორგანიზაციას. რაიონულ და უფრო დიდ პიონერულ კოლექტივებს კომკავშირის კომიტეტებთან არსებული პიონერული საბჭოები მართავენ.

პიონერულ რაზმეულს რაზმეულის საბჭო ხელმძღვანელობს, ხოლო რაზმს—რაზმის საბჭო. მათ პიონერხელმძღვანელები და მასწავლებლები ეხმარებიან. რაზმის საქმიანობის ავანჩავანი მაინც თქვენა ხართ — პიონერები. ერთი სიტყვით, შენ და შენი მეგობრები უკეთებთ ორგანიზაციას მთელ საქმეს და თქვენვე აგებთ პასუხს პიონერული კოლექტივის წინაშე.




## ლენინის ხაზით ვიაროთ

შრომა კვლავ დიდი გვჭირდება,
სიფხიზლე გვმართებს მრავალი,
ჯერ გზა დიდი და გრძელია,
დიად მიზნამდე სავალი.

რომ ვისახელოთ შრომითა,
უნდა ვისწავლოთ ბევრია,
წინ მთები გველის მიჯრილი,
ასარბენ-ჩასარბენია,

შეკავშირება ერების,
ერთი გზა, ერთი სავალი,
ლენინის ხაზით ვიაროთ —
აი, რა არის მთავარი!

მთქმელი — ნიტა ტერაშვილი (87 წ.),
ჩამწერი — მელანო ტერაშვილი,
ცხინვალის რაიონის ბელოთის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.

## სოფელი უსახელო

უძველესმა ქართველმა მეფემ ქართლოსმა ჩამოიარა საქართველოს ტერიტორია და ყველა დასახლებულ პუნქტს სახელი შეარქვა. ბოლოს დაიღალა და დასასვენებლად ყვირილას ნაპირას, ამბინებულ მოლზე წამოწვა.

— დიდო მეფეო, ერთი სოფელი დაგვრჩენია უსახელოდ, — მოახსენეს მსახურებმა.

ქართლოსი ჩაფიქრდა. დიდხანს იყო გაყუჩებული. ბოლოს თავი ასწია და თქვა:

— ყველა დასახლებულ პუნქტს თავისი სახელი მოვუძებნე, იყოს ეს ერთი სოფელი უსახელოდ!..

ამის შემდეგ ამ სოფელს „უსახელო“ ჰქვია.

მთქმელი — ელენე ტაბატაძე (78 წ.),
ჩამწერი — ზაზა პაპიძე, ჭიათურის მე-2 საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე.

## მზითევი

ძველ დროში მებატონეები ქალიშვილს რომ გაათხოვებდნენ, ზოგჯერ მთელ სოფლებს აძლევდნენ მზითვად. ერთმა დიდმა მემამულემ თავის გოგოს უთხრა: რასაც ერთ ამოსუნთქვაზე იტყვი, მზითვად იმას გაგატანო. გოგომ დაიწყო:

დეთი, დეთი, არადეთი,
რუისი და შაქშაქეთი,
ატენს წყალი, გორს წისქვილი,
ქალაქს სამი პირი ცხვარი,

სამულელა ხამი ხარი,
ყევარი და იმის ცალი...
— ქმარა, შვილო, გაათავე,
უნდა გადაგწერო ჯვარი!

მთქმელი — სარდიონ ბირჩაძე (82 წ.),
ჩამწერი — ნანა დიასამიძე, ასპინძის რაიონის აწყვიტას საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

## სიმღერა შრომის გმირზე

ბახტრიონიდან გიცქერდი,
გამიორკეცდა სურვილი,
ახმეტა ჩამოვიარე,
ვაზებით გადაბურული.

მეც სალამურის ღუღუნმა
ამინაპერწკლა თვალები,
შენს ვაჟკაცობას მღერიან
დღეს კოლმეურნე ქალები.

მომესმა შენი გმირობა
და შენი ქება მომინდა,
ვადიდოთ ჩვენი სამშობლო
ჩვენი გარჯით და შრომითა.

მთქმელი — გულო ზანდარაშვილი, (41 წ.),
ჩამწერი — ზაირა ზანდარაშვილი,
ყვარლის რაიონი სოფ. ჭიკაანი.

## გულადი კოლო

კოლომ ჯუნგლებში ლომი დაინახა და მტკიცედ გადაწყვიტა: უნდა შევებრძოლო, ვნახოთ ერთი, რა ვაჟკაცი ბრძანდებაო. გაექანა და შიგ ცხვირში შეუძვრა. ლომს ძალიან ემწარა, იწყო ტორების ცემა ცხვირპირზე, მაგრამ ვერ იქნა და კოლო ვერ მოიშორა, ბოლოს დაიღალა, დაიქანცა და თავპირგასისხლიანებული მიწაზე მიესვენა.

გამარჯვებულმა კოლომ შინისკენ მხიარული ბზუილით გასწია. მაგრამ დახეთ უბედურებას: მოულოდნელად ობობას ქსელს წააწყდა და შიგ გაება. მალე ობობაც გამოჩნდა. მსხვერპლი რომ დაინახა, გაუხარდა, მიცოცდა და წუწნა დაუწყო. კვდებოდა კოლო და სინანულით ფიქრობდა: ეს რა მომდის, ლომს მოვერიე და ობობასგან კი ვიღუპებიო!

მთქმელი — დავით რუსიტაშვილი (71 წ.),
ჩამწერი — ციცინო შულლიაშვილი,
გორის რაიონის ხურვალეთის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

## ანდაზები

ადრე ამდგომი შორს წავაო.

სასწორის სისწორე ამწონავზე ჰკიდიაო.

შუაღამისას დათვი მზეს ეფიცხებოდაო.

თავმდაბლობას მაღალი მთები მოუდრეკიაო.

პური მეპურეს გამოაცხობინე და ერთი პური მეტი მიეციო.

კაცი კაცით ცოცხლობსო.

კაცს დედა დავიწყებოდა და დედინაცვალს იფიცავდაო.

კარგ სტუმარს კარგი გასტუმრება უნდაო.

მტრის შინ ყოლას ლომის გზაზე წოლა სჯობიაო.

სიმაძღრით საგზალს ნუ დასტოვებ და სიდარით მოსასხამსაო.

მთქმელი — მარიამ ნოზაძე (68 წ.),
ჩამწერი — ნინო მაჭავარიანი, ხარჩხერის რაიონის ჭორვილის რვაწლიანი სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქალმა დალოცა

ქალმა დალოცა მეცხვარე
თავის ლამაზი პირითო:
ბაკი აგევსოს ცხვრითა და
სახლი აგევსოს ლხინითო,
სალამურს არაკრაკებდე
საღამოთი და დილითო,
გულს გიხარებდეს ოჯახი
შვილით და შვილიშვილითო,
სოფლის ბიჭები გითვლიდნენ:
შენი ბილიკით ვივლითო.

მთქმელი — ელენე ბერიძე (44 წ.), ჩამწერი — გელა ბერიძე, საჩხერის რაიონის ჭორვილის რვაწლიანი სკოლის X კლასის მოსწავლე.

## პაპა და შვილიშვილი

შვილიშვილმა ჰკითხა თავის პაპას: თოვლი შენც ჩემსავით გიხარიაო?

— მე უფრო მეტადაც მიხარია, შვილო, — უპასუხა პაპამ. — შენ თოვლი მხოლოდ საციგაოდ და საგუნდაოდ გინდა, მე კი იმიტომ მიხარია, რომ დიდ თოვლს დიდი მოსავალი მოსდევს.

მთქმელი — ზინა პაიჭაძე (77 წ.), ჩამწერი — ნანა პაიჭაძე, ჩოხატაურის რაიონის ჩაისუბნის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

## მეცხვარე

მირბის მდინარე
მუხის ხმაზედა,
შხეფებს მიაფრქვევს
ვიწრო გზაზედა,
ზემოთ ფარა ჩანს —
იალაღზედა,
მწყემსი ღიღინებს
ჯოხით მხარზედა.
ცხვარი მეტი ჰყავს
თავის თმაზედა.

მთქმელი — ფილიპე ქარჩაიძე (65 წ.), ჩამწერი — გოჩა ჟანაშვილი, დუშეთის რაიონის ჟინვალის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე.

# ახალი წიგნები

მზია ჩხეტიანი

## ლეტიბაჩების ქვეყანა

შეუძლებელია, შენ და შენს პატარა და-ძმებს „პიონერსა“ და „დილაში“ არ წაგეკითხოთ მზია ჩხეტიანის მშვენიერი ლექსები. მაგრამ პოეტი ქალის ახალი საბავშვო წიგნი თუ შეიძინეთ? ეს წიგნი „ნაკადულმა“ გამოსცა და სახელად „ლეტიბაჩების ქვეყანა“ ჰქვია. დარწმუნებული ვარ, წაიკითხავთ თუ არა ამ კრებულში მოთავსებულ ლექსებს, თქვენც მოგინდებათ მელიებისა და ბაჭიების, პირლია მგლებისა და ბაჯბაჯა დათუნიების, ჭრელკაბა სოკოებისა და ჭრელი ზღაპრების სამყაროში — ლეტიბაჩების განთქმულ ტყეში შესვლა და ხეტიალი. თქვენ გგონიათ, ამ ტყეში ხეების ძირას მარტო წიწიბო, პანტა, თხილი და კაკალი ყრია? არა, თუ ფხიზლად მიიხედ-მოიხედავთ, დარწმუნდებით, რომ ყოველი ხის თუ ბუჩქის ძირას ბალახებში საოცარი ზღაპარია მიმალული — მელასა და ციყვზე, შაშვსა და წიწკანაზე, კალიასა და ვასაკაზე, ჭრიჭინასა და ხოჭოზე, დევის მოტაცებულ ირემზე, თავმომწონე ყვავილებზე, ზარმაც ხარაბუზაზე, მტრის წინააღმდეგ მრისხანედ წამოშლილ ჭიანჭველეთზე...




წაუკითხეთ ეს წიგნი პატარებს და მათთან ერთად იმოგზაურეთ ლეტიბაჩების ზღაპრულ ქვეყანაში.

გურამ პეტრიაშვილი

## სხვენზე ნაპოვნი ზღაპრები

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ჩვენს ჟურნალში თქვენ წაიკითხეთ გურამ პეტრიაშვილის ზღაპარი „მკურნალი“, რომელშიაც მოთხრობილია პატარა ბიჭისა და ლეკვის სიყვარულზე და იმაზე, რომ უპირველესი მკურნალი ამ ქვეყანაზე სიყვარულია.

სწორედ ეს „მკურნალი“, სხვა ზღაპრებთან ერთად, შევიდა მწერლის ახალ წიგნში „სხვენზე ნაპოვნი ზღაპრები“ (გამომცემლობა




„ნაკადული“). აქ თავმოყრილია ერთი შეხედვით უცნაური, გასართობი, მაგრამ სინამდვილეში ფრიად სერიოზული და ჭკუის სასწავლი ამბები: თქვენ გაიცნობთ კაცს, რომელიც ამტკიცებს, ვანათებო, და ერთ მშვენიერ დღეს მართლაც დაიწყებს ნათებას; კაცს, რომელიც ყირაზე დადის და ისე ყნოსავს ყვავილებს, რადგან მათ მხოლოდ მანამდე ჰქონიათ სუნი, სანამ ფესვები მიწაში უდგათ; გაიგებთ, რომ თურმე შესაძლებელი ყოფილა სხვის სიზმარში დაბადებული ყვავილის შენს სიზმარში გადმონერგვა და გახარება; რომ „თუ ფრენა შეგიძლია, მშვენიერი ხარ ამით. უნდა იფრინო! და არ გინდა სხვა სილამაზე“.

დიახ, სილამაზის, სიკეთის, სამართლიანობის სიყვარულს გასწავლით ეს წიგნი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფოცხვერი



ჩვენში, ტყიანი ადგილების თითქმის მთელ სივრცეზე ბინადრობს საინტერესო ნადირი — ფოცხვერი. მას უცნაურად აპრეხილი კუდი, ჭრელხალებიანი ქურქი, ყურებზე შავი უხეშბეწვიანი ფუნჯები და ლოყებზე მდიდრული „ქილვაშები“ აქვს. ფოცხვერი კატისებრთა მოდგმას განეკუთვნება, ოღონდ გარეგნობითა და ჩვევებით თანამოძმეებისაგან დიდად განსხვავდება. მაგალითად, თუ კატისებრთა ექსტერიერი შედარებით მოკლე ფეხებითა და წაგრძელებული და მოქნილი სხეულით ხასიათდება, ფოცხვერის ტანი, ძაღლის მსგავსად, შედარებით მოკლეა, ფეხები სწორი და მაღალი აქვს, კუდი — მოკლე. კატისებრებისგან სხეულის აგებულებით ფოცხვერი ერთადერთ მტაცებელს, ძუძუმწოვართა შორის სისწრაფეში აბსოლუტურ ჩემპიონს — გეპარდს შეიძლება შევადაროთ.

არც ერთი ფრთხილი ნადირი, ჩვეულებრივ, ადამიანის საცხოვრებელს ახლოს არ ეკარება. ფოცხვერზე ამას ვერ ვიტყვით. ადრე იგი მოუკლავთ დიდი ქალაქების ცენტრებშიც კი — თბილისში, პეტერბურგში, კავკავში, ალმა-ათაში.

ფოცხვერი მუდმივად ერთსა და იმავე ამორჩეულ ზონაში ნადირობს, ნადირობს უმთავრესად კურდღელზე, იკვებება ირმისა და შვლის ნუკრებით. ხეზე ჩაუსაფრდება მათ და იქიდან უეცარი ნახტომით იჭერს. ფოცხვერი დიდძალ სანადირო-სარეწაო ფრინველებსაც ანადგურებს, რითაც ზიანი მოაქვს. შენიშნულია, რომ იგი განსაკუთრებით მტრობს საკლიმატიზაციოდ შემოყვანილ უცხო ცხოველებს (ხალებიანი ირმები და სხვ.)

გარეული კატისაგან განსხვავებით ფოცხვერის კნუტი ტყვეობაში ადვილი გასაზრდელი და გასაწვრთნელია, შესანიშნავადაც შინაურდება. კატასავით ნებიერია — მოფერებისას გაიტრუნება და კრუტუნებს. უყვარს ხეებსა და ხის ღობეზე „ბრჭყალების ლესვა“. ეზოში შინაურ ფრთოსნებს არავითარ ყურადღებას არ აქცევს, ძაღლებთან კი პატარაობიდანვე სრული ნეიტრალიტეტის პოლიტიკას იცავს.

მოშინაურებული ფოცხვერის ჩვევები უდიდესი ლირიზმითა და სიყვარულით აქვს აღწერილი მწერალ ვ. ბიანკის მოთხრობაში „უანგარო სიყვარულის ბილიკით“ (ამ მოთხრობის მიხედვით შესანიშნავი ფილმია გადაღებული).

ბუნაგს ფოცხვერი უსიერ ტყეში იკეთებს. ადგილს ირჩევს გამოქვაბუ-

# მეაკვარიუმის კალენდარი

## წინასწარი რჩევა

ყოველმა ნორჩმა მეაკვარიუმემ, რომელიც შინ თუ სკოლაში უვლის პაწია ეგზოტიკურ თევზებს, უნდა დაიმახსოვროს შემდეგი „შვიდი მცნება“:

1. ნუ შეიძენთ თევზებს მანამ, ვიდრე აკვარიუმში არ შექმნით აუცილებელ სასიცოცხლო პირობებს;

2. აკვარიუმში არსებული პირობები მაქსიმალურად უნდა უახლოვდებოდეს ბუნებრივს;

3. შეიძინეთ მხოლოდ ლიფსიტები (5-10 ცალი): ისინი უფრო ადვილად ეგუებიან ერთმანეთს, თანაც შეგეძლებათ თვალი გაადევნოთ მათს ზრდა-განვითარებას;

4. თევზები უნდა კვებოთ ზომიერად; როცა ტოფობის დრო დადგება, უნდა აძლიოთ მეტი და ნაირგვარი საკვები;

5. გამრავლებისათვის მთელი გუნდიდან უნდა შეირჩეს ყველაზე ჯანმრთელი და უკეთ შეფერილი წყვილი;

6. არასასურველია ერთხელ შეწყვილებული თევზების განცალკევება;

7. მოთმინება და სიბეჯითე წარმატების საწინდარია.

## სექტემბერი

დამთავრდა არდადეგები, დადგა სექტემბერი. ეს თვე ყველაზე ხელსაყრელი დროა აკვარიუმის მოსაწყობად და თევზების შესაძენად — შედარებით ზომიერია ბუნებრივი განათება და ტემპერატურა.

აკვარიუმის მოწყობის მთავარ პრინციპებს თქვენ უკვე გაეცანით „პიონერის“ შარშანდელ, 1978 წლის მე-3 და მე-4 ნომრებში.

წარმატების უმთავრესი პირობაა წყლის ოპტიმალური ტემპერატურული რეჟიმის დაცვა. თბილი წყლის თევზებს 20-26 გრადუსიანი წყალი სჭირდებათ, ცივი წყლისას — 14°-20°. ზოომაღაზიებში იყიდება თერმომეტრები და საგანგებო სათბურები, რომელთა გამოყენება არ გაგიჭირდებათ.

თუ წყალში მცენარეები არასაკმარისი გაქვთ, უნდა შეიძინოთ მფრქვევანებიანი მიკროკომპრესორები, რომელთა საშუალებით შეიძლება წყლის პერიოდული გამდიდრება ჰაერის ჟანგბადით (ამას აერაცია ეწოდება).

## ოქტომბერ-ნოემბერი

ცა უფრო და უფრო ხშირად იღრუბლება, დღე სწრაფად მოკლდება. შესაძლოა საჭირო გახდეს აკვარიუმის დამატებით განათება (დღეში 1-2 საათით). თუ აკვარიუმში ბევრი წყალმცენარეა, აჯობებს მათი გამოხშირვა, რადგან სინათლის ნაკლებობისას ისინი ეფექტს არ იძლევიან — უფრო მეტად შთანთქავენ წყლის ჟანგბადს, ვიდრე გამოჰყოფენ.

კვირაში ერთხელ აკვარიუმს უნდა მოაცილოთ ზედმეტი ნალექი — მცენარეთა დამპალი ფოთლები, დახოცილი თევზები, მშრალი საკვების ნარჩენები — (სიფონის დახმარებით). თვეში ორჯერ საფხეკით უნდა გაიწმინდოს კედლები (იმ შემთხვევაში, თუ მათზე გაჩნდება მიკროწყალმცენარეები — მოყვითალო ან მწვანე ნალექი).

თევზებს უნდა აჭამოთ დღეში ერთხელ და იმდენი, რომ მთელი საკვები 5-10 წუთში მოსპონ. საერთოდ, უნდა გახსოვდეთ, რომ ჭარბ კვებას ისევ მცირე საკვების მიწოდება ჯობს — ასე თევზები უფრო დიდხანს იცოცხლებენ.

ნოემბერში შეიძლება ცალკე გადავსხათ წამოზრდილი ლიფსიტები.

ლში ან ხის ფუღუროში, ბინავდება ხის ფესვების ქვეშაც. მჭუნაობა მიმდინარეობს თებერვალ-მარტში. ამ დროს ერთ მდედრს თან დაჰყვება რამდენიმე მამრი. მათ შორის სასტიკი ბრძოლა იმართება. ძუ ხვადთაგან ყველაზე ძლიერს ირჩევს. იგი შობს ორ-სამ, იშვიათად ოთხ კნუტს. ხვადი პატარების დაზრდამდე ცალკე ცხოვრობს. შემოდგომიდან კი, როცა კნუტები წამოიზრდებიან, კვლავ უბრუნდება ოჯახს. პატარებს ბუმბულივით რბილი და ხალებიანი ქურქი აქვთ და საოცრად სასიამოვნონი არიან. ამ რძესვლეპიებსა და ოინბაზებზე ვერავინ იტყვის, ტყის მძვინვარე მტაცებლის ნაშიერები არიანო.

საქართველოში, ისევე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ფოცხვერი, ჯერჯერობით არ დგას გადაშენების გზაზე. ზოგი სხვა მტაცებლის მსგავსად, დღემდე სადავოა ბუნებაში მისი, როგორც მტაცებლის, როლი. მაგრამ მისი ბიოლოგიური თავისებურებები, რესპუბლიკაში მისი ამჟამინდელი რიცხვი კატეგორიულად გვაფიქრებინებს, რომ საჭიროა ფოცხვერის სათანადო დაცვა.

არნ. გეგეჭკორი,
ბიოლოგიურ მეცნიერებათა
კანდიდატი.

დეკემბერი

**დადგა** ზამთარი. დღე მოკლე და მოღუშულია. ახლა ხელოვნური განათება უფრო ხანგრძლივად დაგვჭირდება. ტემპერატურასაც მეტი ყურადღება უნდა. თუ სინათლე ცოტაა და საქმეს არც აერაცია შველის (ასეთ დროს თევზები ზედაპირთან დაცურავენ და ჰაერს უშუალოდ პირით „ისუნთქავენ"), ხშირ-ხშირად უნდა ვცვალოთ წყლის ნაწილი (მთელი მოცულობის ერთი მეხუთედი), ოღონდ ჩამატებული წყლისა და აკვარიუმის ტემპერატურა თანაბარი უნდა იყოს. თუ ასე მოვიქცევით, ლიფსიტებიც უფრო სწრაფად დაიზრდებიან.

იანვარი

ზამთარში თევზები ხშირად ცივდებიან, რის მიზეზიც წყლის ტემპერატურის მერყეობაა. თევზს ქერცლი სცვივა, საკვებს ცუდად იღებს და იღუპება. შველა მხოლოდ საწყის სტადიაში შეიძლება — სითბოს დაცემისთანავე: იმავე ტემპერატურის მქონე ახალ წყალში გახსენით სუფრის მარილი (1 ჩაის კოვზი 10 ლიტრ წყალზე), ჩასვით შიგ ავადმყოფი თევზი, ჩაურთეთ აერაცია და ნელ-ნელა გაუთბეთ წყალი 28-30 გრადუსამდე. გამოჯანმრთელებული თევზი ისევ აკვარიუმს დაუბრუნეთ.

**იური ანდრეევი**

# იგავ-არაკები

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგი**



## ეზოპე და ვირი

ვირმა უთხრა ეზოპეს: თუ კიდევ აპირებ ჩემზე იგავების წერას, იცოდე, რაიმე გონივრული მათქმევინეო.

— შენ და გონივრული? — მიუგო ეზოპემ. — ეს როგორ უნდა მოხდეს? ხომ არ გინდა, რომ შენ ჭკუის მასწავლებელი გამოხვიდე, მე კი ვირიო?



## ჰერკულესი

როცა ჰერკულესი ცად ამაღლდა, პირველად ჰერას მიესალმა. მთელ ზეცას გაუკვირდა ეს ამბავი და თვითონ ჰერაც გაოცებული დარჩა.

— როგორ? — მიაძახეს. — შენს დაუძინებელ მტერს მიესალმე ასე გამორჩეულად?

— დიახ, სწორედ მას, — მიუგო ჰერკულესმა. — მისმა დევნამ მაიძულა მომეხდინა ის საგმირო საქმენი, რომელთა წყალობითაც ზეცაში მოვხვდი.

ღმერთებს მოეწონათ ახალი ღმერთის პასუხი და დიდი ქალღმერთი ჰერკულესს შეურიგდა.



## ბატკნის დაცვა

ერთი მგელივით ქოფაკი ბატკანს დარაჯობდა. როგორღაც თვალი შეასწრო მეორე ქოფაკმა, რომელიც შესახედაობით მგელს უფრო ჰგავდა, ვიდრე ძაღლს, დრუნჩიც მგლისა ჰქონდა, ბეწვიცა და ყურებიც. შეხედა, შეუღრინა და დაეძგერა: — „რა გინდა, მგელო, მაგ სათნო ბატკანთანო?

—შენ თვითონ მგელო! — მიუგო ქოფაკმა (ძაღლებმა ერთიმეორე ვერ იცნეს). — მოშორდი აქედან, თორემ მალე გაიგებ, რომ მაგ ბატკნის დარაჯი მე ვარ!

— არა, მე ვარო! — შეუღრინა მეორემ.

ერთსაც ძალით მოუნდა ბატკნის დაცვა და მეორესაც. ამ დაცვაში საწყალი ბატკანი შუაზე გაგლიჯეს.



## ბულბული და ტოროლა

რა უნდა უთხრას კაცმა იმ პოეტებს, რომლებიც ხალისით დაფრინავენ მაღლა სივრცეში და მკითხველთა უმრავლესობისათვის გაუგებარსა თხზავენ?

იგივე, რაც ბულბულმა უთხრა ტოროლას: იმისათვის ხომ არ დაფრინავ, მეგობარო, ასე მაღლა, რომ შენი გალობა დაბლა ვერავინ გაიგონოსო?



## ყორანი

ყორანმა შეიტყო: არწივი მთელი ოცდაათი დღე ზის თავის კვერცხებზეო. ახლა კი მივხვდი, რატომაც არიან არწივები ასე ძლიერნი და ყოვლისმხილველნიო, თქვა და თვითონაც ოცდაათი დღე ჩეკავდა თავისას. მაგრამ ბახალების მეტი ვერაფერი გამოჩეკა.

გერმანულიდან თარგმნა აკაკი გელოვანმა



საპრიალებელ პასტას იხმარ (შეგიძლია კბილის სახეხი პასტაც იხმარო).

ზუმფარის ქაღალდის გაჭრისას დანას ფხა უფუჭდება. ზუმფარა გადააბრუნე, ზედ ლურსმნით ხაზი გაავლე, შემდეგ გადაკეცე და მერე გახიე.

იატაკს ვიდრე ლაქს წასცხებ, პარკეტი უნდა მოიხვეწოს („ციკლოვკას" რომ ვეძახით). ამ საკმაოდ მძიმე საქმის გაიოლება ასე შეიძლება: აიღე ზუმფარის ქაღალდი, იატაკის საპრიალებელი ქეჩის ზომაზე დაჭერი, ზედ ფეხებით შედექი და იატაკი იმით მოხვეწე. ფეხი რომ არ დაგიცურდეს, სასურველია რეზინის ლანჩიანი ფეხსაცმელები ჩაიცვა.

კიდევ ერთი რჩევა იმას, ვისაც იატაკის ლაქით დაფარვა აქვს გადაწყვეტილი. საქმე ისაა, რომ ფუნჯით ლაქის წასმა (ინსტრუქციაში ასე წერია) მრავალმხრივ არის უხერხული, რაც მთავარია, ლაქი ზედაპირზე თანაბრად არ ნაწილდება. პოროლონის ლილვაკი კი ამ საქმისათვის ზედგამოჭრილია. ლაქი იატაკზე უნდა მოასხა და ლილვაკი გადაატარო. იატაკიც გაცილებით მაღალხარისხიანად გაილაქება და დიდი დროც არ დაგეხარჯება.

მინის, პლასტმასის, ლითონის უბრალო დეტალების გასაპრიალებლად შეგიძლია სამზარეულოს კომბაინი ან ელექტროწვენსაწური გამოიყენო. ამისათვის მილტუჩაზე ფეტრის დისკო უნდა დაამაგრო. გაპრიალებისას

ნახაზებს, ჩვეულებრივ, დაგრაგნიან [illegible] ინახავენ, მაგრამ [illegible]თაც ნახაზი კარგად არ ინახება. საქმე ისაა, რომ თუ არაფერი შემოუჭირე, დახვეული ქაღალდი მაშინვე იხსნება. როცა მაღაზიაში ნათურას შეიძენ, ნუ გადააგდებ მის ფუტლარს — მუყაოს უბრალო კოლოფს — იგი დახვეულ ნახაზიან ქაღალდს ჩამოაცვი და კარგად შეინახება.





# სარჩევი


ტუებუჩავა დ. — ვაჩუქოთ წიგნს ახალი სიცოცხლე (ნარკვევი) . . . . . . . . . . გარეკ. 2 გვ.
იოსელიანი ო. — მტრედებს გამოტანებული ბარათები, ანუ მუხლზე დაწერილი მოთხრობები (დასასრული) . . . . 3
გოგიაშვილი კ. — მალე ჩამოვალ, ბიჭებო; თევზაობა მომენატრა; ბანაობა; წყარო (ლექსები) . . . . . . . . 9
კაპიტალიზმი — ბავშვების მტერი . . . . 10
ჭიჭინაძე გ. — არა შეჭდა მწყერი ხესა (პიესა-იგავი ექვს სურათად) . . . . . . . . . . . . 12
ზნეობის ანბანი — შემწყნარებლობა . . . . . . 13
მორჩიაშვილი თ. — საგურამოდან მოდის ილია; ზედაზენი; დილა ფშავში; მთვარე (ლექსები) . . . . . . . . . . . 19
აისი . . . . . . . . . . . . . 20
პიუ პენტკოუსტი — არსაითკენ მიმავალ გზაზე (მოთხრობა, თარგმანი თ. ცაგარელისა) . . . . . . . . . 22
შევკრიბოთ ხალხური საუნჯე . . . . . . 23
ახალი წიგნები . . . . . . . . . 29
ვეგეჭკორი ა. — ფოცხვერი (წერილი) . . . . . . . . 30
ანდრეევი ი. — მეაკვარიუმის კალენდარი (წერილი) . . . . 30
გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგი — იგავ-არაკები (თარგმანი ა. გელოვანისა) . . . . . . . . . . . . 31
გამოცანები . . . . . . . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . . . . . . . გარეკ. 3 გვ.


გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა აკაკი თევზაძისა


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭკორია, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-97-03 93-53-05 განყოფილებების—93-97-02 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი. ლენინის ქ. № 14

«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси. ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 29/V-79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/VII-79 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35.
შეკვ. № 1586. ტირ. 150.700. უე 08346.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.


 © „პიონერი", 1979 წ.



## კ რ ო ს ვ ო რ დ ი



თარაზულად: 1. სახელმწიფო აფრიკაში; 7. ქალა'ი ეთიოპიაში; 9. უნაგირის ნაწილი; 10. მაჰმადიანური სამლოცველო; 11. მუსიკალური ინსტრუმენტი; 12. უდაბნოს ცხოველი; 13. უშვილო, ანუ? 14. ფოთლოვან მცენარეთა იშვიათი სახეობა; 17. ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი; 18. კუნძული კარიბის ზღვაში: 19. ნიადაგის სახეობა; 20. ხიმინდის ნაყოფი; 21. ადამიანის მსგავსი მაიმუნი; 23. სპორტის სახეობა; 25. ქიმიური ელემენტი; 30. ბოსტნეული.

შვეულად: 2. სახელმწიფო ევროპაში; 3. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული; 4. ევროპის ერთ-ერთი პოპულარული კლუბი ფეხბურთში; 5. ცნობილი ქართველი პოეტი; 6. მდინარე ჩინეთში; 8. ინდიელთა ტომი; 9. კურორტი რაჭაში; 14. სოფელი ცაგერის რაიონში; 15. ცხოველი; 16. სახელმწიფო აღმოსავლეთში; 17. დღეების, წლების, საუკუნეების გარკვეული მონაკვეთი; 21. მდინარე ინდოეთში; 22. ნიკო ლომოურის მოთხრობა; 24. გამოძახილი, ანუ? 25. ყველაზე გრძელი სარბენი მანძილი მძლეოსნობაში; 26. მდინარე აფრიკაში; 27. ცოცხალი არსება, რომელიც სხვა ცხოველებისაგან განსხვავებით ჰქმნის და იყენებს საწარმოო იარაღს; 28. თირკმლის დაავადება; 29. მწვერვალი კავკასიონზე; 31. გარეული ცხოველი.

მალხაზ გოგრიჭიანი,
თბილისის 139-ე საშ. სკოლა,
VI კლასი.

## რამდენი გაირბინა ძაღლმა?

გივი წისქვილში შინიდან გაემართა 9 საათზე, ერთი საათის შემდეგ მის კვალს თამაზი მიჰყვა. თამაზს წაჰყვა თავისი ძაღლიც. იგი გივისა და თამაზის შორის მიმორბოდა იმ დრომდე, ვიდრე თამაზი გივის დაეწეოდა. გივის სიჩქარე უდრიდა საათში 2 კილომეტრს, თამაზისა 4-ს, ძაღლი საათში 10 კმ სისწრაფით დარბოდა. რამდენი კილომეტრი გაირბინა ძაღლმა იმ წუთამდე, ვიდრე თამაზი გივის დაეწეოდა?

## ლაბირინთი

სცადეთ, იქნებ მოძებნოთ აქ დაბეჭდილ ლაბირინთში შესასვლელი და გასასვლელი. მარშრუტი ფანქრით გახაზეთ, თუ იმ გზამ „გარეთ" ვერ გაგიყვანათ, წაშალეთ და ახლა ხელახლა სცადეთ ბედი.



## ყულფი

რამდენი ყულფი გამოინასკვება, თუ ამ ბაწრის ბოლოებს აქეთ-იქით გავქაჩავთ?



### პასუხი № 6-ში მოთავსებულ ცხრაკლიტულზე

#### კროსვორდი

თარაზულად: 1. ტაჯმაჰალი; 3. ისანი; 7. ინა, 8. გეა; 9. ბასტილია; 11. დანელია; 13. პლანარია; 15. ექიმი; 18. სკიპი; 19. ბაი; 20. პეპი; 21. თუჯი; 23. „გაია", 24. ალი; 26. ელბა; 28. კორპი; 30. ძიძია; 32. ამილაზა; 35. ისლანდია; 36. თვე; 37. ანტიოქია; 38. რკო; 39. მარტი; 42. იმუნიტეტი.

შვეულად: 1. ტაშკენტი; 2. იორდანია; 4. ფიალა; 5. მაია; 6. ტიგრი; 9. ბეთჰოვენი; 10. ასი; 11. დიფუზია; 12. მელა; 13. პაი; 14. არგენტინა; 16. ქაირო; 17. ასპინძა; 19. ბია; 22. იგი; 25. პოეტი; 27. ლელა; 29. რქა; 31. ძუა; 33. მოემი; 34. ზარია; 36. თირკმელი; 40. რენო; 41. ოკულისტი.

#### შარადები

1. ცისარტყელა. 2. კედარი.

#### გამოცანები

მიმოზა; რადიოტალღა; საჭრეთელი; სეტყვა; ველოსიპედი; თოვლი.

76157

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოსწავლეთა შემოქმედება



დაისი.

სოფიკო
გოშაძე



ცირკში.

პაატა
დიდებაშვილი